

დათო ყანდაშვილი

# სასოეზიდან სიყვარულამდე – გზა ჭეშმარიტი ბედნიერებისაკენ

წიგნი V



დათო ყანდაშვილი



ნიგნი V

სასოწნიღან სიყუბლოლამდე –  
გზა ჭეშმარიტი ბედნიერებისაყენ



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2009

„დაფარული იდეა“ ანუ ქვეტექსტი წიგნისა, რომელიც ლექსებით, ჩანახატებით და მოკლე გამოთქმებით არის წარმოდგენილი.

© დ. ყანდაშვილი, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009

---

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-736-6

## ავტორისაგან

ერთი ჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც არ სურს სიყალბით იცხოვროს ეძებს თვითრეალიზაციის გზებს. მას სურს შინაგანად განონასწორებული მდგომარეობის მიღწევა. ამიტომაც ჰქვია წიგნს „სასოებიდან სიყვარულამდე“. ეს პიროვნება ფაქტიურად ყველაფერს ებლაუჭება, რასაც შეიძლება ოდნავ მაინც ჩაეჭიდოს. ამის შედეგად ის ხან ძალიან სენტიმენტალური და ერთობ ბანალურია, ხან კი ცივი და პრაგმატული.

თავიდან ის ყველაფერს, რასაც დაინახავს და შეეხება, ლამაზ სიტყვებს არქმევს, უხვად და განუსაზღვრელად აფრქვევს ირგვლივ, რისთვისაც თითქოს ისჯებასავით. მერე კი, თავისი ფანატიკური გამოხტომების შედეგად მიღებული უსიამოვნებები არ მოსწონს.

და ასე გრძელდება იქამდე, ვიდრე ეს ადამიანი არ მიდის იმ დასკვნამდე, რომ აუცილებლად ესაჭიროება გონების უფრო მეტად და მეტად გახსნა. როდესაც ის ამ საქმეს შეუდგება რეალურად პოულობს შინაგან სიმშვიდეს, თავისუფლდება სიყვარულის ობიექტის ძიების პათოლოგიისაგან. ის ხდება ჩამოყალიბებული ინდივიდი, დახვეწილი პიროვნება და ბოლოსდაბოლოს ახერხებს ჩასწვდეს თავისი საოცნებო მიზნის, სიყვარულის ჭეშმარიტ არსს.

წიგნი მთავრდება იმ პათოსით, რომ დედამიწაზე, მინიმუმ ჩვენს მიმდინარე რეალობაში, ჭეშმარიტად ღირებული და არათვალთმაქცური ურთიერთობების დამყარება ადამიანებს ადამიანებთან უბრალოდ არ (ან აღარ) შეუძლიათ. იმ იმედით, რომ ვინმეს გააღვიძებს სულიერად ეს ადამიანი მოუწოდებს ყველას გახსნან უფრო მეტად თავიანთი გონება და გაცილებით უფრო გულისხმიერნი გახდნენ, პირველ რიგში, საკუთარი სულის და შემდგომ სხვა ადამიანების მიმართ.

*დათო ყანდაშვილი*

## ს ა რ ჩ ე ვ ი

უბრალოდ ლექსები .....	5
უბრალო ლექსებით აღწერილი „სენტიმენტები“ .....	18
აბსტრაქტული და რთული ლექსები სულიერებაზე .....	31
მოკლე, ლაკონური ჩანაწერები ადამიანთა ცხოვრებაში არსებული, ჩემი შეხედულებით, ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტების გარშემო.....	41
ჭკუისმიერი ლექსები რუსულ ენაზე (Уразумительные уразумляющие стихи) .....	57
რამდენიმე ჩანახატი.....	66
გზა ჭეშმარიტი ბედნიერებისაკენ .....	105
სასოებიდან სიყვარულამდე.....	125

## უბრალოდ ლექსები

### ლექსი ლექსის

როცა შიგნიდან გულის ზრახვა ამენუნება,  
ამერევა კარგი ცუდში, ავს ვერ ვერევი,  
როცა ვნება მომეძალება, ისე რომ მკრუნჩხავს,  
რა მშველის იცით ამისაგან მაშინ – ლექსები.

როცა ვერავის ვაგებინებ ჩემში მყოფ ცოდნას,  
როცა ვერავინ ხდება ჩემით ამის შემმცნები,  
სავსე ჭიქიდან გადმოღვრილი წყალივით ვღელავ,  
გაინტერესებთ რა მშველის მაშინ – ჩემი ლექსები.  
აი, გათენდა, თითქოს რაღაც აკლია დილას,  
ამ ნაკულობას განვიცდი, მტკივა, მაგრამ ვერ ვშველი,  
რითი ვახერხებ იცით მაშინ ამის შევსებას?  
დიახ, ასეა, ისევ მათით – ჩუმი ლექსებით.

ჩემს ცხოვრებაში ბევრი რთული წიგნები ვწერე  
და მომავალში რამდენს დავწერ ამას ვერ გეტყვით,  
მაგრამ რა ქმნიდა ამ რთულ წიგნებს ნამდვილად ვიცი,  
რა ქმნიდა და ეს მარტივი, სველი ლექსები.

ახლა ამ წამს თავს ისე ვგრძნობ თითქოს ახალი  
რაღაც ინყება ცეცხლივით ჩემში, მაგრამ ვერ ვხვდები  
და ამ მხურვალე ალის სითბოდ გარდასაქმნელად  
დამეხმარება ისევ ისე, ბრძენი ლექსები.

რა აფხიზლებს ფანტაზიას მიძინებისგან,  
რომ არ მოკვდეს, გაიგუდოს ცივი ტექსტებით,  
რა აკავშირებს გამოსახულს წარმოსახვასთან,  
დილის ცვარვივით ცოცხალი და ნაღდი ლექსები.  
დღე და ღამე გულს აყოლებს სიმღერებს ყველა,  
მუსიკის ძლიერ, ძლევამოსილ ძალას ვერ ვხვდებით  
და ისევ რაა, როგორ ფიქრობთ, მისი საყრდენი,  
ავად თუ კარგად გართმული გამა ლექსების.

თუ საკუთარ ტვინს საკუთარ გულზე მაღლა აყენებთ,  
ეს იმას ნიშნავს პოეზიის ძალას ვერ სწვდებით,  
სჯობს მოინდომოთ, გააღვიძოთ მთვლემარე გული,  
გრძნობით იკითხეთ და თავად სცადეთ წეროთ ლექსები.

## გაბოლოებული ნახილი

ცხოვრება უცნაური ფიცხი მირაჟია,  
საკუთარი თავი სადღაც გეკარგება,  
ალარაფერი აღარ გიხარია,  
თანდათან გავინწყდება რა არის ნეტარება.

უცნაურია, ხშირად მეფიქრება,  
არ უნდა იყოს ასე, ნაღდად ვიცი,  
ზოგისთვის სანატრელი ოთხი ფიცარია,  
რამე შეიცვლება, ზოგიც ამით იცდის.

რას უცდის, რატომ ჰგავს ცხოვრება ჯოჯოხეთს,  
რადა ვართ დასჯილნი ამდენი ხალხი,  
რამდენი წელია ამას ვუკირკიტებ,  
ხელახლა როგორ შევექმნათ სამოთხის ბაღი.

ერთის სიხარული, მეორის მწუხარებით,  
მეორის გულგრილი გადავლით ხდება,  
პირველიც დაისჯება მესამის გამოჩენით,  
მაგრამ ის რატომღაც ვერაფერს ხვდება.

ამდენი ძნელძნელობა, ამდენი ვაი-ვიში,  
ამდენი სიცივე, შიმშილი, ნგრევა,  
მაგრამ რა... რისთვის და რატომ  
ამისთვის რატომღაც არავის სცხელა.

ყველა დაიღალა, სისხლიც დაიღვარა,  
თავიდან ეს სისხლი შერაცხეს წმინდად,  
მაგრამ დრო გავიდა და იცით მერე რა თქვეს?  
ვინ სთხოვდათ, ნეტავ რა რჯიდათ.

დრონი მიდიოდნენ, წამები კიოდნენ,  
რადგან დრო მოეკლათ ცდილობდა ხალხი,  
იმას ვინ ფიქრობდა, ვერავინ ხვდებოდა,  
თავის თავს იგდებდნენ წყვედიადის ხრამში.

ცხოვრება უცნაური ფიცხი მირაჟია,  
საკუთარი თავი სადღაც გეკარგება,  
ალარაფერი აღარ გიხარია  
და სულ მთლად გავინწყდება,

რომ არსებობს ნეტარება.

## სუსტი ნიჭილი

არ მინდა ვინმეს უნებლიედ რამით ვატკინო,  
ალბათ, ყველასთან ყველაფერში ვფრთხილობ ამიტომ,  
ჩემს სამყაროში არ მინდა იყოს ძალმომრეობა  
და თუ ვერ ვალწევ, ამიტომაც ვკარგავ მხნეობას.

იმ ოცნებებში, სადაც მე ვარ, სიტკბო ზეიმობს,  
იქ არავინ არ გაჰყვირის, თავში მე ვიყო,  
იქ ცდილობენ ტყუილებით არ ჰქმნან საქმელი,  
საკუთარ თავებს არ დაარქვან მეფის სახელი.

ჩემს სამყაროში სანთლებივით უნდათ დაინვან,  
სურთ ერთმანეთის სიყვარული მკაცრად დაცვან,  
იქ ცდილობენ ეგოისტურს არ აჰყვენ ვნებებს,  
გულით ცდილობენ, როგორც ძალუძთ, ჩასწვდნენ ღვთის მცნებებს.

მაგრამ როდესაც იმ ქვეყნიდან აქეთ ვბრუნდები  
აღლოს ვერ ვუღებ, ვერც ვსაუბრობ, თითქოს ვბრუნდები.  
თუ არავის, არავის არ სურს ჩემი გაგება  
სხვა გზას ვერ ვხედავ, კვლავ ჩემს სამყაროს დავუბრუნდები.

## სისწრაჟიულობის ზღვარზე

რატომ მეძალევა ნეტავ ბოროტება,  
თუ ამდენი ხანი თავი შევიკავე,  
იცი, ჭიანჭველაც სპილოდ გეჩვენება,  
თუკი დაიღალე, მაგრად დაიღალე.

## გულისხილბაში გამხრევა

თუ ინსტინქტებით არ იმართები  
გადმოალაგე შენი დავთრები,  
მეც ჩემსას გეტყვი, გაგენდობი,  
მერე დავთვრებით,  
ერთ რამედა ღირს, თუ ინსტინქტებით არ იმართები.

## ნასწავლი შიხედლო ადამიანის

მე მეგონა დამავინყდით,  
თურმე აქ ხართ, გულში ზიხართ,  
ერთად ამდენს როგორ გიტევთ  
ნეტავ გული, ერთი ციდა?

## სოსცაღვი

მომნატრებია, სიყვარულად ვიყო დაღვრილი,  
მომნატრებია, ვილაცის ნდომით ვიყო დაღლილი,  
მომნატრებია, ვინმეს გულთან გაზიარება,  
მომნატრებია, შიგნით რალაც ხმის რეკვა ზარებად.  
მყვარებია?! უსაშველოდ, უაზროდ, ძლიერ,  
ალბათ, მიტომაც კარგავს ყოფა აზრსა და იერს.  
შევიყვარებდი?! უფრო გიჟურად, უფრო უაზროდ.  
რად იმალება? – ალბათ უკეთ რომ მოვუარო.

## ქება

თუ რამის წერა გწყურია, ეს უკვე სიყვარულია,  
სხვა ვერ გაგიგებს, რთულია, ეს შენი სასწაულია.  
არ დაუჯერო არავის, დასალონებლად არრა ღირს,  
ფურცელზე სული დაღვარე, რომ არ დამუნჯდე მარადის.

## სიყვარული

თუ რალაცისთვის, ვილაცისთვის აღარა კვდები,  
თუ სიგიჟეებს მოულოდნელს აღარ სჩადიხარ,  
თუ რაც იქნება წინასწარ გრძნობ, წინასწარ ხვდები,  
მაშინ დიდ, გიჟურ სიყვარულში ველარ ვარგიხარ.

თუ ყველაფერს რაც მოხდება წინასწარ გეგმავ,  
თუ არ გწყურია იმის ნახვა, რაც დღეს არ იცი,  
თუ შენს გულში ზომიერი სიხარულია,  
მაშინ ეგ გული დიდ სიყვარულს ველარ განიცდის.  
თუ არ გესმის მზის სხივებში ჩუმი ლილინი,  
თუ ველარ გრძნობ გაზაფხულზე წვიმის ფერებას,  
თუ აღარ გსურს ნიავის თითებს მიანდო თავი,  
მკვდარი ხარ, მკვდარი, აღარაფერი არ გეშველება.

## ფილოფი ფოქსი

როცა ვიღაცის სიყვარულით გული ბრუვდება  
ჩემი სამყაროს დიადი ნგრევა იწყება მაშინ,  
ხდება რალაცის უცნაური არ დაბრუნება,  
სამაგიეროდ ხელახლა ვხდები პატარა ბავშვი.

შიგნით რალაცა აფეთქდება აყვავილდება,  
ირგვლივ ყველაფერს ლავასავით დასწვავს და დაღვრის  
და ვიდრე იგი არ ჩაცხრება, არ გაცივდება,  
ვერ დავასვენებ ვერც ერთ უჯრედს ცეცხლისგან დაღლილს.

ჩემი ცხოვრება თავად არის ვულკანთა ფრქვევა,  
ჩემი ცხოვრება თავად არის მეხთა ქუხილი,  
როგორც მოვედი უცნაური, ასევე წავალ,  
არ გეკადრება დამიჯერე, დათო, ნუხილი.

მხოლოდ სულელებს უხარიათ თავის წამება,  
ამით ჰგონიათ ვინმეს რამის აძლევენ ხალისს,  
არ შეიძლება შენთვის ამის კეთება, არა,  
შენ ვისაც გინდა იყო ღვთისა და იყო ხალხის.

## ღამის სეფი

რატომ ვნერ? არ ვიცი, რაღაცა მანვება,  
შიგნით არ ეტევა, ვერაფრით თავდება.  
ვზივარ და ღამდება, ნერვები მანყდება,  
მაგრამ როცა ვნერ, ხელახლა ნათდება.

რატომ ვნერ? აქ მაინც მას ვიტყვი,  
რაც გულში ყვირის და გამოთქმა სწყურია,  
დღეს ხომ ამისათვის არავინ არ იცლის,  
დღეს ფული სურს ყველას, ლექსი კი, სულია.

რატომ არ დავნერო ის ხომ ინერება,  
ის ხომ იკითხება, ის ხომ იმღერება,  
კაცი თუ არ მღერის, ქალი თუ არ ცეკვავს,  
ბავშვი თუ არ ხატავს, სიცოცხლე გბეზრდება.

ის, რასაც ვაკეთებ გულით თუნდც უნიჭოდ,  
ის, რასაც გავჯღაბნი ოქროზე მეტია,  
ის სიყვარულს აჩენს ღამაზს და უბინოს,  
ის ჩემი სევდაა, ის ჩემი ბედია.

რატომ არა ვცდილობთ ვიყოთ ფაქიზები,  
როცა გვეტირება ცრემლი გამოვუშვათ,  
გავხდით თხუნელები, ვიყავით არწივები,  
თხუნელა მიწას სთხრის, არწივი დაფრინავს.

ვინც არ დაფრინავს ის ვერ გამიგებს,  
მე კი, მსურს იქ მოვკვდე, ფრენა რომ მორჩება.

## განცდების წისკელი

მოძველებული ზღაპრის დუდუნში  
დრო უსასრულო ცვარად იღვრება,  
თუ მომეძალა ვინმეს წყურვილი  
ვიცი, რომ მაინც ფუჭი იქნება.

ხმალამონვდილი მეომარივით  
მაინც არ ვდრკები, არ ვეპუები,  
ნეტავ ის მაინც გამაგებინა  
ქარის წისკვილს ხომ არ ვეომები.

გადაღლილი და გადაქანცული  
სულ ყველგან სულის სიმშვიდეს ველი,  
ხანდახან ვამბობ – ალბათ გავძვერი,  
ხანდახან ვამბობ – შტერი ვარ, შტერი.

ყველაზე მეტად მყუდრო სიმშვიდეს  
ის მინგრევს, რამაც უნდა მამშვიდოს.  
თუკი ვილაცის სიყვარულს ვიტევ,  
ვიცი წამება უნდა დაიწყოს.

არა, არაფერს კი არ ვემდური,  
უბრალოდ მინდა ტრფობაც, ოცნებაც,  
რომ სიყვარულის გიზგიზა ცეცხლი  
სულ არ ჩამიქროს ამაოებამ.

თუ არ იქნება არც სიყვარული,  
არც მეგობრობა, არც გაზაფხული,  
მაშინ რაღაა ჩემი ცხოვრება,  
მაშინ რატომ ვარ კაცად სახული.

იმ სისუფთავეს, რაც ჩემს შიგნით ძევს,  
თუ ჩემს გულის სწორს ვერ ვუზიარებ,  
თუ არ ვითრობი მისი ალერსით,  
რიღასთვის ვწვალობ, ვიტან ზიანებს.

სუსტი ყოფილა კაცის ბუნება,  
ქალის გარეშე არ შეუძლია,  
მე და ჩემნაირ სულელებს, ალბათ,  
ეს უბრალო რამ, ვერ შეუგნიათ.

რატომ აღელდა გული, რა უნდა:  
კოცნა? ალერსი? სიტყვების ცვენა?  
არა, სხვა რამე არის უთქმელი,  
მას ვერ გადმოსცემ, ვერა და ვერა.  
რას დავუჯერო ახლა არ ვიცი  
გულს უნდა წასვლა, ტვინი კი ფრთხილობს,  
გული ჯიუტობს: მინდა და წახვალ.  
ტვინი კი ამბობს: ვინა ხარ ვინო?  
და ამ კამათში მათ შორის მე ვარ,  
ხან ერთს შეეყურებ, ხანაც მეორეს,  
და სადღაც კრთება ტკივილი წამთა,  
ოღონდ ის აღარ გამიმეორდეს.  
აი, რად არ სურს ტვინს თურმე წასვლა,  
რომ ის ტკივილი არ განმეორდეს,  
ოღონდ ის აღარ გამიმეორდეს,  
ოღონდ ის აღარ გამიმეორდეს...

\*\*\*

მე ის ვარ, შენ რომ გინდა გიყვარდეს,  
მე ის ვარ, შენ რომ სიზმარში ხედავ,  
მე ის ვარ, გახსოვს მთელი თიბათვე  
არ გასვენებდა რაღაცა სევდა.

უფერო ქვეყნად არაფერია, არც სიყვარული, არც სიჭაბუკე,  
შენ შენს სიყვარულს არ იცნობდი და მკრთალი ფერიდან კი გაამუქე,  
მოგონებების სქელი ნისლებით და სისხამდილით ნათქვამით ნეტავ,  
განგებამ მოგცა სულელო ჩემით, მაგრამ ვერ ხვდები და ვერცა ხედავ.

შენი გული კი ჩურჩულებს ჩუმად ვფიცავარ დედას,  
ვფიცავარ დედას, ვფიცავარ დედას,  
ვფიცავარ დედას რომ მეყვარები, სხვას კი არავის არ მსურს ვიცნობდე,  
ოღონდ არასდროს არ მილალატო, მხოლოდ ამას გთხოვ, გწამდეს, იცოდე.

## ქობისონა

როგორ გგონიათ სიყვარული სადმე მთავრდება?  
სადმე კვდება? სადმე რჩება? სადმე თავდება?  
სიყვარულით ყველაფერი ყველგან ნათდება,  
ეს ჩვენ ვზნელდებით, ჩვენ ვიცლებით, ვხდებით თავნება.  
თორემ დრო, წამი ან საათი ან საუკუნე  
რა ბედენაა, როცა შუქი სწვდება უკუნეთს,  
ის ხომ არასდროს არაფერზე არა ჰკიდია,  
ჩვენზე კი არა, ყველაფერზე უფრო დიდია.  
ჩვენ ვიცვლებით და ვიძახით, დრონი მიდიან,  
სინამდვილეში ვქრებით, ვჭკნებით, სხვაგან მივდივართ.  
იქ, სადაც უკვე ვეღარ ვხედავთ ნათელს უბინოს  
და ვიძახით თითქოს ის დრო იყო უმიზნო.  
როცა არ იყო ის დაგეგმილი, რაც იყო წმინდა,  
რაც არ ჰგავდა დამახსოვრებულს ხილულს არაფერს,  
მსურს დავინახოთ, ვალიაროთ სწორედ ის ღირდა,  
როცა უბრალოდ მზის ამოსვლაც სადღაც აღგაფრენს.  
ნუ წავალთ ბნელში, იქ რა გვინდა, იქ ხომ ცუდია,  
მოდით, იქ ვიყოთ, სადაც ყოფნა სიყვარულია,  
სადაც რაღაცა ან ვიღაცა უფრო ცოტაა,  
ვიდრე ის შუქი თვალთამჭრელი ჩვენთვის, მოკვდავთა.

მსჯელობს კი ფაზონა ყოფილა!!!

ეჰ, როგორ გინდა ამ ხალხს დაანახო,  
რაც მინაზე ხდება მათ თავს თამაშია,  
მათთვის სიამეც და აზრიც ცხოვრებაში  
ფულში, ქონებაში და სმა-ჭამაშია.

## ქათარზისი

მე აღარ მინდა ვითვალო, ვიანგარიშო ციფრები  
მე აღარ მინდა ვიფიქრო სად, რა, როგორი ვიქნები.  
რისთვის ვაკეთო რაიმე აღარ მსურს გავიკონტროლო  
გულით ვიცხოვრო ასე მსურს, არ დავაკვირდე როგორო.

წესი, მორალი, ზნეობა სულ ხალხის მოგონილია,  
თავისუფლება სურს ჩემს სულს, დღეს რომ ხელდაბორკილია.  
მინდა ვაკეთო ის რაც მსურს და ვინ რას იტყვის ამაზე  
მინდა არ მენაღვლებოდეს ცუდს, კარგს, მაღალს თუ ამაზრზენს.

მორჩა, ვიჯექი ნაჭუჭში, ვგონებ დიდი ხნის მანძილზე,  
ნაჭუჭს დავლენ და გამოვალ მსურს მოვეფინო ყვავილთ მზედ,  
სადაც გავივლი მას ვიზამ, რაც გულს ნამდვილად სწყურია,  
ვინ რად შერაცხავს მათ დახვდეთ, მათივე სანყაულია.

მოვდივარ, მომაქვს დინება, მე არ ვუყურებ არავის,  
ვილაცას ბალებს დაურწყავს, წყურვილს მოუკლავს ხვალამდის,  
ვილაცას კიდევ წაღეკავს, ჩაახრჩობს, ჭურჭელს დაუმსხვრევს,  
ღმერთმა განსაჯოს, ღვთის მაღლით, მათ უზრდელობას გაუძღვებ.

მომინდა მიწად ვიცხოვრო, მივილო მიწის მშვენიება,  
მოვიტან ვისთვის სიხარულს, ვისთვის სიყვარულს, ფერებას,  
მისთვისვე, ვინც მე შემშვენიის, მისივ ნაწილად ვიქმნები,  
როგორც ფიფქები ზამთარში, მის მზერად გადავიქცევი,

მე ჩემს სულს ვათავისუფლებ, ქვეყნად ცხოვრება მწყურია,  
ბედნიერების მოსურნე უმისოდ უბედურია.  
მე რაც მსურს ის მსურს ეს ვიცი, მის იქით ჯერ არ მსურია,  
უდაბურ ტყეში ვიყავი, ვნახე რომ უდაბურია.

ღმერთო, მამაო, ერთსა გთხოვ, დღეს დასვენება მომიწდა,  
რაც გავიარე შენ იცი, რაც დავაგროვე ამ ქვეყნად,  
თუკი არ გიმძიმს მაკურთხე, ხელი მოიღე აქეთა,  
შენს მიერ ხდება ყოველი, არს შენი ხელის ნაკეთთა,  
და, ალბათ ისიც, დღეისთვის ჩემი გული რომ აღელვდა.

## ქალღმერთი თხოვს

როცა შიშველი იწვები ჩემთან  
და ნეტარებით გაინაბები,  
შეიგრძნობ შურით როგორ ივსება  
გულეები ირგვლივ მყოფი ქალების.  
    ძუძუსთავეებით ნაზად მოკრული,  
    ზღაპრულ ბურანში მილულავ თვალებს,  
    მთელი სხეულის ყველა წერტილით  
    ჩემგან შეიგრძნობ სითბოს და ალერსს.  
თვით შენს საშოსაც გაუკვირდება  
ველურ ჟინს რომ არ გავეკიდები,  
კი არ ვეცემი, მოვეფერები,  
შევალ და სულ მთლად გამიგიჟდები.  
    შენს სხეულს კი არ გავსრისავ მძლავრად,  
    ჩემს სხეულს მოგცემ, გეტყვი შენია,  
    დასაკუთრებას კი არ დავინწყებ  
    იმის, რაც თავის ნებით ჩემია.  
მაშინ ცნებები ჩემი და შენი  
ერთურთში სრულად გადაირევა,  
გავხდებით ორნი ნაწილი ერთის,  
დასაკუთრება სრულ აბსურდად გამოჩინდება.  
    ვერ მომცილდები, გადაშლი ფეხებს,  
    შემიპატიჟებ შენს სამყაროში,  
    შემომერტყმები როგორც მარნუხი  
    დაგეკარგება აზრი თვალებში.  
და აფეთქდება ჩვენი სულები,  
შეუერთდება ერთმანეთს ლტოლვა,  
დალლილობისგან გათანგულები  
ვიქნებით როცა რიჟრაჟი მოვა.

## ქმიჯიჯი ნაქმისხის ღამეში ცლოილონ

შენა ხარ ჩემი ტკივილი, ჩემო,  
მე მგონი ოცი წელია გექებ,  
აი, ამ წამს გულში ვიღაცა გჩემობს,  
მე კი არც მიცნობ, მინდობილს ღმერთზე.

შენა ხარ ჩემი ნაწილი, ჩემო,  
მოკვეთილი მაქვს უშენოდ ფრთები,  
დედამინაზე სიცოცხლის გემო,  
უშენოდ ჩემთვის არის ნამქერი.  
ისე მიყვარდი უნახავადაც,  
რომ უნებლიე ცოდვა ვიტვირთე,  
შენ გაგალმერთე და ამ ქმედებით  
ბედნიერება გადავიკეტე.

უნახავად თუ ასე მიყვარდი,  
უნახავად თუ ასე გეტრფოდი,  
მაშ რა იქნება როდესაც გნახავ,  
გულით და სულით მუდამ გელოდი.  
ნეტავ რა გქვია, ან როგორი ხარ,  
ნეტავ რა გიყვარს, ცეკვას მასწავლი?  
მუხლმოდრეკილი, ქედმოდრეკილი ღმერთო ამას გთხოვ,  
რაც გასურს წამართვი.

ოღონდ მაჩუქე ჩემი ნაწილი,  
ის სადღაც დადის, ის ხომ ჩემია,  
მეც ხომ მისი ვარ, მისი ნაწილი,  
ისიც ხომ ჩემით ბედნიერია.

ჯერაც უცნობით, სულში ნაცნობით,  
უფალო, დამრთე იმისი ნება,  
რომ უნებლიე ჩემი ცოდვები  
მოვინანიო იმასთან ერთად.

ოღონდ იმასთან ერთად მამყოფე,  
მე იგი მიყვარს, შენც ხომ კაცი ხარ,  
ის ახლა იქნებ ილღება სევდით,  
ეჰ, რა ვქნა, რა ვთქვა, გული განვრილდა.

ჩემი თვალები შენს ნახვას ელის,  
ჩემი ყურები შენი ხმის სმენას,  
ჩემი ხელები, ჩემი თითები, ჩემი ტურქები  
შენს ნაზ ფერებას.

არ მოინყინო ცოტაც, სულ ცოტაც,  
ცოტაც გავუძლოთ და მერე...

## ხაეს მოჭიდული

შენ შეგიძლია ჩემი გული გამოიყენო  
და გადაადგო როგორც ნახევრად ნაჭამი ვაშლი.  
შენ შეგიძლია,... რადგან, ჩემდა საუბედუროდ,  
თავად მოგეცი ჩემთან ასე მოქცევის შანსი.

შენ შეგიძლია გამოიყენო ჩემი სხეული,  
ისე რომ სულის მოცემა არ მოინადინო,  
და აი, მაშინ მე გავხდები ბილნი სნეული,  
დავემსგავსები გარყვნისათვის შექმნილ კაზინოს.

შენ შეგიძლია პირიქით, სულით-ხორცამდე მენდო,  
თუნდც სიკვდილამდეც იყო ჩემით გადარეული,  
მე ესე მჯერა და ამიტომაც მივდივარ რისკზე,  
შენი იქნება ჩემი გულიც, ჩემი სხეულიც.

ვნებით ანთებულს მე ჩაგაცხრობ არა ტკივილით,  
ნეტარს გაჩვენებ, თუკი მართლა ინდომებ ნდობას,  
მაგ მკერდში გული ილულუნებს ჟივილ-ხივილით,  
თუ ყველაფერში შეიგრძნობ ციურ საიმედობას.

რად უნდა მენდო? ეს შენს გულში უნდა იპოვო.  
სხვაგვარად ეს თქმა მოკლავდა ცოცხალ,

ნამდვილ შეგნებას,

ერთი იცოდე, ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიქნებით ერთად,  
თუ მოვინდომებთ ცხოვრება გახდეს ანმყოს შეგრძნება.

მე შენი მჯერა, დანარჩენს კი დასწერს დროება,  
არც ვაპირებ დავინყო რამის გამოგონება,  
მოგცემ ყველაფერს, რაცა მაქვს და რაც გამიჩნდება  
და მხოლოდ მაშინ დავიშლებით, ეს ყველაფერი თუ არ გეყოფა.

# უბრალო ლექსებით აღწერილი „სენტიმენტები“

## სესიძისეფნი

ტიპიური ქართველი ქალიშვილისა და  
არატიპიური, არასტანდარტული  
ქართველი მამაკაცის ურთიერთობის  
ზანალოური ისტორია

საშინლად მენატრები, გული უცნაურად,  
რალაც ზამბარებით შიგნით იკუმშება,  
შენი ერთხელ ნახვა, შენი გაღიმება,  
თანდათან უფრო დიდი ძალით მექაჩება.

ნამდვილად არ ვიცოდი აქამდე რა გერქვა,  
ნამდვილად არ ველოდი ასეთ სისპეტაკეს,  
ახლა აღარფრის აღარ მეშინია,  
რადგან შენ გამოჩნდი, სულის სილამაზევ.

შენ მგონი ჯერ კიდევ ვერ ხვდები ოდნავადაც,  
ჩემთვის ვინა ხარ და როგორ გიფრთხილდები,  
ვიდრე ცოცხალი ვარ, მინდა გვერდით მყავდე,  
გული გამიხსნა და იყო ბედნიერი.

სიცოცხლის დათმობის, სხეულიდან გასვლის  
დიდი ხანია აღარ მეშინია,  
უბრალოდ, მას შემდეგ, რაც შენ გაგიცანი,  
რალაც გაჩნდა სულ სხვა, სულში ზეიმია.

როგორ მინდა იცი? რაც გბოჭავს, გაშინებს  
ერთ მშვენიერ დღეს ფეხებზე დაიკიდო,  
არ შეგეშინდეს გულითვე მომეკიდო,  
ხელები ჩამკიდო და მაგრად ჩამეხუტო.

მაინც რომ იცოდე როგორ მენატრები,  
შენი ხმის გაგებაც მხოლოდ მიშველიდა,  
ეტყობა შენთვის არ ვარ ასევე სანატრელი,  
თორემ ვერ გასძლებდი, მეტყოდი შენთან მინდა.

არ ვიცი, ხანდახან მგონია თავს იკავებ,  
ხანდახან ასე ვგრძნობ, თითქოს გინდა მნახო,  
მაგრამ ჯერ ის უფრო მეტად გძალავს, მგონი,  
რას იტყვიან შენზე, ცუდად არ დაგძრახონ.

მოკლედ, გელოდები, მე არ ვარ მოძალადე,  
თუ ჩვენ დაეშორდებით შენს შიშს უმადლოდე,  
მე შენ შემთხვევად როგორც კი დაგინახე,  
შენც ასე მოგივიდა და ცდილობ უარყო ეს.

რასაც გრძნობ მიჰყევი,  
შედეგი ნუ გაშინებს,  
ის, რაც შენს გულშია,  
ტვინით ვერ გაზომავ.



შენ, ჩემი ოცნება ხარ ცხადად ახდენილი,  
მიზანი ერთადერთი, რისთვისაც აქ მსურს ვიყო,  
შენ ხარ სათნოება, ხორცშესხმით გამხელილი,  
შენს თავს მე ვერავის, ვერავის ვერ გავუყოფ.

შენ ხარ ერთადერთი ჩემი სიხარული,  
რაც ამ მინაზე არსებობს საერთოდ,  
მინდა განიცადო რაღაცა არნახული,  
რაც მუდამ გასურდა და მუდამ ვერ გაეგოთ.

მაიკო ძვირფასო, ჩემო დედოფალო,  
მსურს მთელი ცხოვრება შენთვის დავიხარჯო,

ხომ იცი, მაშინ ვნერ მხოლოდ როცა ვინვი,  
შიგნით ვერ ვეტიევი, მსურს შენთვის დავიღვარო.

შვიდი დღე არ ნახვა სასჯელად მომისაჯეს,  
შენი ხმის გაგონებაც პრობლემა გამიხდა,  
ალბათ, ერთადერთი სისუსტე მომინახეს,  
შანთივით გამიყარეს, შიგ გულში გავიდა.

მაიკო, რომ იცოდე, როგორ დავიღალე,  
თუმც ღმერთმა სასწაული უკვე მოახდინა,  
ეტყობა, რაც სხვებისთვის ეს გული დავინანე,  
სულ ერთად შეიკრიბა და შენთან წამოვიდა.

მაიკო, ერთად ყოფნა თუ მართლა გვეღირსება,  
მსურს, ვიყოთ ყოველთვის ერთურთით კმაყოფილი,  
ვერ შევძლოთ ერთმანეთის ნდომის გამოღევა  
და დავუფასოთ ღმერთს ეს სასწაული.

მე შენ მეყოლები ჩემთან სიკვდილამდე  
და მერეც არ გეგონოს უჩემოდ დაგტოვებ,  
წავიყვან იქ, სადაც იქნება ჩემი სული,  
მე ამას ვეცდები და შენ, არ მიმატოვებ?!

ვიქნები ერთგულიო მითხარი სხვათაშორის,  
მე ვიცი შენ ეს რა სიღრმეში გასცერი,  
ჩემო მშვენიერო, ჩემო სიყვარულო,  
წამოდი, ერთად ვქმნათ ღმერთისთვის საქმენელი.



თუ შენ ჩემთან განშორებით არ იტანჯები მაშინ დავშორდეთ,  
თუ ნებისყოფა შენი სურვილს სძლევს ჩემ ნდომისას,  
თუ არ გინდა იყო ჩემი რაც უნდა მოხდეს,  
ჩათვალე, ჩვენი სიყვარული უკვე მოგვიკვდა.

თუ შეგიძლია სხვა საქმეზე ისე აენყო,  
რომ მონატრება ჩემი ამან სულ ჩაანაცვლოს,  
თუ არ იწვი შიგნით, გათვლით გინდა განენყო,  
მაშინ აქვე სჯობს რომ ამ გათვლებს მე მანაცვალო.

მე ამის წერა ისე მიმძიმს, შენ ვერ მიხვდები,  
მთელი ცხოვრება გეძებდი და თავადვე გაფრთხობ,  
მაგრამ, ძვირფასო, თუ ასევე არ ზრუნავ ჩემთვის,  
მაშინ ვერ მესმის ერთად ყოფნის აზრი და ვდარდობ.

მაიკო, გესმის, მე მინდა რომ ჩემთვის „კვდებოდე“  
ამის კეთება ხელოვნურად ვის გაუგია,  
და ახლავე, ეს შეგრძნება თუ შიგნით არ გაქვს,  
მაშინ, ძვირფასო, ჩვენი ცოლ-ქმრობის ფასი ნულია.

მე მინდა ჩემთან როდესაც ხარ, ვნებით იწვოდე,  
ერთი შეხება ჩემი შენთვის ღირდეს ყველაფრად,  
მე მინდა ენთო, გულის ფეთქვას დაუგდო ყური,  
უჩემოდ მთელი სამყარო შენთვის ჩანდეს ვერაფრად.

ბევრს მოვითხოვ? მხოლოდ იმას, რასაც მე თავად  
შენთან განვიცდი და შევიგრძნობ შიგნით სიღრმეში,  
მე კი არა, ღმერთმა ინება ჩვენი შეხვედრა,  
ამომირჩია შენი თავი ლამაზ ირმებში.



გადაწყდა, მე დღეს აღთქმას ვღებულობ,  
ალარაფერზე ვიფიქრო ცუდად,  
და ყოველივე, რაც კი მოხდება  
სრული მასშტაბით მივიღო სრულად.

მორჩა, მეყოფა მომავლის შიში,  
სულ ყველაფერი ღვთისაა ნება,



მინდა რომ სიყვარულის ზღვაში გაბანაო,  
რაც კი გაგივლია ტკივილი მოგიშუშო,  
ერთი დღეც არ მინდა ისე გაატარო,  
რამემ რომ შეგანუხოს და გულში ჩაიბუდოს.

ის, რისიც გეშინოდა, ის, რასაც გაურბოდი,  
მსურს ჩემთან ყოველთვის გასურდეს და გიხაროდეს,  
ყოველთვის, როდესაც შენს სხეულს შევეხები,  
ამისთვის უფალ ღმერთს გულწრფელად უმადლოდე.

რომელი დაუფლება, რომელი ძალადობა,  
მე და შენ ხომ ერთი მთლიანი ვიქნებით,  
როდესაც შენს სხეულში პატარა ბინას ნახავს  
მას, ალბათ, ჩვენს ზღაპარს ჩუმიად მოუყვები.

მაიკო, შენ ჩემი ოცნების ქალი ხარ,  
მე კი, ალბათ, შენი ოცნების მამაკაცი.  
ვიდრე გაიხსნები სულ ჭოჭმანით დადიხარ,  
ორივეს მაგივრად ვცდილობ რომ არ დავცილდე.



თუ შენი სული სიყვარულით ვერ აინთება,  
მეც გავცივდები, გავქვავდები როგორც ყინული,  
მოსმენა ანდა ხილვა შენი არ მომინდება,  
გახდები ჩემთვის, როგორც ყველა, ზედაპირული.

თუ შენი ტვინით შიშების ძებნა არ მოგწყინდება,  
ველარ გაუძლებს ჩემი გული შენს უნდობას,  
თუ შენი რწმენა ღმერთისადმი არ გაიზრდება,  
თავადვე მიჰგვრი შენს თავს მსახურად დაუნდობლობას.

მე ყველაფერი, რაც კი მქონდა შემოგთავაზე,  
ნუ გგონია, რომ ეს ჭოჭმანი გეპატიება.

თვით განგებამ „მიგიპატიჟა ჭიქა ყავაზე“,  
შენმა გულმა კი, მადლობაც კი ვერ გაიმეტა.

არ გენყინოს, მაგრამ დროა უკვე დაფიქრდე,  
გუშინ ვიგრძენი ძარღვებში სისხლი მეყინებოდა,  
როდესაც თქვი – ვნახოთ, მშობლები რას გადასწყვეტენ,  
არ მეგონა თუ ასე მაგრად მენყინებოდა.

არადა, ერთი თუ ჩაირღვა რამე, არ გინდა  
ის, ჩარღვეული თვალი რამით გამოაკეთო?  
მაიკო, ასეთ შიშებს დიდხანს ველარ ავიტან,  
დროა, რომ მიხვდე ბედი თავადვე უნდა აკეთო.

მე ამის მეტს აღარაფერს გირჩევ იცოდე,  
დაველოდები როგორ გადანყვეტ მაგ შენს გამოცდას,  
თუ შიშს გაჰყვები, მაშინ ჩავთვლი „მე“-ს უღალატე,  
ესე იგი, მეც მიღალატებ და დაგშორდები, რა გაენწყობა.



შენ მე მაჩუქე ამბორი აღთქმის,  
შენი ტუჩები შეერწყნენ ჩემსას,  
ვიგრძენი როგორ ფეთქავდა შიგნით,  
ეგ ნაზი გული როგორ ღელავდა.

შენ მე მომეცი ამ კოცნით ფიცი,  
თუცა სიტყვებით თქმის მოგერიდა,  
მივხვდი, იმაზე მეტად გიყვარვარ,  
ვიდრე ეს მსურდა და გამეხარდა.

აღტაცებული შენი ალერსით,  
ვცდილობდი ნაზად მოგფერებოდი  
აქამდე თუ ჩემი გახდი სულით,  
ახლა ჩემია შენი სხეულიც.

ოლი, პატალა ლამაზი ძუძუ  
თვალეების მზერას ემალებოდა,  
შიგნით ვიგრძენი რომ გაუხარდათ  
თითები, მათ რომ ეფერებოდათ.

ეხლაც ამ ლექსის ნაკითხვის დროსაც,  
უხერხულობით შეიშმუშნები,  
რა გიყო კარგო, ჩემო მეუღლე,  
ცივს რომ თამაშობ, რომ მებუტები?!

სიცოცხლის მადლით, თვით სათნოებით,  
ფაქიზი გრძნობის აღქმის უნარით,  
რალაც ძლიერი სიმართლის ძალით  
და სილამაზით შენ ხარ შემკული.

მე მიყვარს, შენი თლილი თითები,  
შენი თვალეების თბილი ნათება,  
თმები, წარბები, ეგ წამწამბიც,  
ყელიც ალერსში რომ იპარება.

ეგ შენი ტანი გამოყვანილი  
თითქოს სათუთად გამოსთაღესო,  
მე შენ მინდიხარ, ჩემო სიცოცხლე,  
ჩემო უთქმელო და უაღერსო.



ნელ-ნელა ვერც კი მივხვდით ისე შეუმჩნეველად  
აღვზნება ერთმანეთით გულებში ჩაგვესახა.  
თან, განა ბინძური, ანდა ცხოველური,  
არა ერთმანეთში შეძვრომა მოგვეძალა.

შენ გახდი ერთდაერთი ჩემი საფიქრალი  
და ღრმად მწამს შენთვისაც ასე ვარ ანდა მეტად,  
რას ვფიქრობ? – არაფერს, სულ ჩემთან მინდა მყავდე,  
გულში ჩაგიკრა და ვიყოთ ასე ერთად.

შენ ჩემი ნაწილი ხარ თავადის ასულო,  
მე ხარ და ამიტომაც სულ ყველგან მაკლიხარ,  
დათო და მაიკო ეძებთ ერთმანეთი  
ბრძანა განგებამ და გზა ორად გაგვიყო.

ეხლა კი, ეტყობა სასჯელი მოვიხადეთ  
ეტყობა განგებამ გვაკმარა განშორება.  
აღბათ, ამიტომაც უშენოდ ისე მიჭირს,  
საუკუნედ მეჩვენება ერთი დღით დაშორებაც.

მე ბედნიერი ვარ მაიკო, როცა გვხვდები,  
მე ბედნიერი ვარ თვალებში რომ ჩამხედავ,  
მე ბედნიერი ვარ როცა შენით ვტკბები,  
როცა ერთადა ვართ, მე ბედნიერი ვარ.

მე ბედნიერი ვააააარ!!!



მე, სიტყვით ხატვის ნიჭი ღმერთმა მომანიჭა,  
დიდხანს მწვრთნიდა ვიდრე შენთან შემახვედრა.  
ეხლა ერთადერთი, რასაც ვინატრებდი,  
ღმერთს ისე ვემსახურო რომ ვიყო შენთან ერთად.

ალარ მეგონა ასეთი დიდი განცდა,  
თუ კიდევ იქნებოდა ჩემში ჩაგროვილი,  
შენი დაკარგვისა ისე მეშინია,  
როგორც სიკვდილმისჯილს სიკვდილის განაჩენის.  
ვერ გამიგია, ასე რამ გამაგიჟა,  
თუკი არ გიყვარვარ ხომ სჯობს რომ დავშალოთ  
მაგრამ ამ დებილ გულს ვერაფრით გააგონებ,  
ამ წყეულ დარდებს, თქვი, როგორ დავემლო.

შენ, შენი ნებისყოფით ამაყობ მგონია,  
შენივ გულისთქმების მოკვლას ხარ ჩვეული,  
ამას რატომ შვრები, ნეტავ თავად იცი?  
აღბათ, ძლიერი გეთქმის, ძლიერი ეული.

ასე ხელალებით როგორ შეგიძლია,  
ეს ფაქიზი გრძნობა უბრალოდ მოისროლო  
ჩემი წამება ძვირფასო შემინდვია,  
მაგრამ რად გსურს შენივ წამება მოიგონო.

ცხოვრება, მაიკო, სულ ერთი წამია  
და ამ ერთი წამის განა ღირს გართულება?  
განა ბევრი რამ სურს ამქვეყნად ადამიანს,  
ხელოვნურადაც რომ დაუნყოს გამრუდება?

## ზეზიოქი

ეს ილუზია გრძელდებოდა საკმაოდ დიდხანს,  
მადლობა უფალს, როგორც იქნა ბოლოს დამთავრდა,  
შენ, ტყუილებში გახლართული უგულო ნიმფა,  
შენივ სიყალბე დაგიბრუნდა ნათლივ და მყარად.

ვერაგო სულო, რამდენი შანსი მოგცა განგებამ,  
ვერ გააღვიძა მაინც შენში წმინდა გაგება.

ამიერიდან შენი სული იქნება მკვდარი,  
ველარასოდეს ველარ გახდები ნამდვილი ქალი.

ეჰ, რა სულელი ხარ, რა მაგრად მიყვარდი,  
მართლა შენთვის მსურდა ჩემი ყველაფერი,  
მხოლოდ ეს მინდოდა ასევე გყვარებოდი,  
შენ ვერ გამიგე თურმე სულ ვერაფერი.

ვიცი, უკვე აღარაფერს არ აქვს მნიშვნელობა,  
მაგრამ მაინც ნამსხვრევების, ჭრილობის მოშუშებას,  
ჩემნაირ მგრძნობიარე, ფაქიზი არსებისთვის  
რალაც პერიოდი და დრო დასჭირდება.

აი, რატომ მეშინია ვინმესთვის გულით ნდობა  
მე, ჩემს თავს სრულად ვაძლევ, ის კი... მატყუებდა  
თურმე ანგარიშით იყო დაკოდილი  
მისი გულიც, სულიც, გრძნობაც და გონებაც.

არა, არ ვბრაზდები, ბრაზმაც გაიარა,  
უბრალოდ, რეალობა მინდა დავინახო  
რომ აღარ მომეძალოს იმაზე მონატრება,  
ვინც მოინდომა ტვინით გული დაიკავოს.

სიმართლე რომ ვთქვა მაინც არ მჯერა,  
ღმერთმა ასე უგზო-უკვლოდ სულ მთლად რომ გამწიროს,  
რომ არ შემახვედროს ჩემი ოცნების ქალს,  
სული არ მომირჩინოს, გული არ გამიხაროს.

შენ კი, სულელი ხარ, რა მაგრად მიყვარდი,  
შენ კი... მოკლედ კარგად, შენი გზით გაგიმარჯოს,  
შენ, სულიერი გზით ცხოვრების შეგეშინდა  
და თან ეს გაქცევა მშობლებს გსურს დააბრალო.

არადა, ღმერთო ჩემო, როგორ გენდობოდი,  
შენ კი, თურმე, ჩემთან უბრალოდ თამაშობდი,  
მაგრამ მტკივა ეხლაც, როცა ამ სიტყვებს ვწერ,  
თურმე ერთს ფიქრობდი და მეორეს კი, ამბობდი.

იმისგან განკურნება არც ისე ადვილია,  
რაც გულზე მოედება მგ ზნეობარე ადამიანს.  
მაგრამ ესეც ხომ ერთგვარი გამოცდაა.

ცრუსა და სიყალბის თუ მართლა ამტანი ვარ.

ტყუილის აბლაბუდას მიქსოვდი შენი ჭკუით  
და, მგონი, ამ ქსელში თავადვე გაეხი.  
გეგონა ამ სიყალბეს ვერასდროს შევიტყობდი,  
გსურდა მეც გექციე მაგ შენი გაგების.

შეცდი გენაცვალე, კარტები აგერია,  
მონა ხარ ბუნებით, მშიშარა მოხუცების,  
თავად ანგარიშით ცხოვრების მოყვარული,  
გულისთვის, სულისთვის იყავი მოუცლელი.

არადა, ეს მიკვირს განგებამ რა არ სცადა,  
რომ გამოეღვიძა შენში გულწრფელობას,  
მე გამომიყენა ამისთვის, თანაც მძლავრად,  
ტვინმა კი, შენმა, განგება „მოისროლა“.

შენ მოკვდი კიდეც ერთხელ და არა მხოლოდ ჩემთვის,  
მე ჩემი მისია, ვფიქრობ, რომ შევასრულე,  
უბრალოდ, მინდა მომავალში ნამდვილი მეგობრები,  
განგებამ შემახვედროს, როგორღაც მომივლინოს.

უცნაურია, შენმა ანგარებამ,  
ჩემში რწმენა ამის არათუ დამიკარგა,  
პირიქით, უფრო მეტად მსურს ამის აღსრულება,  
ნამდვილი ოჯახის შექმნის იმედი ჩამესახა.

დღეს გნახე შემთხვევით, გითხარი ყველაფერი,  
შენ ჩუმად მისმენდი და ეს ვერც კი უარყავი,  
კარგია, გადავრჩი საშინელ შეცდომას  
და, ალბათ, სულ გააქრე ჩემში შენი ლანდიც.  
რისთვისაც გულწრფელად ღმერთს ვუხედი მაღლობას  
და მხოლოდ ერთსა ვთხოვ, არასდროს დამტოვოს.

## წლები

*ხანდახან სქიპის დაქალაქის ის, რაც ებნოთი თუ  
ნაბრებს დაგვიჩინა ის, თუ რისთვის ვართ.*

მე ვეძებდი რისთვის ვისუნთქო,  
მსურდა გამეგო რად ვარ შობილი,  
ვინ განმისაზღვრა, რომ ეს გარემო  
იქნება ჩემთვის გამოყოფილი.

მე ვიხსენებდი, ისე გულდასმით,  
მაგრამ ვერაფრით ვერ გავიხსენე  
და იმას, ვინც ეს ანმყო მარგუნა  
ჩემს შიგნით „მე“-ში ღმერთი ვუნოდე.

დილით და ღამით, ზოგჯერ სიზმარშიც,  
ვევედრებოდი გამოცხადებას,  
თუმცა ეს შეხვედრა რეალობაში,  
შიშს და მოკრძალებას ღმერთის მიმატებდა.

ადამიანთა მოდგმის სურვილი  
სულ უფრო ნაკლებ მეძალეობდა,  
მაგრამ ხანდახან ჩემი ნახევრის  
პოვნის ზღაპარი მეღანდებოდა.

ეს მცდელობებიც დამთავრდა მათზე,  
ვინც ჩემს სულს თურმე ვერა ხვდებოდა,  
მე მათ ჩემს სულის ნახევრად ვრაცხდი,  
მათ კი, ეს გულზეც არა ხვდებოდათ,  
სულ მთლად უბრალო მიზეზის გამო,  
მათ სულს სინათლე ვეღარ სწვდებოდა.

# აბსტრაქტული და რთული ლოქსები სულოიერებაზე

## სოლსნობობა

დავწერო? რისთვის, ჩამითრევს ფიქრი,  
გამშიფრავს ძვლიან-ნანლავიანად,  
მას გამახსენებს, რაც შიგნით იწვის,  
მის ოქროს თმიან-ნაწნავიანად.

ჯერ გამახსენებს, ლურჯ ფრთას შემასხამს,  
ამწვეს, ამიტანს ღვთაების კართან  
და თუ, თუნდც ერთი სიტყვაც დამაკლდეს,  
ვერ ამაცილებს ვერავინ ჯვარცმას.

და მეტისმეტად ზემოთ ასული  
ჩამოვვარდები დამტვრეულ ფრთებით,  
ვისაც უნდოდა მეფის ასული,  
იმას აჩუქეს ასული გლეხის.

ზემოთ როცა ხარ უნდა გესმოდეს,  
მუსიკა უკრავს ზეურ-ღვთიური,  
იქ მხოლოდ მასზე უნდა იფიქრო,  
სხვისთვის როგორ ჰქმნა შუქი ციური.

ძნელია ბუხარს მოსთხოვო სიტბო,  
თუ მის კედლებში ნესტის სუნია,  
ანდა ინდომო ლამაზი იყო,  
თუ გულის ფეთქვის ტაქტში შურია.

ბევრჯერ დავეცი, კიდევ დავეცი,  
ფრენა ისეთი სასწაულია,  
სამაგიეროდ თითო დაცემის  
მიზეზი შემდგომ განსწავლულია.

განა ვიცოდი, თურმე რას ვშვრები,  
თვით უფალ ღმერთთან ვამპარტავნობდი,  
ვეჯიბრებოდი, ვეომებოდი, ვეჯიქებოდი,  
მერე ვამბობდი, ღმერთო მიშველე... და ა. შ.

## სადღეგრძელო

მე ჩემი სულის სადღეგრძელო მინდა დავლიო,  
დიახ, ცოცხალმა, რომ ამ ხორცმა იგრძნოს საქმნელი.  
მარადიულის სადღეგრძელო მინდა დავლიო,  
რომ დროებითმა არ შეირცხვინოს ღმერთთან სახელი.

სადღეგრძელო ხომ დღის გრძელობის სალოცავია,  
მარადიულს არ სჭირდება დღის გაგრძელება,  
მაგრამ ვიდრემდის მარადიული დროებითშია,  
არა მგონია ზედმეტი იყოს ამის ხსენება.

დიახ, ამ ჭიქით ჩემი სული მინდა დავლოცო  
ჩემს არსებაში ის ყველაფრის ღვიძლი მამაა,  
როცა მეტყვიან ეს სხეული უნდა დასტოვო,  
სხეულის მამა არ მსურს შერცხვეს ზეცის მამასთან.

მე ყველას სულის სადღეგრძელო მინდა დავლიო,  
რომ ყველას გულში ჩადგეს თაფლის სანთლის სურნელი.  
ეს სადღეგრძელო თქვენი სულის ლოცვით გავლიო,  
არა, აღარ მწყინს როცა ფიქრობთ აი, სულელი!

**აბა დავლიოთ!**

## ფაქცი ჭოყსი

საოცარია, ასე მეგონა ამპარტავნობამ გადამიარა,  
მაგრამ პატარა წარმატებაზე გიჟმაჟმა გრძნობამ წამომიარა.  
ვერ გადავლახე, ვერ მოვერიე, რა ძლიერია, კიდეე მაჯობა?!  
ახლაც თუ ვერა, სჩანს რომ ვერ შევძლებ, ერთად ვიგრძენი ყველა იარა.

არადა იცით რამდენს ვწვალობდი, რომ გამენათლა ჩემი სხეული,  
ახლა კი, ისევ სარკის ბოლოში მიმზერს თვალები გადარეული.  
ბიჭო, რა იყო, რა გემართება, რამ ჩააბნელა შენში სინათლე,  
არა უშავს რა, კიდეე ვიბრძოლებ, კიდეე გავუძლებ და გავიმარჯვებ.

როგორც კი ქვეყნის მაღლი მეხება სულის სინმინდე რატომ მერთმევა,  
რა არ მეთმობა, რა არ მნებდება და გულში ისევ დარდი მედება.  
ჭკუა ვილაცას ისევ ედრება, ისევ სურვილთა ალი მედება,  
ისევ შური და ამპარტავნება მესტუმრებიან ვითომ მედდებად?

*საოცარია, ასე მეგონა ამპარტავნებამ გადამიარა.*

## ქობისგლობისის შქმდედი

მე დღეს მკვდარი ვარ, გადავილაღე,  
ეს ბოლო წლები დავყევი ნებას,  
არაფერი მაქვს, არ მაბადია,  
და დღეს რატომაც არ ქონით ვლეღავ.  
ამ ხნის მანძილზე უცხო ბაქანზე  
დავემშვიდობე უცნობს თუ ნაცნობს,  
გადავაგინყდი ახლო მეგობრებს,  
დღეს გამელვიძა თითქოს და ვდარდობ.  
მიმოვიხედე უცხო ბაქანზე  
და არვინ იყო, იყო სიმშვიდე  
და უნინ უცხო ეს ადგილები  
თურმე სიზმარში შემოვიხეტე.  
ეს სკამი ვიცი, ეს ვიტრაჟებიც,  
რელსებიც, ქუდიც გამცილებლისა  
და ჩემს თავს ვკითხვ: სად ვარ და რისთვის,  
დიდებულების ნახვა მეღირსა.  
მაგრამ აქედან საით ნავიდე?  
ალბათ იქ, სადაც ვინმეს ვჭირდები,  
მაგრამ რომ მივალ როგორ ავუხსნა  
ვინ ვარ და რა ვარ, ან რას ვპირდები.  
შიმშილს? სიცივეს? დაგლეჯილ შარვალს?  
თუ უკარება განმარტოვებას?  
სისულელეა დაიწყო დავა,  
რომ ცხოვრებაა ამაოება.

მე დღეს მკვდარი ვარ, გადავიღალე,  
ხვალეს რა ვუყო, ვერ გამიგია,  
მე, სულიერად, უაზროდ მდიდარს,  
პატარა ქოხიც ვერ ამიგია.

არც საყვარელი, არც მეგობრები,  
ჩემი ძალლიც კი, სხვას ჰყავს ახლა,  
თუკი განგებას ასე ენადა,  
მაშინ აჰა და ნადილი ახდა.

გთხოვთ, მომიტევეთ ბედის განმგებნო,  
მაგრამ დღეს მართლა გადავიღალე  
და გულითა გთხოვთ, როგორც მფარველებს,  
ღირს მყავით ვნახო მიწის სიკეთეც.

## სკოლინიძის

ბედის ქალღმერთო, მეუღლევ ღვთისა,  
თითქოს წყალობა შენი მეღირსა,  
წარმოვიდგინე რომ შესთავაზე  
მას გასწორება ჩემი ბედისა.

ბედის ქალღმერთო, სიცოცხლის წყაროვ,  
წყაროვ, უსაზღვრო სათნოებისა,  
მადლობა ღმერთს რომ ჩემს უმეცრებას  
შენი მშვენების აღქმა ეღირსა.

ბედის ქალღმერთო, გთხოვ, პატიებას,  
აღბათ, ძალიან ბევრ ცოდვებისას,  
ბრმა უვიცობით, ყრუ ქედმაღლობით  
და ავსიტიყვობით რომ დამეკისრა.

გთხოვ, პატიებას პირადად შენთან,  
პატივისცემით არ მოქცევისას,  
აღბათ, მათ გამო არ მყოფნის ძალა  
დედამინიდან გამოქცევისა.

ცოლი და ქმარი პირადად, ჩემთვის  
ორნი არიან ერთი მთელისა,  
რაც შეეხება თქვენს ოჯახს, ღმერთნო  
თქვენ, სამყარო ხართ ნეტარებისა.  
ჯილდო არ არის იმაზე დიდი,  
თუ ყურადღება თქვენი მეღირსა.

## სისოვნა

მე ღარიბი ვარ, როგორც იესო,  
ჩემთვის სიმართლე მოჰგავს იარაღს,  
ჩემმა მოძღვრებამ ყურების ეზო  
ენის დაცინვით გამოიარა.

მე ღარიბი ვარ, როგორც იესო,  
ამ სიღარიბემ ღმერთს მაზიარა,

ამპარტავნობსო, რა არის ესო,  
მღვდლის და ცოდვილის აზრში იარა.  
მე ლარიბი ვარ, როგორც იესო,  
მსურდა მიმეცა ცოდნა ზიარად,  
და როცა ამის ქმნასა ვცდილობდი,  
სწორედ რომ ამან დამაზიანა.  
მამაო ღმერთო, ძეო იესო,  
თქვენს მიერ არის, ჩემგან კი არა  
და დღეს ერთი რამ ვერ გამიგია,  
ის, რაც მაქვს თქვენგან დარჩეს ტიალად?  
ვიცი ამ ქოთნის დამტვრევის დროა,  
მოიზილება თიხა ხელახლად,  
გაჩნდება სულ სხვა ფორმის ქოთანი  
და შეეჩვევა ეს მოდგმა ახალს.

### ადამიანთა უხილველნი ჩქმბე

ვეტრფი იმ წამებს როცა სინმინდე  
რალაციით ცდილობს ჩემში ასახვას  
და ამ ნეტარი წამების შემდეგ  
ჩიხი.. და უკვე იქ აღარა ვარ.

მეძალებიან რომ ის ვაკეთო  
რაც მიუღიათ, წესი წესია,  
ვინ დაანესა ან ვის სჭირდება  
არავინ იცის, მაგრამ ესეა.

ყველა მიყურებს დიდი თვალებით  
და გულში ფიქრობს – მგონი, გიჟია.  
სახლი არა აქვს, არ სურს ქალები,  
არ სვამს, არ ირჭობს, რის მაქნისია?

ცოტა უფროსი ასაკის ხალხი  
ჩემს უშვილობას შემოსტირიან,  
ასე ამბობენ, სანყალი, ალბათ,  
საეკიმოა, ანდა შიში აქვს.

ზოგსაც ჰგონია ვილაცის ხელით  
გაკეთებული რალაც ჯადო მაქვს,  
მაგრამ ერთი რამ ვერ გაუგიათ  
ახალგაზრდობამ რად არ დამტოვა.  
მოკლედ მარტო ვარ დედამინაზე  
მოსიარულე სხეულებს შორის,  
სული ნათლდება ასე თუ ისე,  
აი, სხეულს კი, ვერაფრით ვშველი.

## მე, ჩემს შესახებ

დღენი გაჭრილი ვაშლებივით ჰგვანან ერთმანეთს,  
კი, ეს გარედან, შიგნიდან კი, მუდამ ვიცვლები,  
თითქოს ისეთი ბუნების ვარ, როგორც ვიყავი,  
სიმანდვილეში სიბილნისგან ვსუფთავდები, რყენისგან ვიცვლები.

დღევანდელ დროში ეს სიტყვები უაზროდ მოსჩანს,  
თავისუფლების შეზღუდვად არის ეს დღეს აღქმული,  
თითქოს სინმინდის ცნება მოკვდა, სინრფელე მორჩა,  
მე კი, ღრმად მჯერა ეხლა იწყება რალაც არ თქმული.

დღეს ასეთი, როგორც მე ვარ არვის ვჭირდები,  
იმათ ვგულისხმობ, ვინც ჩემს გარშემო დაიარება,  
თუმც მანაც მჯერა განგება მწვრთნის, არვის მაკარებს,  
ჩემს სულელ გულს კი, მარტოობა ერგვინება ნაიარევად.

სიფაქიზეს, სისპეტაკეს, უმანკოებას,  
ერთგულებას, გულის გულთან გაზიარებას,  
ძალიან ჩუმად და სათუთად ვატარებ ჩემში,  
რომ როდესმე ჩემს ცხოვრებაში დაივანება.

მე მინდა ნაღდი, არა ყალბი კავშირი კაცთა,  
რომ მეგობრობა იყოს, ცხრაპირ კლიტეზე მტკიცე,

აი, ასეთი მეგობრისთვის ჭირში თუ ლხინში,  
თუ საჭიროა სიცოცხლესაც ხალისით მივცემ.

მე მინდა ნაზი, არა ბილწი წყვილთა კავშირი,  
რომ მიჯნურობა იყოს განცდილ სექსზე მაღალი,  
რომ მიჯნურთან ჩემი ყველა ურთიერთობა,  
მუდმივად იყოს მომტანი რალაც დიდის, ახალის.

მე მინდა წმინდა, არა ვითომ ღვთის მსახურება,  
რომ ღმერთი იყოს ცოცხლად, არა თვალით აღქმული,  
რომ ღმერთი ჩემი არასოდეს არ დავივიწყო,  
თვით უდიდესი განცდით ვიყო თუნდაც გართული.

ბევრი დავწერე უკვე, ბევრსაც დავწერ იქამდე,  
ვიდრე ვიქნები თქვენში როგორც, აი, ეს სხეული,  
და როცა წავალ ამ ქვეყნიდან, როცა დაგტოვებთ,  
მაშინ გახდებით ამ ნაწერებით გადარეული.

კი, ჩემთვის, მაგრამ ამას თქვენთვისაც ვწერდი,  
რაც მიქმნია, ვფიქრობ, ბევრ თქვენგანს გამოადგება,  
მე ძნელ დროში სიყვარულის ტრაქტატებს ვწერდი,  
მსურს თქვენში შესძლონ მათ ბედნიერი გამონათება.

ახლა, ამ დროში მე ასეთი მარტო ვარ, ერთი,  
ხვალ კი, თქვენს დროში ასეთები ბევრნი იქნებით  
და მგონია საჭიროც და კარგიც იქნება  
რომ მოისმინოთ წარსულიდან ჩემი სიტყვები.

## ძამ ღმერთის ზოგად-ღაბრებზე ადამიანობის მიძაბო

მეუბნებიან: იყავ თვითკმარი,  
დაკმაყოფილდი მით, რაც გექლევა,  
თუ ვერ ვახერხებ, ტრაბახით მთვრალი,  
მთელი ნაშენი თავზე მენგრევა.

ყურების სმენა იქითკენ გარბის,  
რაც მათ მემბრანებს არ ეკითხებათ,  
შეიჭმუხნება შუბლი და წარბი,  
ვიდრე შიგნიდან არ მომესმება: **იქ ნუ მიძვრები!!!**

მცნებები – ღმერთი, ჭემმარიტება,  
გამახსენდება, ვითხოვ შენდობას,  
ამნაირ სუსტს და გაორმაგებულს,  
ღმერთი კი არა, მე ვერ ვენდობი.

ყოველდღე, ყოველ ღამე ძილის წინ,  
ჩემს თავს ვასწავლი, მსურს გადაჩვევა,  
აი, ეს თეთრი, ესეც სიკეთე,  
ასე მასწავლის ღმერთი გარჩევას.

მას ნუ ინდომებ, რაც არ გეკუთვნის,  
სხვას არ დაუთმო ის, რაც შენია,  
არ იძალადო სხვაზე ან თავზე,  
ვერ შესძლებ? შენი განაჩენია.

არ შეგეშინდეს, სცადე, განათლდი,  
შიშზე ძლიერი სიყვარულია,  
და რაშიც ჩემი სრულად არა გნამს,  
იქ სიყვარული განწირულია.

არ მოისურვო იყო ღმერთკაცი,  
ღმერთი ისეთი სიყვარულია,  
სიბრძნე, დრო, ძალა, მთელი დიდება,  
ამ დიდ მცნებასთან უსუსურია.

არ შეედარო და დროა მიხვდე,  
რომ ამის ნატვრა უხერხულია.  
თუკი შეისმენ, რასაც გასწავლი,  
კურთხევა ჩემგან მოცემულია,  
ჩემი კურთხევით მოსილ არსებას,  
მანდაც და აქაც გაზაფხული აქვს  
და ელირსები მიწაზეც, ცაშიც,  
იმას, რაც შენთვის სასწაულია,  
წამროუდგენელ ბედნიერებას, რომ მისწვდე  
შრომა დასაშურია?!

## ოქანსაქელი სოფელი ძინაზე

ბევრი რამაა ქვეყნად ნალდი და საკვირველი,  
ჩემს ირგვლივ მყოფნო, თქვენ ერთ-ერთი ხართ, მე კი პირველი.  
ყველანი სადღაც გაჩერდებით, იტყვიან მივედით,  
ჩემს გზას კი, ბოლო არ უჩანს და ჯერ ვერც მივედი.

თქვენს დასახლებას და სურვილებს შორის არ მიყავხართ,  
თუმც წარსულში ხართ თითქოს, მაგრამ უფრო მიყვარხართ,  
აღბათ, ამ გრძნობის ძალით მივალ სადღაც შორეთში,  
რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩემს თავს ვუთხრა: ძლივს არ მოვედი?!


ახლა კი, ამ წამს ის სჯობია სულ მთლად დაგტოვოთ,  
რომ ღვთის სინმინდემ თქვენს წილ ადგილზე თავზე დამთოვოს,  
რომ ანგელოზად გადავიქცე ადამიანი,  
რომ სიბინძურემ ველარ შესძლოს ჩემში ტრიალი,

ადამიანად ყოფნა, რა ვქნა, მეცოტავება,  
თუ ამ სურვილით უნებურად მეცოდავება,  
ვთხოვ პატიებას უფალს ღმერთს და თქვენც გთხოვთ შენდობას,  
მაგრამ რა ვუყო, თუ ეს ნდომა სხვა არაფრისთვის აღარ მეთმობა.

დღეს, მგონი დროა სულ დავტოვო ეს დასახლება,  
სადაც ვიქნები განვლილი გზაც მოგონების გზით გადასახლდება,  
მაგრამ ეხლა ასე სჯობია, გთხოვთ, რომ დამტოვოთ,  
მე არ ვიყავი თქვენი ღირსი ანდა პირიქით.

კარგად იყავით...

მოკლე, ლაკონური ჩანაწერები  
ჩემი შეხედულებით, ადამიანთა ეხოვრებაში  
არსებული ძალიან მნიშვნელოვანი  
ასპექტების გარშემო



ადამიანის ამქვეყნიური, მიწიერი სიამოვნებების ნუსხა მხოლოდ ორ ერთეულამდე დადის და მიწიერს მიჯაჭვული ადამიანი ამ ორი საზომით და ამ ორი საზომისათვის ცხოვრობს. ესენია:

საჭმლით საკეთილ თაბის დაქმყოფილების პლუსკსში მიღებული სიამოვნება  
ენების დაქმყოფილების პლუსკსში მიღებული სიამოვნება.

ადამიანის არაამქვეყნიური, სულიერი სიამოვნების ნუსხაც მხოლოდ ორ ერთეულამდე დადის და მიწიერს მონყვეტილი ადამიანი მათით საზრდოობს და ზომავს. ესენია:

ჭრქმხიციგინის შქციკნინის პლუსკსით მიღებული სიამოვნება.  
გაბქმისათვის, სამქაბოსათვის საკეთბელის (სიკეთის) კეთბინის პლუსკსში მიღებული სიამოვნება.

თუ ადამიანს ჰარმონიულობის მიღწევის ბედნიერება ხვდა წილად, მას უჩნდება უნარი მიწიერი და სულიერი სიამოვნების ურთიერთშეთავსებისა ერთმანეთის არ დაზიანების ხარჯზე.



გონიერნი, ბრძენნი სხვათა შეცდომების აღქმით სწავლობენ, ხოლო უგუნურნი საკუთარი შეცდომების დაშვებით და შემდეგ მისი გამოსწორებისთვის უწევთ ცხოვრება.



თუ სწავლობ იმისთვის, რომ მიღებული განსწავლულობით, შედეგად მარტო მატერიალური კეთილდღეობა მოიპოვო, მაშინ სჯობდა საერთოდ არც დაგეწყო სწავლა.



მატერიალური კეთილდღეობა დიდი რაოდენობით დიდი ძალაუფლებაა, ამიტომ ვინც ძალაუფლების სწორად გამოყენება არ იცის მას არც უნდა ჰქონდეს ის.



მატერიალური კეთილდღეობა ცოტა რაოდენობით არსებობის საშუალებაა და ვინც არსებობის არსი სწორედ ვერ გაიგო, მას მატერიალური კეთილდღეობა არსებობის გარდუვალი აუცილებლობისთვის საჭიროზე ნაკლები ექნება მუდამ (იქამდე ვიდრე არსებობის არსის გაგებას არ მოინდობს).



ვინც არსებობის არსი გაიგო (მეტ-ნაკლებად), მას ძალაუფლების სურვილი არ უნდა გაუჩნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის, რაც ჰგონია რომ გაიგო, სინამდვილეში ვერ გაუგია. ხოლო თუ მართლა გაიგო, მაშინ ძალაუფლება, სურვილის არ ქონისდა მიუხედავად, თავად მივა მასთან.



ერთადერთი ჭეშმარიტი სიმდიდრე – ჭეშმარიტი ცოდნაა, განათლებაა, რომელსაც განსხვავებით მატერიალური სიმდიდრისა ვერაზინ და ვერაფერი წაგართმევთ, ვერც ყაჩაღი ან პოლიცია, ვერც ავადმყოფობა ან ექიმი, ვერც სახელმწიფო უშიშროება ან სადასახადო ინსპექცია, ვერც ბანკი და ვერც სიკვდილი.



სწავლა კიბის საფეხურებს ჰგავს, რომელთა ათავების შემდეგ განათლება გელის და თუ ვინმე რომელიღაც საფეხურზე გაჩერდა ან სულაც უკან გამობრუნდა სწავლის უაზრობის ბრალი კი არ არის, მხოლოდ და მხოლოდ მისივე მოუთმენლობის ბრალია.



სიყვარული წარმოუდგენელი ძალის სინათლეა, თვალებს რომ ვერ გაუხსნორებ და ძალიან ძნელია წარმოდგენა იმისა, როგორ უნდა შეიგრძნო სიყვარული განათლების გარეშე.



ვისაც უყვარს, მას არ უნდა სძულდეს.

ვისაც უყვარს, მას არ უნდა ეშინოდეს.

ვისაც ეზიზღება, მას ვერ ეყვარება.

ეს ყოველივე იმ სიყვარულზე, რომელიც არაფერზე არ არის დამოკიდებული.



ისწავლე რა არის ამ ქვეყნად მართლა საკეთებელი და ყოველთვის ის აკეთე რაც შენს გულს უნდა და არა ვინმეს.



არ არსებობს გზა, რომელიც რაიმემდე არ მიგიყვანს. რა გზითაც მიდიხარ გაიხედ-გამოიხედე და დაფიქრდი – რატომ მოხვდი იქ? შემთხვევით არავინ არასოდეს, არსად არ მოხვედრილა და არც მოხვდება.



არ არსებობს ისეთი დაპყრობილი მწვერვალი განათლებისა ადამიანის მიერ, რომლის შემდეგაც უფრო მაღალი მწვერვალი არ მოდიოდეს, თანაც თვალსაწიერის დიაპაზონში. უბრალოდ, თვალე-ბი კარგად უნდა მოიფშენიტო და აწეული ცხვირი თავის ადგილზე უნდა დააბრუნო.



ხელოვნური ბუნებრივის შვილია და სულსწრაფი ბავშვივით ტკბილი სასუსნავი უყვარს.

ბუნებრივი სრულად მოიცავს ყოველივე ხელოვნურს რაც კი არის, ხელოვნური კი ბუნებრივს მთლიანად, ამომწურავად, სრულად ვერასოდეს მიაღწევს.



ხელოვნური ურთიერთგაგების გამოხატვა, მლიქვენლობა, მამებლობა ტკბილი გემოს სანამლავის მირომევაა ღიმილიანი სახით.



ყოველთვის, ყველგან, ყველაფერში იყავი ის, რაც ხარ. თვით-მყოფადობა ბუნებრივობის უმაღლესი ფორმაა.



ადამიანი იმიტომ ხდება შენი მტერი რომ შენი სურვილის განხორციელებას მისით ხელი ეშლება. ეგებ ჯერ საკუთარი სურვილისთვის გადაგეხედა, ვიდრე გაემიჯნები და დაუპირისპირდები შენნაირვე ადამიანს.



ერთი ადამიანისთვის პატივის მიგება მეორე ადამიანის შეურაცხყოფის ხარჯზე მრუშობაა ანგარებიანი. ადრე თუ გვიან ის პირველიც მეორის მდგომარეობაში აღმოჩნდება თუ ესეთი პატივის მიღება მოსწონს, სიამოვნებს და მისაღებად მიაჩნია.



პატიოსნება სხვა ადამიანთა მხრიდან პატივის მიღებას, პატივისცემის დამსახურებას გულისხმობს თავად ამ ადამიანის დაუსწრებლად.



თუ ვინმეს შეურაცხყოფ საკუთარი მიზნის მისაღწევად, განსაკუთრებით მის ზურგს უკან (დაუსწრებლად), იცოდე, რომ შენს თავს მიაყენებ შეურაცხყოფას და მოგვიანებით კი, განხორციელებულ, მატერიალიზირებულ ზიანს.



იმ სიმართლის თქმას აზრი არა აქვს, რომელიც ჭეშმარიტებას რაიმენაირი ფორმით არ ემსახურება. სხვა შემთხვევაში სიმართლის დეკლარირება საკუთარი პიროვნების უპირატესობის დაფიქსირება იქნება. ხანდახან დუმილი ოქროზე ძვირფასია.



არ არსებობს ტყუილი, რომელიც არ გამოიმუშავნდება,  
არ არსებობს სიმართლე, რომელიც არ დაფასდება,  
არ არსებობს ჭეშმარიტება, რომელიც არ დაჯილდოვდება,  
არ არსებობს სიმცდარე, რომელიც არ დაისჯება.



ამპარტავნება თითქმის იგივეა რაც ანგარება იმ განსხვავებით, რომ ანგარება ეგოიზმის გამოვლინებაა გონებრივ დონეზე, ხოლო ამპარტავნება ეგოიზმის გამოვლინებაა გრძნობისმიერ დონეზე.



რეალურად, თითოეული ადამიანისათვის არსებობს ის, რის არსებობისაც სჯერა და ხედავს მხოლოდ მას, რისი დანახვა უნდა, რისი დანახვაც არ სურს, თვალწინ რომ დაუდო, მაინც ვერ დაინახავს.



ადამიანის გარემო ყოველთვის ისეთია, როგორც მისი შიდა არსია. თუ გარემოს შეცვლა გსურს შენი საკუთარი შიდა არსი უნდა შეცვალო.



ამ ქვეყნად ყველაზე ძნელი აღზრდაა და თუ შენ ეს არ შეგიძლია, იმას მიეცი საშუალება ეს აკეთოს, ვისაც ეს შენზე უკეთ ძალურძს.



ყველაზე დიდი სისულელე ამქვეყნად საკუთარი პიროვნების შეგნებულად ტყუილში მყოფებაა, რომელიც გარემოსთან მიმართებაში ნიღბის ტარებით, თამაშით გამოიხატება.



ადამიანის მხრიდან სერიოზულობის ნიღბით ყოფნა მისი შიშების (სულიერი სიყვარულის სიმცირის) მაჩვენებელია და გარემოს-

გან დაცვის საშუალებას წარმოადგენს. თუმცა, ჩემის აზრით, ეს უფრო სტრატეგიის დაცვის მეთოდს უფრო ჰგავს.



ადამიანის მხრიდან არასერიოზულობის ნიშნით ყოფნა მისი სისასტიკის (მატერიალური სიყვარულის სიმცირის) მაჩვენებელია და გარემოზე თავდასხმის საშუალებას წარმოადგენს.



როცა ვილაცას რაიმეს თავზე ახვევ, აიძულებ, წარმოიდგინე რა გუნებაზე დადგებოდა შენთვის რომ ასე გაეკეთებინათ. ეგებ გეცადა აგეხსნა, რატომ ფიქრობ რომ ასე სჯობს გააკეთოს და არა სხვაგვარად. თუ საერთოდ არ სურს შენი მოსმენა იქნებ ჩარევა არც ღირდეს ძალმომრეობის ფასად, თუნდაც ამით ვილაცის მატერიალური ან სულიერ სიცოცხლეს შეექმნას საფრთხე.



რასაც არაობიექტურად უდგები, ის რეალურად უცნობია შენთვის და, ალბათ, უკლებლივ ყველა ადამიანისათვის ყველაზე დიდი უცნობი საკუთარი პიროვნებაა.



ის, ვინც საკუთარ პიროვნებას რეალურად ობიექტურად გაიცნობს, მისთვის მთელი სამყაროს ყველა საიდუმლოებები გაიხსენება.



გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. განგება საკუთარი შესაძლებლობების შესაბამის წინააღმდეგობებს აძლევს ადამიანს. უბრალოდ საჭიროა გამოსავლის პოვნა.



თუ ადამიანი ცალსახად და უალტერნატივოდ საკუთარი სხეულის ინტერესებს ემსახურება და ეს ცხოვრების მთავარი და ერთადერთი მიზანი ხდება, მაშინ მასში ღმერთის ცნება, იმაზე უკეთესად გარდაქმნის სურვილი, ვიდრე არის, კვდება.



თუ ადამიანი აღარ ცდილობს გახდეს იმაზე უკეთესი, ვიდრე არის, მაშინ მისი არსებობა ბუნებრივი კანონზომიერების გადასახედიდან აზრს კარგავს. ამ ნამიდან ეს ადამიანი იწყებს ნელ-ნელა კვდომას, ჩაქრობას.



ყველა პრობლემა, რაც კი არსებობს ადამიანის გადასახედიდან, შეიძლება ითქვას, ხელოვნურად არის შექმნილი. ასე ვთქვათ, რეალურად, პრობლემა არ არსებობს. საჭიროა იმ ხელოვნური მარნუხებიდან, რომლებშიც თავს ვიმყოფებთ, ბუნებრივ მდგომარეობაში გადასვლა და პრობლემა უბრალოდ გაქრება.



პრობლემები უნდა იყოს ადამიანის მიზნების და სურვილების არსის და რაობის მოკარნახე.



ინტერესები, მათი სიღრმე, მრავალფეროვნება და ეთიკური ხარისხი პირდაპირ კოპირებულად აისახება ადამიანის მიღწევებში და წარუმატებლობებში, პრობლემებში და განცხრომებში.



ინტერესების შესწავლით მთლიანად და ამომწურავად შეიძლება ადამიანის სრულყოფილი გახსნა. მითხარით თქვენი ინტერესები და გეტყვით ვინ ხართ თქვენ.



ოცნება არსებული რეალობიდან გასვლის, მონყვეტის საშუალებაა. რაც უფრო ღრმა არის ოცნება, მით უფრო მცირეა კონტაქტი რეალობასთან და შედეგად, მით უფრო დიდი სასონარკვეთილება და თვითგვემა მოაქვს.



თუ ერთი ადამიანის ინტერესები მის გარშემო მყოფ ადამიანთა ინტერესებს არ შეესაბამება, მაშინ იგი „უცხო სხეულად“ არის მიჩნეული და მარტოობისთვისაა განწირული, ვიდრე იმ გარემოს არ იპოვის, სადაც იგივე ინტერესებით ცხოვრობენ; ან ვიდრე არ დაემორჩილება იმ გარემოს ინტერესებს, სადაც იმყოფება.



თუ ადამიანის ინტერესები სხვა ადამიანთა ინტერესების დაკმაყოფილებით შემოიფარგლება და ცალსახად მათგან გამომდინრეობს, ასეთ ადამიანს საკუთარი „მე“ არ გააჩნია და იმ ადამიანებს, ვის ინტერესებსაც აკმაყოფილებს, როგორც კერპებს ისე ემსახურება.



თუ ადამიანის ინტერესები მხოლოდ საკუთარი ნება-სურვილების დაკმაყოფილებით შემოიფარგლება და სხვა ადამიანთა ინტერესების იგნორირებას ახდენს ან ცდილობს ეს მაქსიმალურად მოახერხოს, ასეთ ადამიანს საკუთარი „მე“ აღზევებული ჰყავს და სა-

კუთარ პიროვნებას როგორც კერძს ისე ემსახურება და შეძლების-  
დაგვარად სხვებსაც აიძულებს ამას.



თუ ადამიანის ინტერესები სარწმუნო, მდგრადი, ღვთიური ინ-  
ტერესების დაკმაყოფილებით შემოიფარგლება, ის თავისუფლებას  
მიაღწევს.



**რაც შეეხება თავისუფლებას:**

თავის უფალი მხოლოდ ის არის, ვისაც საკუთარი ცხოვრების  
(ბედის) განგების უფლება აქვს მინიჭებული. ისე რომ აბსოლუტუ-  
რი თავისუფლების მიღწევა ადამიანისთვის თეორიულ დონეზეც კი  
შეუძლებელია. თუ ადამიანი ასეთ მეტამორფოზას შესძლებს თავის  
თავში ის უკვე ადამიანი აღარ იქნება, ანუ ზეადამიანი (სულიერი  
სამყაროს სრულუფლებიანი წარმომადგენელი) გახდება.



ჭეშმარიტი სიკეთე იმის კეთებაა, რაც მართლა, რაც ჭეშმარი-  
ტად საკეთებელია.



საკუთარი პიროვნების ინტერესების შეგნებულად დაზიანების  
ფასად ჩადენილი ქმედება სიყვარულის სახელით (ემოციური მი-  
ჯაჭვულობით გამოწვეული) სინამდვილეში ბოროტებაა პირველ  
რიგში იმ ადამიანებისთვის ვისთვისაც გაკეთდა ეს ე. წ. სიკეთე. ეს  
ქმედებები ამ ადამიანების უპასუხისმგებლობის მკვეთრ აწევას ინ-  
ვეს და შეუგნებლობის მომატებას ემსახურება.



ჭემმარიტი ბოროტება იმის კეთებაა, რაც ჭემმარიტად არ არის საკეთებელი.



საკუთარი პიროვნების ინტერესებისთვის ჩადენილი ქმედება სხვა, ამ ქვემედების პროცესში მონაწილე პიროვნების ინტერესების დაზიანების ხარჯზე (ამბიციური მიჯაჭვულობით გამოწვეული), ნამდვილად აშკარა ბოროტებაა, ამ შემთხვევაში, პირველ რიგში საკუთარი პიროვნებისათვის, ვისთვისაც გაკეთდა ეს ე. წ. სიკეთე. გარშემო მყოფი პიროვნებებისთვის კი, ეს უპასუხისმგებლობის გამოვლინების დანახვის მშვენიერი საშუალებაა.



თუ ვინმესთან მიდიხარ გერჩივნოს გულწრფელად გკითხონ რატომ არ მოდიოდი, ვიდრე გულში იფიქრონ, ან კიდევ უარესი, გკითხონ: რატომ მოხვედი?!



ხასიათი, ცალსახად შეიძლება ითქვას, ჩვევებისაგან შედგება.



ვისაც საკუთარი ჩვევების რაობაზე ობიექტური წარმოდგენა აქვს, მას საკუთარი ხასიათის შეცვლის უნარიც გააჩნია ნებისყოფის ძალისხმევით.



საკუთარი ჩვევების კონტროლირების მქონე ადამიანს საკუთარი ბედის განგების სერიოზული შანსები და შესაძლებლობები აქვს.



ერთი, თუნდაც უმნიშვნელო ჩვევაც რომ შეცვალოს ადამიანმა თავის თავში მისი ხასიათი აუცილებლად შეიცვლება.



ჩვევა რაღაცა სახით თავისთავად კერპია და მხოლოდ უჩვეულობით ანუ უშუალოებით შეიძლება კერპებისაგან თავის დაღწევა.



ადამიანისთვის ე. წ. ოქროს შუალეში გადასვლა, რაც, ფაქტიურად, ადამიანური შესაძლებლობების მაქსიმალური ძალისხმევით თუ შეიძლება მიიღწეს, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, ე. წ. სიკვდილის ტოლფასია.



ადამიანის მხრიდან ყველასთან და ყველაფერთან ობიექტური დამოკიდებულება (არაფრისა და არავის სუბიექტური არც მიმხრობა და არც გადადგომა) ანუ უშუალობა მხოლოდ მას შემდეგ მიიღწევა, რაც ოქროს შუალედს ჭეშმარიტად გაივლის. ეს უდიდესი ბედნიერებაა და მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.



ადამიანში სიზარმაცის გამოვლინებას იმ დისკომფორტის, უხერხულობის გრძნობა იწვევს, რომელსაც მოიტანს ნებისმიერი ქმედება ადამიანის მხრიდან და რომელიც შინაგან აღქმაში წინასწარ უკვე ხდება ტვინში ან უკავშირდება იმ ქმედების შედეგებს, რომლებიც წარსულში უკვე იყო.



უშუალობას სიტუაციების, ფასეულობების, ქმედებების, გრძნობებისა და, საერთოდ, ყველაფრის ბუნებრივი გამჭვირვალობა მოაქვს. ადამიანი აღარ არის დამოკიდებული იმ შიშზე, თუ რას იტყვის ან რას იფიქრებს ან რას მოიმოქმედებს გარემო მის შესახებ. იგი ფაქტიურად გარემოზე არ დამოკიდებული, გარემოსაგან თავისუფალი ხდება და გარემო თავად ხდება მასზე დამოკიდებული ნებაყოფილობითა და ხალისით.



ხელოვნურად, არაბუნებრივად შექმნილი გამჭვირვალობა ადამიანში უშუალობას კლავს, ამცირებს და ადრე მორალით, საზოგადოებრივი წეს-ჩვეულებებით, თუ შინაგანი ცენზურით (სინდისით) შეზღუდული არასრულყოფილება უკვე სრულყოფილებად ასაღებს თავს და საზოგადოების ცნობიერების მანკიერი ნაწილი სარეველა ბალახივით ედება საზოგადოებრივი ყოფიერების წესს. ასეთ საზოგადოებაში უმანკოება ნამდვილად ზედმეტი და, უფრო მეტიც, დასაცინი ატრიბუტი ხდება.



არაძალისმიერება ჭეშმარიტად ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ფასეული ცნებაა.



ძალისმიერება მმართველის მიერ სამართავზე მართულის იგნორირებას იწვევს (ინტერესების) და ამას დიქტატურას ეძახიან. სხვაგვარად ამას დემონურობაც შეიძლება ეწოდოს.



ძალისმიერება მმართველის მიერ საკუთარი ინტერესების იგნორირების საზიანოდ და, ცალსახად, სამართავი ნაწილის ინტერე-

სების სასარგებლოდ უსარგებლო, უსუსური, დაბეჩავებული მდგომარეობის წარმოქმნას იწვევს გარემოში და ამას უფრო დემოკრატიის დარქმევა შეეფერება. სხვაგვარად, ამას მონობაც შეიძლება ეწოდოს.



დედამინაზე ზოგადად ადამიანები იმის მიმართ, რაც უყვართ (ყოველ შემთხვევაში ამ სახელით იხსენიებენ) არაძალისმიერი მიდგომით გამოირჩევიან, ხოლო მათთვის კეთილდღეობის, სიამოვნების მინიჭებისათვის კი დანარჩენ გარემოს („მე“-ს სიშორის საფეხურებრივი დაყოფის შკალით) ძალისმიერი მიდგომით უდგებიან. ხოლო ე. წ. ძალიან დიდი სიყვარულის შემთხვევაში კი, ხდება საკუთარი პიროვნების ძალისმიერების (შეგნებულად შეზღუდვა-შევიწროების) ქვეშ ყოფნა ამ საყვარელი არსების (ძირითადად ადამიანის) წინ დაყენებით. ამის შემდგომ კი, როდესაც საბოლოო ჯამში ღებულობენ არასასურველ შედეგებს ყოველთვის უმნიშვნელო სისულელეებს უკავშირებენ ამას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში საკუთარი თავის ქმედებებს გამოწვეულს მათი ფასეულობრივი აღქმიდან.



არაძალადობა არის ძალით არ მიდგომა, ძალმომრეობით არ ზომვა როგორც გარემოს, ისე საკუთარი პიროვნების მიმართ. ძალის ნებისმიერ გამოვლინებას ქვეშარიტ სიყვარულთან არავითარი საერთო არ გააჩნია და ეს წმინდანყლის ემოციების შედეგებია.



ძალადობის არ დაშვების, ან აღმოფხვრის მცდელობაც, თავის მხრივ, უცილობლად ძალისხმევაა, ე. ი. ძალადობაა და ის ადამიანის დადებითი ემოციებიდან იღებს სათავეს, თუ აღმოფხვრის (ან არ დაშვების) მიზანი ძალადობის არ დაშვებაა და არა შიში ახლობელი ადამიანის ან საკუთარი სხეულის დაშავებისა, დაზიანებისა.



სისასტიკე ადამიანის მხრიდან იმ სიტუაციებიდან გამომდინარეობს, რომლებშიც ის დამოუკიდებელი ვერ არის და ეს დამოუკიდებლობა ძალის მეშვეობით (ძალადობით) უნდა მიიღოს.



ეგოიზმს თუ განვიხილავთ როგორც რაღაც კონკრეტულ სიდიდეს და მის რაიმე ერთეულით გაზომვას მოვინდომებთ, მაშინ მე ვიტყვოდი, რომ ეგოიზმის ერთეული არის ჩვევა, რეფლექსი, ინსტინქტი, რაც გინდათ ის დაარქვით, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს.



ეგოიზმის, როგორც სიდიდის რეალური „რიცხოზომი“, ნომინალური მაჩვენებელი კი არის სიზარმაცე.

მე ეს ყოველივე ე. წ. მათემატიკური ფორმულითაც კი შემძღვრულია გამოვხატო.

$$\text{ეგოიზმი} = \text{სიზარმაცე} \times \text{ჩვევა}.$$



დამოკიდებულება, თავის მხრივ, მატერიალურის სიყვარულიდან, მატერიაზე მიჯაჭვულობისაგან მომდინარეობს. აქედანვე ჩნდება შიშები. ამ დამოკიდებულებას მოაქვს ისინი ვერ მიღების, ვერ დაცვის, ვერ შენარჩუნების, არ დაკარგვის, მიჯაჭვულობის ობიექტის მხრიდან არ შენაცვლების და ასეთი ტიპის ვარაუდებისაგან, ეჭვებისაგან.



დამოუკიდებლობა სულიერების სიყვარულიდან, სულიერებაზე მიჯაჭვულობისაგან მომდინარეობს. აქედან ჩნდება ჭეშმარიტი სიყვარული. ამ დამოკიდებულებას მოაქვს ის თვითკმარობის დაცულობის, მიმდინარე რეალობის ობიექტურ რეალობად მიღების, მყუდროების, მიჯაჭვულობის ობიექტის მიმართ ერთგულების და ასეთი ტიპის შეგრძნებებისაგან.



რა არის ადამიანის ცხოვრების არსი?

მე დღეს ცალსახად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არსი მდგომარეობს ადამიანის იმაზე უკეთესად გარდაქმნაში, ვიდრე ის არის. სადამდე? ბოლომდე, ვიდრე ადამიანი ცოცხალია. ეს ძალიან, ძალიან ძნელია, შეუძლებელი თუ არ არის. და რა არის ბოლო? ადამიანი უნდა მივიდეს ღმერთის ცნობიერების აღქმის დონემდე და შეერწყას ღმერთს.

სხვა ყველაფერი დანარჩენი არის ის მოვლენები, რომლებიც ამ პროცესში ხდება და თუ ვინმეს ეს მოვლენები უფრო მნიშვნელოვნად ეჩვენება, ვიდრე პროცესი, ის, უბრალოდ, უგუნურია, ხოლო მას ვისაც ეს მოვლენები არაფრად მიაჩნია, უნდა ყველაფერი გამოტოვოს, ყველაფერს გადაახტეს და პირდაპირ პროცესის ბოლოში მოხვდეს, ისიც მოუთმენელი და უგუნურია.

ზუსტად პროცესის დროს მომხდარი მოვლენები უნდა იყოს მამოძრავებელი წინ უკეთესობისკენ და მათგან ადამიანი მხოლოდ სიაშორებულსა და ღმერთისადმი მადლიერებას უნდა გრძნობდეს.



ჟუჯობაძის ზღაპრები

## ***Уразумительные, уразумляющие стихи***

***В этих стихах есть мудрость о терпении,  
О правильном и нужном себя переменеении,  
О чистой преданности к Богу возвращении  
И о святом и истинном служении.***

## ***Прочувствие состояния блаженства***

Проникнувшись мгновением, чуть дыша,  
Не замечая косвенных движений,  
Зажгется озорении свеча  
Без ускорения и без замедления.

Единым станет все включая то,  
Что называют разделенным «Я»  
В одно желание превратятся все  
остальные множество стремления.

Но почему не может быть  
Что это было постоянно,  
Но почему не может быть  
Не появление обмана.

Для счастья нужно только быть собой  
Какая глупость красть свое же счастье,  
Оно и есть желанное дитя,  
Невинное, прекрасное творение.

А если проведение решит  
Свести меня с той, кто есть часть меня,  
Всем остальным об этом говорить,  
Безчестие, безрассудство и нельзя.

Нельзя кому-то отдавать тот свет,  
Ту чистоту, что не понять другим,  
Они сомнения хором занесут,  
В том, что сердечно отдавал я им.

Такой любовью надо просто жить,  
Питаться ею надо самому,  
Не создавать преграду и обид  
и бесконечно восхищаться ею.

Какое это счастье и блаженство  
Нужно вглубиться лишь духовным средством,  
Им надо очень, очень дорожить  
и смысл богатства в этом отрозить.



## ***Для соблюдения правил игры жизни***

Какую власть дала тебе судьба  
Будь честен и предельно верен ей,  
Всегда держи открытыми глаза,  
Чтоб в них жестокость не открылоб дверь.

## ***Чего не недо забывать никогда***

Признание надо заслужить  
А не насилием дабиваться,  
Да, лучше уж никем не быть,  
Чем из-за славы убиваться.

## ***Любовь не привычка***

Чтобы в когонибудь влюбиться,  
Лишь стоит по просту вглубиться,  
Но если слепо глубоко зайти,  
Быть может рабство для себя найти.

## ***Видение реальности в иллюзии***

Глаза не раз вводили в блуд меня,  
Неоднократно зависть пробуждали,  
Не раз к чему-то страстно прилипали,  
А получив, охоту в том теряли.  
Глаза хотели видеть красоту  
И Красотою этой любоваться,  
Ну а когда порой надоедала,  
В тот миг хотели чем-то оскорбить.  
Но ведь глаза и к святости стремились  
От темноты и мрака уходили,  
Свет видели, все время свет искали  
и даже в снах видением занимались.

Хочу глаза чтоб виделиб любовь  
И никогда того не забывали  
И то что видят вечно понимали,  
Что это есть, чем надо дорожить.  
Глаза должны быть свечками души,  
На всем телесном, выявленном фоне  
И понимать должны что все, что в взоре,  
Душою набранные глупые мечты.  
Вредней всего мечтать за счет любви,  
За счет добра и послушания Бога,  
Когда начнешь осуществлять их в жизни,  
То уже поздно поднимать тревогу.  
Я глаз своих взываю к пониманию,  
Глаза мои служить стремитесь Богу,  
А он взамен себя покажет вам,  
Поставит вас на нужную дорогу.

### ***Невероятно, но очевидно***

Чем больше вспомогательных вещей,  
Тем меньше нужного в природе остается  
И вряд ли к лучшему все это повернется,  
Не будет если понят смысл вещей.  
О, так давно все это началось,  
Что ложь и правда поменяли роли  
И потеряли смысла разговоры,  
Во всем сомнения взяли в руки власть.  
Дешовым способом внимание к себе  
Кто смог привлечь, Примером стал другим,  
Признание получить любым путем,  
Способствовал всю святость позабыть.  
Еще одно – других превосходить  
Став целью, корысть посадив на трон,  
Всех призывали грязь и тьму любить

И не искать, что будет с ним потом.  
А все из-за того, что без сомнения,  
хотели получать все наслаждения,  
Как, чем, зачем, когда и почему,  
Не удавалось думать никому.

К чему все это приведет легко понять  
Тому, кто может здравый смысл принять,  
Терпение им зачтется во сто крат,  
Для ангелов они сестра иль брат.

### ***Испытание***

Хочу ли я, могу ли я,  
Соблазны мира одалеть.  
Постичь души своей ошибок  
И целиком уразуметь.

Хочу иль не хочу, могу иль нет,  
Все это настоящий бред,  
Пока все это не дайдет до сердца  
И не вернется в мозг духовным средством.

Все восхищения чем-то от того,  
Что возмущение чем-то я носил,  
Одно лишь ощущение блаженство  
Имеет смысл хотеть от воли сил.

Очерование относительно к тому,  
В чем некто где-то разочервался,  
Когда-то кто-то лживо, но ведь клялся  
Кто меньше лжет окажется он мил.

Вот так проходит жизнь в телесном мире  
И им завидуют все мертвецы в магиле,  
Себя познать никто уже не в силах,  
Соблазны мира есть для них светило.

Как матыльки стремятся к свету «ламп»,  
А думают до солнца долитают,

Кто видел «лампу» другим мозг «промывают»,  
Что посланы они помочь таким.

Когда свои законы издадут  
И утвердят, что солнце это «лампа»,  
Тогда погаснет якобы светило  
Разоблачат заблудших всех во лжи.

Тогда соблазны мира все умрут  
И вознесутся те кто правдой жили  
Им всем воздастся почести за то,  
Что зло не смог себе их услужить.

### **Что есть соблазн**

Слабее всех на свете тот,  
Кто за соблазны продает  
Того, чему он верил в глубь  
И вере изменил за труп.

Труп это тело без души,  
Труп, это есть души одежда.  
Когда одежда интерес вершит,  
То гаснет исцелении надежда.

В чем состоит соблазны суть:  
Когда к еде стремятся слепо,  
Не жажда или голод движет,  
А наслождение чем-то чрева.

Когда хотят преобрести  
Все бесконечно и без краю,  
Хотя уже не понимают,  
В чем собственность употребить.

Когда хотят иметь влияние  
На тех, кто с виду схожи с ними,  
Не зная что-то морщют лица,  
Закон и влать хотят чтоб были.

Когда достигнут мельком очищения,  
Ну а потом хотят чтоб их хвалили,

Их слушались во всем,  
на них молились,  
Сами ж теряют дар понять других.  
Кто сможет одолеть соблазны эти,  
Реально станет идеальным на планете,  
Себе не изменит уже он никогда,  
Уйдет в небесный мир и на всегда.

### ***Духовное благополучие***

Душою чувствую дашел я до конца  
Путем, которым должен был идти  
И не осталось во мне желания больше,  
Чем в мир духовный навечно перейти.  
    Дух направляет душу в светлый мир,  
    Где нету лжи, сомнений и обмана,  
    Там все вершится от благородных сил,  
    Там нету зла, духовного тумана.  
Благополучие духа есть тогда,  
Когда не телом себя воспринимаешь,  
Когда то тело средством принимаешь,  
В котором временно заключена душа.  
    Когда все материальное вокруг,  
    Воспринимаешь все по назначению,  
    Не хочешь в собственность свое перевести  
    Употребляешь все, но с уважением.  
Когда в контакте с телом схожим входишь  
Влияние получить над ним желания нет  
И ограничишься лишь тем, что ситуация хочет  
и соблюдаешь закон и прерикании нет.  
    Когда в своей душе ты тащишь грязь,  
    Признать, его ты должен и лечиться.  
    И если грязь признанию подчинится,  
    То чистота и святость там внедрится.

Тогда душа от тел освободится  
И к духу с восхищением устремится,  
Дух и душа благополучием наградится  
И даже тело навечно озарится.

### ***Определение назначения духовных знаний***

В чем я силен тем самым и слабею,  
Порой бывает так, что знания есть  
А соблюдать их сам же не умею  
Тогда те знания Богу надо предъявить  
И попросить их объективно оценить.

Чтобы добиться такой великой чести,  
Внутри себя я к Богу искренностью должен проникаться  
И только для того исканием заниматься,  
чтоб Бог бы захотел, что с ним я был.

Не отдавать хотеть я должен то,  
Что сам вглубившись в чем-то находил,  
А должен отдавать хотеть те знания,  
Которых Бог захочет принять и оценить.

В этих строках есть мудрость о терпении,  
О правильном и нужном себя переменении,  
О чистой преданности к Богу возвращении  
И о святом и истинном служении.

## პაქეტი ჩანახატი

გულში ჩარჩენილი მოგონება .....	67
და იქნებ სიცოცხლე ცაშიც გრძელდება? მაშინ... ..	69
დაბრუნება .....	73
გზავვარედინზე.....	79
ამაზე მეტი რა გინდათ კიდევ?! .....	83
ღია წერილი .....	87
სასონარკვეთილი შეგონება .....	91
მოგონებები წარსულიდან .....	93

## გულში ჩაწერილი ჰოვარდები

შენი სიყვარულით დამღალეო – გაახსენდა თავისი სიტყვები თუ ფიქრები ქალს. დიახ, მგონი ეს არც არასოდეს წარმოუთქვამს. მაშინაც ფიქრებში ამბობდა ამას. რამდენი ხნის წინ იყო ეს ყოველივე, თითქოს საუკუნე გავიდა, თითქოს ამ ცხოვრებაში კი არა, სხვა ცხოვრებაში მოხდა. არადა კაცმა რომ თქვას, ხომ არც არაფერი მომხდარა.

მაშინ ის უბრალოდ გოგონა იყო, ყველაფერი ისე უნდოდა, როგორც ყველას აქვს ცხოვრებაში. ის კი, ის ცაზე ტაატით მცურავ ღრუბლებზე უპირებდა თითქოს შესმას. ეს მხოლოდ მან იცის და მას ახსოვს რამხელა განცდა გადაიარა, როდესაც მის ძუძუსთავებს თითები შეეხნენ და არაფერი კი უთხრეს ტუჩებმა, ვიდრე თვითონ არ ჰკითხა – როგორი მკერდი მაქვსო... და ისეთი სიტყვაძუნწი პასუხი მიიღო, რომ... არა, განა ქება-დიდებას ელოდა, უნდოდა საკუთარი განცდის თანაგანმცდელი ეგრძნო, მეტი კი არაფერი.

დიახ, დაიღალა ასეთი სიყვარულით და განა არის კი ქალად გაჩენილი არსება, რომელიც ასეთ სიყვარულს გაუძლებდა? ერთხელაც არ დაუძრავს კრინტი – სად აცხოვრებდა, რას აჩუქებდა, ქორწილს როგორ გადაუხდიდა. არადა, იცოდა, შიგნიდან გრძნობდა, რომ ასე ველარავინ შესძლებდა მის სიყვარულს, მაგრამ... რა ელოდა, რა, რა?!! ცხოვრება ხომ რომანი არ არის, ის კი, მხოლოდ რომანში აპირებდა მუდმივად ყოფნას, ურფო სწორად კი, თვითონ იყო უთავებელი რომანი, ოცნების ნიავი; ნიავი და მეტი არაფერი.

არა გენაცვალეთ, ეს ძალიან ცოტაა, იმდენად ცოტაა, რომ... ნუ, ბოლოსდაბოლოს ონცებას ხომ ვერ შეჭამ, ვერ ჩაიცვამ და ვერც მოეფერები? სულელი ბავშვი, არ გაზრდილი, არ დაუფროსებული. ეული, მაგრამ არა მარტოსული; უსუსური, მაგრამ ძლიერი; შეუხედავი, მაგრამ მშვენიერი; სიტყვაძუნწი, მაგრამ ზღაპრულად თბილი. აი, ეს პარადოქსებიც უკვირდა და ეხლა, დროის გადასახედოდან უფრო პარადოქსალურად ეჩვენებოდა.

არა! ცხოვრება მისნაირთან შეუძლებელია, ის ყოფიერებაში არ უნდა გადაიზარდოს, ის უნდა დარჩეს როგორც ლამაზი ზღაპარი, რომელიც რეალურად არ არსებობს, ის მისი იყოს ვისაც ზღაპრების

სჯერა. მე კი, უკვე დიდი ვარ. ჰო, რა იყო, ბავშვი ხომ აღარა ვარ, მე თვითონ ბავშვები დავაჩინე და დავზარდე. არა, ძალიან კარგი ვქენი, მთელი ცხოვრება დავიტანჯებოდი მასთან. ლექსები, მოთხრობები, სიმღერები, ნოველები, მოაზროვნეთა ძიებები და რა ვიცი კიდევ რა – ეს არასერიოზულია. კიდევ კარგი თავი არ გადავიჩიხე, მაგრად გადავრჩი, ფფფ....

ისე, ნეტავ, ისევ ისეთი ბავშვია თუ... თუმცა მე რალაში მაინტერესებს, ქმარი მყავს, ბავშვები... არა, არა, მას ეს სიტყვა ნამდვილად არ მოუხდებოდა, ქმარი, მისთვის რალაც უხეშად ჟღერს. დამრჩა ეს რაც მაჩუქა. სანყალს, არაფერი ებადა და რაც ებადა იმასაც მე მჩუქნიდა, მაგრამ ისეთი არაფერი უჩუქებია, გამოსაჩენი რომ ყოფილიყო ხალხში. არც თვითონ იყო ისეთი, რომ ხალხისთვის მეჩვენებინა. ჰო, ღარიბი იყო ძალიან, უკიდურესად ღარიბი და ნერვებს ის მიშლიდა, რომ ეს ამბავი, მგონი, არც ანუხებდა მაინცდამაინც. არც დამხმარე ჰყავდა ვინმე, არც მეგობრები, არც მტრები. თითქოს იყო და თითქოს არც არსებობდა. დიახ, აბდაუბდა სიზმარი იყო, უაზრო, უთავბოლო სიზმარი. შემდეგ მე გამეღვიძა და მის მერე სულ მღვიძავს.

არა, ხანდახან ესეც მღლის, მბეზრდება, მაგრამ აქ ყველაფერი გასაგებია. მაშინ ვიღლები, როცა ერთფეროვნება მძიმე ასატანი ხდება, არაფერი იცვლება და ყველაფერი კალკულატორზე გამოთვლილი ციფრებივით გათვლილს და დათვლილს ჰგავს. აი, მაშინ ვიღებ ამ უცნაურ ნაწერებს და ზღაპარს ვუბრუნდები ჩემს წარმოსახვაში. მოკლედ, ბედნიერი ვარ, მაგრამ დედამინა უფრო სხვაგვარად რომ ყოფილიყო მოწყობილი უფრო ბედნიერი ვიქნებოდი.

ერთი კითხვა დამრჩა პასუხგაუცემელი. რა არის სიყვარული? და როგორც კი ამ შეკითხვას ვუსვამ ჩემს თავს ისე ვიბნევი, ვირევი და ვილენები, რომ გადავწყვიტე აღარ ვქნა ეს, მით უმეტეს, რომ ახლა ამაზე ფიქრს აზრი აღარ აქვს, უკვე ველარაფერს შევცვლი.

...და, იქნებ, სიყვარული ყაშიყ გზიყლდებ?! მჰინ...

რჱყ დადისინელი, ის არის ნახალისინელი და  
მხოლოდ იმის ჰბიძის დამიხინელი ნიყინ

დახატა დიდმა მხატვარმა ნახატი დიდებული. ნახატი იგი სულთ ანთებდა და შთააგონებდა სინატიფეს ყოველივესი, რაც კი არსებულა და არსებობს. ყოველი მაცქერალი მისი ივსებოდა მადლით, რომელიც იქიდან გარდმოდიოდა.

და ყოველს, მაცქერალს ნახატისას, აღედრა სურვილი გამოეხატა შეგრძნება, რომელიც შედიოდა მათში. ყოველმა მათგანმა დაინყო გამოხატვა ამ შეგრძნებისა, რამდენადაც შესწევდა უნარი აზრით ამის გადმოცემისა.

თავიდან უსმენდნენ ისინი ერთურთს და სიამოვნებდათ საუბარი ერთმანეთთან და არ ბეზრდებოდათ ეს არც დღე და არც ღამე. ყოველმა იმათგანმა ბოლომდე დასცალა თავისი გული, ბოლომდე გადააქცია შეგრძნებული მადლი დიდებულ სიტყვებად, სასიამოვნო აზრთანყობად. დიდად კმაყოფილნი იყვნენ ისინი ამით და ასე ნეტარ მდგომარეობაში იყვნენ კარგახანს, მხოლოდ ერთმანეთს შეჰხაროდნენ, არლარა უნდოდათ ამის მეტი, რამეთუ სრული გაგება ჰქონდათ ერთურთისა. მაგრამ აღარ აინტერესებდათ ნახატი, თითქოს ბოლომდე მოისურვილესო იგი.

ასე გრძელდებოდა იქამდე, ვიდრე ერთმა იმათგანმა არ განიზრახა თავიდანვე შეექმნა მსგავსი ამ ნახატისა. თავიდან საკუთარი შეგრძნების გადმოსაცემად სურდა ექმნა ეს, რათა სხვა ყველა მის გარშემო მყოფნი, რომლებიც ჭეშმარიტად უყვარდა მას ისევე აღეფრთოვანებინა და დაემუხტა, როგორც დიდი მხატვრის ნახატმა აღაფრთოვანა და დამუხტა ისინი. არ დააკლო არც ნდომა და არც სურვილი. ხატვის დროს კი, ის სურვილი ამოძრავებდა, რომ ყოველ მათგანს ვისთანაც გაგება აკავშირებდა ხელახლა მოანდომებდა ეს ახლად მიწოდებული შეგრძნება ახალ, უკეთეს აზრთანყობად გადაექციათ და ერთმანეთისთვის სიამოვნებით აღვსილებს გაზიარებინათ.



განვლო დროებამ და აჰა, დაამთავრა მან ნახატი თავისი და სა-  
თუთი მოწინებით წარუდგინა იგი სხვათა ყოველთა... მაგრამ არ  
მოხდა ისე, როგორც ეს ამ ერთს წარმოედგინა. დაიწყეს მათ ყვე-  
ლამ შედარება ახალი ნახატისა ძველთან და აღშფოთებულნი უკმა-  
ყოფილებას ვერ მალავდნენ. დასდეს ბრაღი ამას მკრეხელობაში.  
პირველად დაადანაშაულეს მიმსგავსებაში სათაყვანებლისაში და  
კრძალვით მოსაპყრობლისაში, დაუწუნეს ჩანაფიქრი მისი და ნახა-  
ტი იგი რჯულის შებღალვის მცდელობად გამოაცხადეს. აუკრძა-  
ლეს ყველას მზერით შეხებოდნენ ნახატს ამასა და კერპად გამოაც-  
ხადეს.

შემდგომად ამისა, შური შევიდა თითოეულში მათში თავისნაი-  
რისვესთან მიმართებაში და თავადვე დაიწყეს ნახატების კეთება,  
ჩუმ-ჩუმად ერთურთისა. დაიყვნენ მსხვილ ჯგუფებად და ურთიერ-  
თანგარიშგანევა მათი დაიყო და დაიშალა რამდენიმედ. თუმც ამ  
ჯგუფებში გაგება ერთურთისა იყო, მაგრამ ეს გაგება მეტად დაემ-  
სგავსა სხვათა გაგების დაპირისპირებით გამოკვებილ ერთობას.  
ახალი ნახატის ავტორი კი, განდგა იმათგან და ნახატიც თან წაიღო.



განვლო დროებამ კიდევ და იმასაც გამოუჩინდნენ თანამდგომ-  
ნი და მოზიარენი, ვინც გაბედა და შეჰქმნა ნახატი განსხვავებულად  
დიდი მხატვრისა. იწყო მათმა ჯგუფმა გაზრდა და გაფართოება. თუ  
პირველად მოსულნი ნახატით აფასებდნენ ავტორს, შემდგომ შემო-  
მატებულნი ნახატის მომხრეთა რაოდენობით იყვნენ მიზიდულნი;  
ამათ შემდგომად შემოკერებულნი ამ ჯგუფზედა ნახატის მომხრე-  
თა ზრდადი გავლენით სარგებლის მიღების შესაძლებლობით იხიბ-  
ლებოდნენ; აი, სულ ბოლოს ჩამოკიდებულ-ჩაბლაუჭებულნი კი,  
ყალბი კეთილგანწყობით გამოხატული ნიღბით ცდილობდნენ ამ  
ჯგუფში შიგნით შეღწევით მათი ძალა და სისუსტე გაეგოთ და ხელ-  
საყრელ მომენტში დამანგრეველი დარტყმა მიეყენებინათ მათივ

რიგებიდან აღმოცენებული მხატვრისათვის, რადგანაც უმეცარი იყო ბუნება მათი.



განვლო კიდევე დროებამ და გარდაიცვალა ახალი ნახატის ავტორი. მოკვდა იგი თვალთათვის და აღიარა მაშინ ყველამ, დიდმა თუ პატარამ დიდ მხატვრად, მსგავსად იმ დიდი მხატვრისა, რომელთანაც შედარების-და გამოც გაიკიცხა იგი და გაიყო ყველა რამდენიმე ჯგუფად. შეიკრიბა ისევ ყოველი, რათა ხელახლა ყველა გამხდარიყო როგორც ერთი და სრული გაგება და სიყვარული ჰქონოდათ ერთურთისა... მაგრამ უკვე თვალს ვეღარ უსწორებდნენ ერთმანეთს, რალაცა უშლიდათ. მაშინ მოინდომეს ნახატის ცქერითა და იქიდან დაბადებული შეგრძნების აზრთანყობად გარდაქმნილებითა და ამის ურთიერთგაზიარებით მოეცილებინათ უნდობლობა ერთმანეთის მიმართ. თითქოს გულდაგულაც კი ცდილობდნენ ამის ქმნასა, მაგრამ ვერ შეძლეს.

ნახატს კი უცქერდნენ, თვალთ ხედავდნენ, მაგრამ გული სდუმდა. საკუთარი უარყოფა ანუხებდათ თუ ის, რომ მათნაირის მიერ შექმნილს უქცერდნენ, ვერ გეტყვით, მაგრამ შეგრძნება, რაც მათში ჩნდებოდა ნახატიდან კი არა, საკუთარი წარსულიდან მომდინარეობდა. არა, ისე არ გეგონოთ თითქოს საქებარ სიტყვებს იშურებდნენ, ან ყურებამდე ღიმილიანი სახით არ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, როგორ გეკადრებათ. ტაქტიც ჰქონდათ დაცული და თავაზიანი ქცევის წესებიც.

ნახატი ოქროს ჩარჩოშიც კი ჩასვეს და წინ მინაც ჩაუსვეს, რომ არავის დაეზიანებინა. ერთმა მეცნიერმა სპეციალურად შეისწავლა საღებავის ქიმიური შემადგენლობა, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ამას მიუძღვნა და დაასკვნა, რომ ის იდენტური იყო იმ საღებავისა, რითაც თავდაპირველი ნახატი იქნა დახატული. ხელოვნებადმცოდნეებმაც შეისწავლეს და აღიარეს, რომ ხატვის სტილი აბსოლუტურად შეესაბამებოდა დიდი მხატვრის სტილს. თვით ყველაზე დიდმა მოწინააღმდეგეებმაც, ძველი ნახატის ისტორიულმა თავყანისმცემლებმაც კი, დაასკვნეს, რომ ეს ახალი ნახატი ძველი დიდი მხატვრის კურთხევითა და შთაგონებით შეიქმნა.

მოკლედ, ყოველ დღე და ყოველ ღამით უწყვეტი რიგები იდგა ნახატის სანახავად და მის წინ ჩასმულ მინაზე საამბოროდ. ძალიან შეძლებულები დიდი თანხების საფასურად საკუთარ, მათთვის წმინდა, ზეიმებზე დიდი თხოვნა-მუდარის შემდგომ მოატანინებდნენ ხოლმე ნახატს მის დამცველებს სასურველ ადგილას.

მაგრამ ამ უამრავთა რიცხვთაგან ერთიც არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც თუნდაც ოდნავ მაინც შეეცდებოდა შეეგრძნო ის, თუ რას გრძნობდა ის, ერთ-ერთი მათი მსგავსი არსება იმ დროს, როდესაც ნახატსა ჰქმნიდა. ეს ნახატი ხომ ამ შეგრძნებამ შეჰქმნა და არა იმან რადაც აღიქვამდა ეს ყველა ამ ნახატის ავტორს.



ეს გარდაცვლილი, ერთ-ერთი იმათგანი კი, დიდმა მხატვარმა თავის სახელოსნოში დაასახლა და მათი ურთიერთობა თავისდაუნებურად ჰქმნიდა იმ შეგრძნებას, რამაც ეს ნახატები შეჰქმნა და მიუხედავად უწყვეტი, მუდმივი ურთიერთგაზიარებისა, საკუთარ აზრთანყობათა, ისინი არ დაიცვლებიან, არ დამთავრდებიან, არ გაჯერდებიან, მიღწეულს ისე არ დასჯერდებიან, რომ არ შეჰქმნან ახალი ნახატი.

## დაბოლოება

ქრისტე აღსდგა მკვდრითი

სიკვლითა სიკვლითა დაბოლოვებით,

(დასაღლაფისა შინა) ქსოვრისა მოძიჭიერით.

იესო ქრისტედ წოდებული გაკრულ იქნა ჯვარზე ებრაელთა რელიგიური ლიდერების დიდი ძალისხმევით, დიდი სურვილისა და რომის იმპერატორის ისრაელში წარმომადგენლის, პილატე პონტოელის მიერ. განსაკუთრებით ისრაელის სულიერ ლიდერებს სურდათ იესოს ავტორიტეტის სრული განადგურება მათში, ვისზეც ამ უკანასკნელს იმდენად დიდი ზეგავლენა ჰქონდა, რომ ისინი მზად იყვნენ ყველაფერზე მინიერზე უარი ეთქვათ საკუთარი მოძღვრის გულის მოსაგებად. იმ დროში ჯვარზე გაკვრა ყველაზე სამარცხვინო სასჯელად იყო მიჩნეული ადამიანთათვის. რა თქმა უნდა, იესოს მოკვლა მოძღვრის ტანისამოსში გამოწყობილ, იუდაიზმის რელიგიურ დოგმებში ზედმიწევნით განსწავლულ ადამიანებს მალულად, ქურდულად შეეძლოთ, მაგრამ მათ ემინოდათ იმის, რომ ეს მის სახელს უფრო მეტ პატივსა და ღირსებას შემატებდა მისი მიმდევარი ხალხის თვალში. არაერთხელ სცადეს იგი მამა პაპიდან მოტანილი და დამკვიდრებული დოგმების დარღვევაში სახალხოდ ემხილებინათ, მაგრამ ყოველი მათი ცდა მარცხით დასრულდა. რალაცნაირად იესო ყოველთვის ახერხებდა დაემტკიცებინა თანამდებობის პირებათ გადაქცეული სულიერების წარმომადგენელი პირებისათვის, რომ დოგმები, ანუ მინაზე ადამიანთა თანაცხოვრებისათვის შექმნილი დამკვიდრებული წესები, მათსავე მიერ საკუთარი კეთილდღეობის სამსახურში ჰქონდათ გამოყენებული და არა საკუთარი სამწყსოს სულიერი დაცემისაგან დაცვის სამსახურში.

რაც დრო გადიოდა ბიუროკრატის დამსგავსებული ე. წ. მოძღვართათვის სიტუაცია თანდათან უფრო უმართავი ხდებოდა, იესო არც ერთ მათგანს არ უპირისპირდებოდა, არც ერთი მათგანის საქციელს არასოდეს აკრიტიკებდა. მაგრამ... უფრო უარესი რამ ხდებოდა მათთვის. ის იმ ცნობიერებას უთხრიდა საძირკველს, რომლის საშუალებითაც ისინი საზოგადოების ღირსეულ ნაწილად იქნენ აღიარებულნი, რომლის საფუძველზეც მიაღწიეს ტიტულებს. ეს იერარქიული კიბე ადამიანებისათვის პატივისცემისა და მოკრძალების, უკიდურეს შემთხვევაში, რიდის არსებობის საყრდენი

იყო... და აი, მოვიდა ვილაც „ვიგინდარა“ და არა სინედრიონის კურთხევითა და მორჩილი თაყვანისცემით მოძღვრავდა ოფიციალურად დაქვემდებარებულ ადამიანთა სულებს და, რაც მთავარი იყო, მათთვის სხეულებს (ანუ ტვინებს), არამედ საიდანღაც დასაწყისიდან თვითნებობით მოპოვებულ მოძღვრებებს ავრცელებდა. ყველაზე ცუდი კი, ამ ლიდერთათვის მაინც ის გახლდათ, რომ თავად მათდავე გასაკვირდაც კი, ამ მოძღვრებაში აშკარად იყო რაღაც წარმოუდგენლად საჭირო და სასიამოვნო, უზარმაზარი მუხტი ნებისმიერი ადამიანისათვის, თუ ის ამაში სერიოზულად ჩაღრმავებას მოინდომებდა.

არც იმის არ ხსენება იქნება მართებული, რომ რამდენიმე იმათგანმა თავადვე მოინდომა ამ მოძღვრებას გაცნობოდა, მაგრამ ისინი უმალ უკვე განსწავლულისა და მისი შესწავლის საფუძველზე მიღებული მატერიალური კეთილდღეობის შედარებს იწყებდნენ ამ ახალ მოძღვრებასთან. თან ეს იმდენად თავისდაუნებურადაც კი ემართებოდათ, რომ სიღრმეში შესვლას ვერ ახერხებდნენ. აბა რა ექნათ მითხარით, განა რომელიმე თქვენთაგნი დასთმობდა საკუთარი ძალისხმევის ხარჯზე მიღებულ საპატიო მდგომარეობასა და გაჰყვებოდა იმას, ვისაც რეალურად არც ძალაუფლება ჰქონდა, არც წოდება და არც მატერიალური სიმდიდრე.

ჰოდა, გადწყვიტეს იესო ნაზარეტელის პიროვნული ღირსებაც, ხალხში მოპოვებული სახელიცა და მის მიერ მოტანილი მოძღვრებაც ლაფში ამოესვართ, სასირცხვილო საქმიანობასთან გაეიგივებინათ იქამდე, ვიდრე მის ფიზიკურ განადგურებას მოახდენდნენ. ამიტომ, სინედრიონის დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე რომაელებმა იესო, როგორც უკვე ავლნიშნე, მაშინ არსებული ყველაზე სამარცხვინო სიკვდილით, ჯვარზე გააკვრით დასაჯეს.

ამ ფაქტმა საკმარისზე მეტად დიდი ეფექტი გამოიღო ისრაელის სულიერების წარმომადგენელი ბიუროკრატიული სისტემისათვის. იესოს მომხრეებიც კი, სასონარკვეთილებამ მოიცვა. მათ ვერ გაეგოთ ის, რომ, თუ მათი მოძღვარი თვით მამა ღმერთის ძე იყო, მაშინ, რატომ არ ჩაერია მამა ღმერთი და არ დაიხსნა იესო განსაცდელისაგან, ან რატომ არ დაისაჯნენ ისინი, ვინც გაბედა ღვთის ძე-ზე ხელის აღმართვა. მაშინ გამოდიოდა, რომ იესო უბრალოდ თვითმარქვია ადამიანი იყო, რომელიც ამდენ ხალხს უმღვრევდა ტვინებს და ჰპარავდა გულებს. სამწუხაროდ, მათ აღარც მისი მოძღვრება ახსოვდათ, რამეთუ რწმენა, უფრო სწორედ კი ნდობა მათი ეჭვით იყო შემუსვრილი. იმ დღეებში ადამიანთა გუ-

ლებში და ტვინებში ბევრმა ტკივილმა და გლოვამ გაიარა. ძალიან ბევრი იმათგანი თავს რისხავდა იმისათვის, რომ მოხერხებულმა ჯადოქარმა მათ გულებში ეშმაკობით შეაღწია.

რა თქმა უნდა, სინედრიონი ზეიმობდა და ღმერთის ერთგულების დაცვის გამო ერთმანეთს ეს სულიერი პირები ათას საჩუქრებსა და ჯინჯილებს აძლევდნენ. თუ მათივე ენით ვიტყვით, მათ თვით ელზაბელი, სატანა, ეშმაკი და რა ვიცი კიდევ რა არ შემუსრეს და გაანადგურეს, მათგან წასული სამწყსო კი, მათთან ბრუნდებოდა და ჩადენილი ცოდვისათვის მუხლმოყრილი და დარცხვენილი პატიებას ითხოვდა, აი, პატიების რიტუალი კი, ნამდვილ სპექტაკლს ჰგავდა. ძნელია მოიძებნოს პროკურორი, რომელიც თავისი სიმკაცრის სრული გამოვლინებით ამ პერიოდში ამ სულიერ მოძღვრებს შეედრებოდა. ო, რამდენი ნიშნის მოგება იკითხებოდა ამ გამოვლინებულ სიმკაცრეში. აი, ერთი რიგითი დიალოგი რავინსა და ცოდვების მოსანანიებლად მისულ ებრაელ მწყემსს შორის.

მწყემსი – მამაო, შემინდე, რამეთუ ცოდვა ჩავიდინე.

რავინი – გისმენ, შვილო ჩემო.

მწყემსი – ღირსო მოძღვარო, მეც მაცდუნა იმ ჯადოქარმა ღვთის ძე-ს რომ უწოდებდა თავის თავს. ვიცი ეშმაკმა მაცდუნა, გთხოვ, განდევნე ჩემგან ეშმაკეული, რომ ჩემი სული დავიბრუნო.

რავინი – ო, დიდია ცოდვა შენი, შვილო ჩემო, ძალიან ძნელი იქნება გამოსყიდვა მისი. განა არ იცოდი რომ ტაძრის მიღმა ღმერთი თავის სიტყვას არავის ეტყვის. განა არ იცოდი, რომ ეშმაკი ნადირობს ადამიანთა სულებზე და ათასგვარი სასწაულებით ცდილობს დაიბუდოს შენში. შენ ღმერთს უღალატე და ამისათვის ჯოჯოხეთში მოსახვედრად გაიმეტე სული შენი. რითი დახარბდი, რამ გიბიძგა ამ საბედისერო შეცდომისაკენ. ნუთუ ვერ ხვდები, რომ ცოდვათა შორის უდიდესი ცოდვა გაქვს ჩადენილი?!

მწყემსი – ნუთუ არანაირი საშველი არ არის მამაო, გემუდარები არ გამიმეტო მე და ოჯახი ჩემი, ცოლი ჩემი და შვილები ჩემი, გთხოვ, დააბრუნე სული ჩემი ჭეშმარიტების გზაზე.

რავინი – შვილო ჩემო, როგორ დავდგე შენი სულის თავდებად ღმერთთან ხვალე ისევ, რომ გაგიტაცოს ეშმაკის სხვა მოციქულმა, როგორ დავიჯერო ეს. შენ ვერც კი ხვდები, რას მთხოვ.

მწყემსი ქვითინით ლულულულებს – ო, ღირსო მამაო, რა ვქნა?

რავინი – აბრაამიდან ვიდრე მოსემდე და მოსედან ვიდრე დღემდე განა არ ყოფილან შენნაირი ცოდვილნი?! ბევრჯერ ასცდნენ ისრაელის შვილნი ღმერთის გზას და ვერ ისწავლეს ჭკუა. მე მიხდა

ვირწმუნო შენი და დაგეხმარო. ამისთვის უნდა ჰქმნა ის, რაც დანესებულა უფლის მიერ ჩვენსა ზედა. აარჩიე ყოველივე საუკეთესოდ სალი შესანიშნავი, რაც კი მიჩნეულია შესანიშნავად და მოჰგვარე უფალს. ვიდრე მოგეცემა შენდობა უფლის მხრიდან და მიიღებდეს ის მსხვერპლს შენის ხელიდან, მოგიწევს ყოფნა ცოდვაში შენცა, შენს ოჯახობასაც, შენს სახლსაც და შენს ყოველ საკუთრებასაც. მე გაუწყებ როდის იქნება შესაძლებელი შენი გათავისუფლება ამ უმძიმესი ცოდვისაგან.

მწყემსი ფეხებს უკოცნის რავინს – მადლობა მოძღვარო დამიჯერე, აღარასოდეს არაფერი და ველარავინ შესძლებს ჩემს შეცდენასა და ტაძრისაგან დაშორებას.

რავინი – ნადი ახლა!!!

მწყემსი ორადმოკეცილი უკან-უკან სვლით მიდის რავინისაგან და აცრემლებული და დაიმედებული გადის ტაძრიდან.

მკითხველო, გთხოვ, თავი შეიკავო ნაადრევი კომენტარებისაგან. შენ უკვე იცი ვინ იყო იესო, მაგრამ მაშინ, იმ დროში ამ მწყემსის ან ამ რავინის ადგილას რომ ყოფილიყავი განა სხვაგვარად მოიქცეოდი? ასეა მეგობარო, როდესაც ადამიანი (არსება, რომელსაც ღმერთმა ფასეულობათა აღქმისა და ანალიზის უნარი მიანიჭა) სხვა მეორე ადამიანზე ბრმად მიყოლით ან ბრმად დაპირისპირებით იხელმძღვანელებს. მინდა უბრალოდ ჩაფიქრდე ამაზე და არც ამ საწყალი მწყემსის დაცინვა მოგიწდება და, შენ წარმოიდგინე, არც ამ ფანატიკოსი რავინისა, რომელიც, თავისი გაგებით, მართლა ფიქრობს და ჰგონია, რომ იესოს ეშმაკეულად გამოცხადებით მის მამას, თავად მამა ღმერთს ემსახურება.

იესო ნაზარეველი თავისი ურთიერთობების დროს ადამიანებთან (პრინციპში, თითქმის ყველასთან უკლებლივ) მუდმივად ხაზს უსვამდა იმას, რომ მას მოკლავდნენ იერუსალიმში, რის შემდგომაც სამი დღის თავზე ის აღსდგებოდა, ანუ იმ სხეულითვე ამოძრავდებოდა, რომლითაც ის ცნობილი იყო საზოგადოებისთვის. თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს არც მის მოწინააღმდეგეებს სჯეროდათ და არც მის მომხრეებს. ყველაზე გულდასაწყვეტი კი, ალბათ ისაა, რომ ეს არც მის მოწაფეებს სჯეროდათ და ჯვარზე გაკვრის შემდგომ, დიდად არ გახსენებით ეს ამბავი. ამაზე თვალნათლივ მოწმობს თვით პეტრეს რეაქცია იესოს აღდგომის შეტყობის შემდეგ, როდესაც ის გაემართა გამოქვაბულში, სადაც ქრისტეს სხეული ესვენა, რათა

თავად, საკუთარი თვალთ დარწმუნებულიყო ამ ამბის სისწორეში. თომაზე ხომ ლაპარაკიც კი არ ღირს, რამეთუ, არათუ არ დაიჯერა ეს, იმათ ნათქვამშიც კი, ეჭვი შეიტანა, ვინც ნახა და ელაპარაკა მკვდრეთით აღმდგარს ღვთის ძეს.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ჯვარზე გაკვრიდან სამი დღე-ღამის თავზე ადამიანთა დედამიწაზე არსებობის ისტორიულ რეალობაში მოხდა უდიდესი სასწაული ადამიანთათვის ყველა უკვე მომხდარ სასწაულებს შორის. იესო ქრისტედ ნოდებული იმავე სხეულში აღსდგა, რომელიც დასახიჩრებულ (დაზიანებულ) და წამებულ იქნა ადამიანების მიერ. ალბათ, არ არის ძნელი მისახვედრი ის, რომ მღვდელთმთავართა მცდელობამ იესოს სახელის დასვრისა და შებლაღვისა, უკუეფექტი გამოიწვია. არათუ ისინი მიიზიდა მისმა მოძღვრებამ, რომელთაც რაიმე გაეგონათ ამაზე, არამედ ისინიც, ვისაც საერთოდ ცნობიერი შეხება არ ჰქონდათ აქამდე.

რატომ მოახდინა ასეთი დიდ რეზონანსი იესოს მკვდრეთით აღდგენამ? ღვთის ძე იმ პერიოდში მოევიღნა დედამიწას ადამიანის სახით, როდესაც ადამიანებს საკუთარი რაობა მთლიანად საკუთარ სხეულთან ჰქონდათ გაიგივებული ანუ, მათთვის უზენაეს ფასეულობას მათი სხეულების არსებობის (მატერიალური სიცოცხლის) პერიოდი წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, მათთვის უდიდეს პრობლემად მატერიალური სხეულიდან მათი სულის გასვლა, გარდაცვალება ანუ, მათსავე ენაზე, სიკვდილი იყო აღქმული. რაც შეეხება რელიგიურ განანებს, ეს მათთვის მხოლოდ მატერიალური ყოფიერების მოწესრიგების საშუალებად იყო უკვე აღქმული და მათივე სულის მომსახურებას ველარანაირად ველარ ახდენდა. ამისდა გამო, განგების ნებით, მოხდა ამ რელიგიური კანონიკური წესების დაქვემდებარება იმ დროს რომის იმპერიის მთლიანად არარელიგიურ, საერო ანუ უშუალოდ ადამიანთა მიერ შექმნილ კანონმდებლებსა და წესებზე.

დავუბრუნდები დაწყებულ თემატიკას და ვიტყვი, რომ ადამიანად მოვლინებული არსების მიერ ფაქტიურად, სიკვდილის დამარცხებამ, ანუ მკვდრეთით აღდგომამ გამოიწვია იმხელა ყურადღების მიპრობა, რამხელაც ძნელად თუ მიუპყვრია თავისზედ ვინმეს, მით უმეტეს, აბსოლუტურად ყოველგვარი პრაგმატული, სპეკულაციური გზების და საშუალებების გარეშე. უკლებლივ ყველა ადამიანს, ვინც შეიტყო ეს ამბავი, მოუნდა გაეგო იმ ადამიანის შეხედულებები ყველაფრის შესახებ, რომელმაც გაცოცხლება მოახერხა.

ერთი და იგივე სხეულიდან გასვლით და სამ დღეში ხელახლა მასში დაბრუნებით იესო ქრისტედ წოდებულმა (ამ ეპოქაში, რამეთუ სხვა ეპოქებში ადამიანთათვის მას სხვა, უამრავი სახელი ჰქონია) მოახდინა ადამიანთა არაცნობიერული, მაგრამ ინერციული სურვილის გაღვიძება ადამიანში საკუთარი სულის ინტერესების მსახურებისაკენ სწრაფვისა.

ამ დროიდან დაიწყო სრულიად ახალი რწმენის დანერგვა და გავრცელება ადამიანებში და ძველი, უკვე დრომოჭმული რელიგიური პრინციპების ბრმად აღსრულების დონემდე მისული რწმენის გაუქმება. იესომ ზოგადად ადამიანის სხეული საღვთო ტაძრის აღქმის დონემდე დაიყვანა, ხოლო ადამიანის სული ტაძრის ღვთისათვის საჭირო და სასურველ მდგომარეობაში მყოფებელის აღქმის დონემდე.

მთელი სულიერი სამყარო ზეიმობდა ამ დროს. ღვთის ძე იყო მთელს სამყაროში საუბრის ძირითადი თემა. ყველას უხაროდა მის მიერ ბრწყინვალედ შესრულება მისიისა. ამითი ხომ სრულიად ახალი პერიოდი დაიწყო, მთელი, სულიერი თუ მატერიალური სამყაროების რეალურ ცხოვრებაში. ამის შემდგომ ყველა, დიდი თუ პატარა ქალი თუ კაცი, თავისი ქმედების მიხედვით მიიღებდა იმას, რასაც ის დაიმსახურებდა. ეს იყო დასაწყისი იმ ბოლო ჟამისა, როდესაც ყველა უნდა გადანაწილდეს იქ, სადაც ის ამას იმსახურებს.

განგებისა და მამა ღმერთის მიერ დაკისრებული მისიის ბრწყინვალედ შესრულების შემდეგ, ღვთის ძემ (დედამინაზე იესო ქრისტედ წოდებულმა ამ ეპოქალურ რეალობაში) დასტოვა მინიერი სამყარო და სულიერ სამყაროში დაბრუნდა, სადაც თავის ბუნებრივ მდგომარეობას დაუბრუნდა, ანუ ცათა სასუფეველის ერთპიროვნულად უზენაესი პიროვნების შესაბამისი მდგომარეობის ადგილს.

## გზაჯვარედინზე

*ხანდახან, ძლიოს იშვიათად, ძლიოს ძლიერ და სწორად  
ძიბილოლ ადამიანებს გვხვება საყოთაო ბედის გვსვენებს  
ფელონის აძლიერს ხოლმე.*

როდესაც გავიფიქრებ ან წარმოვთქვამ ან ვისმენ სიტყვას **ეს-თეტიკა** ჩემს წარმოსახვაში იღვიძებს ისეთი ცნებები როგორებიცაა: მშვენიერება, გრაციოზულობა, სინატიფე, უმანკოება, სილამაზე, კდემამოსილება, სიფაქიზე და მრავალი ასეთი ეპითეტური განსაზღვრებანი. ესთეტიკას უბრალოდ უნდა უყურო და უსმინო და არავითარ შემთხვევაში ფიზიკურად არ უნდა შეეხო, ვიდრე ეს თვითონ მისი სურვილიდან არ იქნება გამომდინარე, რომ რამენაირი შემთხვევითი ან შეგნებული დარღვევა, დისონანსი არ შეიტანო მასში.

ესთეტიკის ეს ჩემეული აღქმა ხელთუქმნელი ხატის სინონიმით დამაქვს ჩემში და თითქოს სულ მუდამ იმისთვის მიწოდდა მიმელნია, ჩემი არსის გაუკეთესების გზით, რომ თვითონ მას, მის მატერიალურ ხორცეულ ობიექტად გაცოცხლებულს ყველაფერს, რასაც ჩემი წარმოსახვითი შეხედულებებით ამაღ ალვიქვამდი, თავად მოსდომებოდა საკუთარი თავის ჩემთან გაზიარება, ჩაეთვალა რომ მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი და საჭირო ვიყავი, შემდგომ კი, თანდათანობით უფრო და უფრო იმდენად ძლიერ მომდომებოდა რმ საკუთარი არსი ჩემს არსთან მთლიანად შეერწყა.

აღბათ, ამას არ დავნერდი იმდენად პირადული, იმდენად ინტიმური და ხმამაღლა არ სათქმელი რამ მგონია ეს ყოველივე. მაგრამ სხვაგვარად, უფრო ტრაფარეტული ფრაზებით, ვერ ვიპოვე სხვანაირად ჩამოყალიბების ფორმა, რომ ჩემეული ხედვით ესთეტიკის ცნობიერი არსის გადმოცემა მომეხერხებინა. ის იმდენად სათნო და ფაქიზია, რომ მისი შექმნა წარმოუდგენლად ძნელ რამეს წარმოადგენს თუ არა შეუძლებელსაც კი, ადამიანის კვალობაზე. აი, დანგრევა-დაზიანება კი, იმდენად ადვილია, რომ ვიდრე საკუთარი ანგარებისათვის არ უძლევი ვინმეს ადამიანთაგანს, ვგონებ, ჯობ-

დეს ჯერ ნურც ნურსად გადაეყრება ჭეშმარიტი ესთეტიკისა და ესთეტიურობის შესაბამის რასმე, ან თუნდაც ვისმე.

ხომ არ ვაზვიადებ, ზედმეტად ვაიდელეებ, ან ხომ არ ვპირფე-რობ სულაც? **არა!** და შევეცდები განვმარტო რატომ. **ესთეტიკა** თავისი ჭეშმარიტი ე. წ. კლასიკური გაგებით, მთელს არსებულ სამყაროში არსებული სრულყოფილებით საზრდოობს, ჭეშმარიტი სრულყოფილების გამოვლინებას წარმოადგენს. მე და ნებისმიერი სხვა პიროვნება კი, მასთან ურთიერთობისას უნდა ვცდილობდეთ ესთეტიკაში არსებული, ესთეტიკის საშუალებით გადმოტანილი სრულყოფილების ის ნაწილი მივიღოთ და შევითვისოთ საკუთარ არსში, რომელიც ჩვენში ჯერ კიდევ არ არსებობს ან პირიქით, ჯერ არ არსებული სრულყოფილების ახალი პორცია შევიტანოთ საკუთარი არსიდან.

ამისათვის კი, ჩვენს საკუთარ არსში სრულყოფილების ეს ახალი პორცია ჭეშმარიტად უნდა არსებობდეს. სრულყოფილებად მონათლულ არასრულყოფილებას კი, უზარმაზარი ზიანი მოაქვს უკლებლივ ყველასათვის.

მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტ **ეთიკას** აქვს უფლება ჭეშმარიტ ესთეტიკას სრულყოფილების ახალი პორციის მიღება შესთავაზოს. თავად ეთიკას კი, ეს პორცია მთელს სამყაროში არსებულ არასრულყოფილების გადამუშავებით, ფილოსოფიური ძიებით აქვს მიღებული.

როგორც არ უნდა მოგეჩვენოთ უცნაურად, შეიძლება ითქვას, რომ ეს ურთიერთობა ეთიკურსა და ესთეტიკურს შორის, ან თუნდაც, ნებისმიერი სხვა ურთიერთობა ე. წ. მამაკაცურ და ქალურ სანყისებს შორის მიმდინარეობს. თანაც, ერთი უცნაური მახასიათებლით გამოირჩევა. ერთ შემთხვევაში ვილაცასთან ან რალაცასთან მიმართებაში, ერთი და იგივე პიროვნება თუ ქალური სანყისისთვის შესაბამისი საქმიანობით შეიძლება იყოს დაკავებული, მეორე შემთხვევაში, სხვა ვილაცასთან ან რალაცასთან მიმართებაში, მამაკაცური სანყისის საქმიანობით შეიძლება დაკავდეს.

ანუ თუ მამაკაცური და ქალური სანყისების ნებისმიერი ფორმის ურთიერთობებს სქესობრივ ურთიერთობებს დავარქმევთ, მაშინ გამოდის, რომ ნებისმიერი საქმიანობა და მოქმედება ნებისმიერი სახის ინდივიდებს შორის, სულიერ თუ მატერიალურ სამყარო-

ში, სხვა არაფერია თუ არა სქესობრივი ურთიერთობები. სქესობრივ ურთიერთობებს ორგვარი ბუნება გააჩნია. I სულიერი ე. წ. ღვთიური ბუნება, რომელსაც შედეგად სულიერი სიყვარული, სულიერი არსის გაზრდა, ჰარმონიულობა და ბუნებრივობა მოაქვს. II მატერიალური ე. წ. ცხოველი ბუნება, რომელსაც შედეგად მატერიალური სიყვარული, მატერიალური არსის გაზრდა, კომფორტი და ხელოვნურობა მოაქვს.

თვით ერთ პიროვნებაში მიმდინარე შიდა პროცესებსაც კი, შეიძლება სქესობრივი ურთიერთობები ეწოდოს, როგორც ერთ ინდივიდში (მაგალითად ჩემში) არსებული ორი სანყისის, მამაკაცური და ქალური სანყისის ურთიერთობები. ამ ურთიერთობების შედეგად კი, ხდება შიგნით თუ გარეთ არსებული არსის ცვლილება, ხოლო ის, თუ რომელი მიმართულებით, ღვთიური ბუნებისა თუ ცხოველი ბუნების სასარგებლოდ, ეს ინდივიდზე (პირადად ჩემზე) უკვე დამოკიდებული.

ამ ყოველივეს თუნდაც მცირეოდენი დონით ხელმძღვანელობის შემთხვევაში, ვფიქრობ, ნებისმიერი გონიერი არსებისათვის სრულიად გასაგები უნდა გახდეს ის, თუ რაოდენ აუნონავი და გაუზომავი დატვირთვა ეძლევა ე. წ. მამაკაცურ და ქალურ სანყისებს შორის ჭეშმარიტ ურთიერთგაგებას, რომელიც ერთმანეთისაკენ ურთიერთჩაღრმავების დაუოკებელი სურვილით იქნება ნაკვები. მხოლოდ აი, ამ პროცესში წარმოქმნილ შეგრძნებას (როგორც მამაკაცურ, ისე ქალურ სანყისში) შეიძლება და უნდა ეწოდოს მხოლოდ ჭეშმარიტი სიყვარული. ის ქალური სანყისის მხრიდან გულწრფელობით იქნება „გარეთ“, მიმდინარე რეალობაში გამოვლინებული მამაკაცურ სანყისთან მიმართებაში, ხოლო მამაკაცური სანყისის მხრიდან უშუალოდ იქნება „გარეთ“, მიმდინარე რეალობაში გამოვლინებული ქალურ სანყისთან მიმართებაში.

სწორედ აი, ასეთი ურთიერთობის შემთხვევაში შეიძლება ეწოდოს ქალური სანყისის წარმომადგენლობით, განხორციელებად გამოვლინებულ ნაწილს ესთეტიკისა და ესთეტიკურობის უნაკლო წარმომადგენელი, ხოლო მამაკაცური სანყისის წარმომადგენლობით ნაწილს ეთიკისა და ეთიკურობის უნაკლო წარმომადგენელი. უფრო მეტსაც ვიტყვოდი, სწორედ ასეთი ურთიერთობის პროცესმა შეიძლება მოუტანოს როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს (პროცესში

მონაწილეებს) ჭეშმარიტი და მაქსიმალური ბედნიერება და ნეტარება.

აი, სულ ეს იყო, რაც მინდოდა მეთქვა, ესთეტიკის შესახებ, მისი ურთიერთობების შესახებ, მისთვისვე პოზიტიური თუ ნეგატიური კუთხით და ნაწილობრივ, ეთიკის შესახებაც. საერთოდ, ეთიკის აღქმა უფრო რთულია, ვიდრე ესთეტიკისა. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, მისი აღქმა და შეგრძნება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. უბრალოდ მან ეს მართლა უნდა ისურვოს და საკუთარი პიროვნების არასახარბიელო ნაწილს, თავის თავში არსებული ნებისყოფით, სძლიოს, თორემ...

ჩემთვის დიდად სათაყვანებელი პიროვნების, ესთეტიკის სიტყვებით გამოხატვის დიდი ოსტატის, ნოდარ დუმბაძის ერთ პატარა ფრაზას ვისესხებ ცოტა ხნით და ვიტყვი, რომ ეს უდიდესი ნიჭია და ცოდოა ის ადამიანი, რომელიც ამ ნიჭის განცდის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან.

## ამხრე ძეგლი რა გინდათ ყოველ?!

ყველა ადამიანს ეძლევა შინსი ზედნიერი ვახდეს ძეგლი ადამიანის თანაცხოვრებით, ძეგლი სინამდამ ადამიანს ან დაპატარავს იქმდე ყველ ხელება ხოლმე, რომ თეთონ ჰქონ ხელი მის ქსოვრებაში შექმნილ ზედნიერებას.

– იცი, რაც გაგიცანი ჩვენს ურთიერთობებში სიყვარულისა და სილამაზის შენებას ვცდილობ, შენ კი არათუ დახმარება არ გინდა ამაში, პირიქით ჩემს ნაშენებსაც ანგრევ.

– და რაზე იძახი?

– რა ვიცი, ეგეთი შეგრძნება მაქვს.

– ხოო...

– ხომ არ გენყინა? მე სანყენად არ მითქვამს, უბრალოდ სულ მეჩვენება, რომ სადღაც საკუთარი პრობლემების გარშემო ტრიალებ მუდმივად და არავის, არავის ენდობი გულით ეს შენი პრობლემები რომ გაუმხილო. ჰოდა დაგაქვს ასე მძმე გირებივით.

– ალათ მართალი ხარ.

– მე კი, მინდოდა რომ ჩემი ნდობა გქონოდა, მომნდობოდი, შენ კი ყინულის ნატეხივით ხარ და გალობას არც აპირებ.

– რატომ ფიქრობ ასე?

– მართლა გაინტერესებს თუ ზრდილობისათვის მეკითხები?

– (იცინის) არა მართლა გეკითხები.

– მე მგონი შენ ფიქრობ მე ან ვინმეს რომ მიენდო, თუნდაც ეს უღირსეულებს ადამიანი იყოს, ამით საკუთარ დამოუკიდებლობას დაკარგავ.

– და რა არის ცუდი იმაში დამოუკიდებელი რომ მინდა ვიყო? ამაზე მნიშვნელოვანი მითხარი, რა არის შენი აზრით?

– ამაზე მნიშვნელოვანი იმდენი რამაა ვერც წარმოიდგენ.

– მაინც რა?

– იცი, შენ ყველაფერს ტვინით უდგები მხოლოდ და ტვინით ზომავ და წონი.

– აბა შენ ფილტვებით ფიქრობ თუ თირკმლებით? და საერთოდ, ვერ გავიგე, რა გინდა ჩემგან? თუ არ მოგწონვარ ისეთი, როგორც ვარ, ისეთი ნახე, როგორც მოგწონს და გინდა.

– კარგი, ასეც მოვიქცევი, კარგად იყავი.

ამით დაშორდა წყვილი ერთმანეთს და აღარ შეხვედრილან და რომც შეხვედრილიყვნენ კიდევაც სადმე, სრულიად შემთხვევით, ცივი გამარჯობა-ნახვამდის მეტს მაინც აღარაფერს ეტყოდნენ ერთმანეთს, ხელოვნურად გაღიმებული სახეებით.

ამის შემდეგ ახალგაზრდა კაცს უფრო მოემატა იმის შიში, რომ ძალიან ძნელად, ან საერთოდ ვეღარ შესძლებდა დარჩენილი ცხოვრების მანძილზე ისეთი მეგზურის პოვნას, რომელიც მთელი თავისი არსებით, მთელი გულითა და სულით მიენდობოდა და გაჰყვებოდა მას. ანალოგიურად ახალგაზრდა ქალსაც უფრო მოემატა იმის სურვილი, რომ მთლიანად თავის თავზე ყოფილიყო დამოკიდებული და არა ვინმეზე.

გაუმარჯოს გენდერულ თანასწორობას, ძირს სქესობრივი დისკრიმინაცია, მამაკაცისა და ქალის ერთმანეთისაგან ამ ნიშნით გამორჩევა როგორ შეიძლება, ქალებს უფრო მეტი პატივი ეკუთვნით თუ მამაკაცებს – ყვიროდა რადიო და ტელევიზია. ე. წ. საცურაო კოსტუმებში პატარა, ახლად დაქალიშვილებული გოგონები პოდიუმებზე დააბიჯებდნენ სილამაზის კონკურსში ერთ-ერთ პრეტენდენტად მოხვედრის სურვილით, თეატრებში მაყურებელი სულ უფრო და უფრო იშვიათად მიდიოდა სპექტაკლებზე, ამიტომ რეჟისორები იძულებულნი იყვნენ უფრო გამომწვევი ელფერი მიეცათ თავისი ნამუშევრებისათვის და ვულგარული სექსუალური სცენები ჯერ ანკესზე წამოცმულ ჭიაყელას ფუნქციას ასრულებდა, მაგრამ შემდეგ ამ ჭიაყელას „თევზი“ კი არა, თვითონ „მეთევზე“ ეგებოდა უკვე იმდენად ეკეტებოდა გონება.

ახალგაზრდა კაცი კი, მარტო მიდიოდა ნანვიმარ ქუჩაზე. ეს წვიმა რომ ისე შემოეჩვია ქალაქს გეგონება ცას ნახვრეტი გაუჩინდაო. მიდიოდა და უკვირდა. მისთვის თითქოს ყველა კაცი ერთნაირი იყო, დამშეული, ცხოველური ჟინით ანთებული, პასუხისმგებლობაზე მწყრალად მყოფი და მოძალადეობის წყურვილით მთვრალი. მისთვის ახლა ყველა ქალიც თითქოს ერთნაირი გახდა, მაცდუნებელი, ანგარებიანი, ქარაფშუტა, უფლებამოსილების მოსურნე და საკუთარი ნება-სურვილის შესრულებას მოწყურებული (და, რაც მთავარია, ნებისმიერ ფასად).

აი, ასეთი განწყობით მიჰყვებოდა ახალგაზრდა კაცი ქუჩას და ის კი არ იცოდა, რომ უდიდესი ბედნიერება და სიხარული ელოდა წინ. ახლა კი, ამ წამს, უყურებდა ადამიანებს და ფიქრობდა თავისთვის:

„რას ეძებთ ადამიანებო? რატომ ანგრევთ საკუთარ ცხოვრებასაც და სხვებისასაც? დგახართ და ათას სისულელეზე იბურღავთ მაგ თქვენ ტვინებს. ბრიყვებო, ოდნავ მაინც იცოდეთ და გესმოდეთ რა სასიამოვნო და სიმშვიდის მომტანია გულით ხელმძღვანელობა, გულით ცხოვრება. მხოლოდ ამას შეუძლია ბედნიერება და ნეტარება მოგიტანოთ იმ დამოუკიდებლობის სანაცვლოდ, მთელი თქვენი ცხოვრება თქვენის აზრით, რომ ლებულობთ. ადამიანებო, ერთხელ მაინც მოინდომეთ ამაზე დაფიქრება, ანდა საერთოდაც, ამაზე მეტი რა გინდათ კიდევ?!“

თურმე ამგვარი ტიპის განწყობით მიჰყვებოდა ახალგაზრდა ქალიც ქუჩას და არც მან იცოდა ის, რომ მასაც უდიდესი ბედნიერება ელოდა წინ, აი ისეთი, სასურველსაც რომ აღარაფერს დაუტოვებს ხოლმე ქალს. ახლა კი, ამ წამს, ვერც კი ამჩნევდა მის გარშემო მოსიარულე ადამიანებს, მამაკაცებს, რომლებიც მის გვერდით ჩავლისას მუშტრის თვალით შეათვალიერებდნენ ხოლმე და ქალებს, რომლებიც მხოლოდ კონკურენტის დანახვას ცდილობდნენ მასში.

ახლა მის არსებაში ერთადერთი ადამიანი იყო წარმოსახულიცა და გამოსახულიც, თითქოს აი, აქვე ცოცხლად ხედავდა და ესმოდა მისი. აი, ასე არარეალურ აბსტრაქტულ ზმანებას უმზერდა და ფიქრობდა თავისთვის:

„და, რაო ვითომ, მაგარი დამოუკიდებელი გოგო ვარ?! და ამით რაო, რომ... არა! მაინც როგორ დამტოვე და წახვედი, რატომ მომეცი საშუალება დაგმორებოდი? რატომ! რატომ! მე ხომ ბევრი რამე არ მითქვამს შენთვის, რას ვფიქრობდი შენზე, რას ვგრძნობდი შენთან მიმართებაში, განა მართლა გგონია, რომ გული არა მაქვს? ბოროტო, მე ხომ შენ მთელი თხუთმეტი წელი გელოდი. აი, ასე უბრალოდ, როგორ გამიშვი ხელი. შენ კი, არ დამაცადე შეგჩვეოდი, არ დამაცადე გავხსნილიყავი შენთან. აი ახლა, აქ რომ იყო მთელს ჩემს ქალურ სიამაყეს გვერდზე გადავდებდი, სულ ფეხებზე დავიკიდებდი და დაგიმტკიცებდი, რომ მე არა ვარ ისეთი ცივი ყინულის ლოდი შენ რომ გგონია, რომ ჩემი გული შენს გულზე უფრო თბილი და ალერსიანია. მე შენთან სრული გაშინაურების, შენი გათავისების მეშინოდა. მეტი არაფერი იყო ჩემი გარეგნული სიცივის მიზეზი, შენ კი, გეგონა, რომ მე შენ არ...“

უცებ იგრძნო როგორ მოაწვა ყელში რალაც ბურთივით, გული აუჩუყა და ტირილი მოუნდა, თავისდაურნებურად თვალიდან ცრემლი ჩამოუგორდა და ინსტიქტურად ჩანთაში ხელსახოცის ძებნა დაიწყო. ახლა ქუჩაში რომ არ ყოფილიყო, მთელი ხმით აქვითინ-

დებოდა ალბათ, დაიცლებოდა წყლის წვეთებით გაბერილი ღრუბელივით შემონოლილი ბურთისაგან.

უეცრად, საკუთარი სახელი გაიგონა და თავი რომ ასწია თავის წინ ის დაინახა.

– როგორ ხარ?! – ჰკითხა ახალგაზრდა კაცმა და თვალებში ჩახედა ისე, თითქოს მისი სულის მთელი სიღრმის, მისი ახლანდელი აზრების წაკითხვა უნდაო.

– ცუდადა ვარ, ბოროტო, ცუდად. საზიზღარო, როგორ დამტოვე, უსინდისო, ეგოისტო, ბოროტო, ბოროტო, ბოროტო.

ახალგაზრდა მამაკაცმა ქალი თავისკენ მიიზიდა და მკერდში ჩაიკრა.

– კარგი პატარა, დაწყნარდი.

დაწყნარდით და ამჯერად უკვე თავი ველარ შეიკავა, მთელი ხმით აქვითინდა გოგონა. ის ტიროდა, მთელი ხმით ღრიალებდა. მისი ცრემლებით მამაკაცის ზედა მაისური თავსხმა წვიმაში მოხვედრილივით სველდებოდა. ქალი კი, დროდადრო თავისი პატარა სუსტი ხელებით მკერდზე პატარა ბავშვივით უბავუნებდა.

ყველა მათ მიშტერებოდა გამვლელიცა და გამომვლელიც, თუმც დადგომისა ერიდებოდათ და თავისი გზით მიდიოდნენ შემდეგ. ესენი კი, ახლა, ამ წამს ერთმანეთის მეტს ვერავის ხედავდნენ და ვერავის ამჩნევდნენ. იდგნენ ასე, გახევებულებივით, ერთმანეთს მიკრულები და მთელი სამყარო მათთვის ამ წამს ეს ერთი მტკაველა მინა იყო.

მამაკაცი თბილი ალერსიანი ხმით ამშვიდებდა და ფაქიზად ეხებოდა, თითქოს ეშინოდა მირაჟივით არ გამქრალიყო თავის გულში უკვე გამოტირებული და აი, ასე უცნაურად, ხელახლად შექმნილი, მისთვის უსაყვარლესი არსება. ქალი კი, ქვითინებდა და თავით მამაკაცის მკერდს უფრო მაგრად და მაგრად ეკვროდა.

ძნელია ვინმემ ეს გაიგოს რაოდენ ბედნიერნი იყვნენ ისინი ამ წამს. უცნაურია, მაგრამ ახლა მათ საერთოდ არაფერი, არაფერი არ სურდათ, აი ასე, შუა ქუჩაში დგომისა და ასე უხმოდ გულების გახსნის მეტი ერთმანეთისთვის.

ღია წერილი საქართველოს,  
ქართველი ერის გონიერ ნაწილს, რომლისთვისაც  
საქუთარი ერისა და საქუთარი ქვეყნის ბედი  
ნამდვილად არ არის სულერთი

მე მსურს მოგმართოთ თქვენ, როგორც მამებს. ჩვენი თაობა თქვენ შვილებად, თქვენს მომავლად გეკუთვნით. პირადად ჩემთვის, ისევე როგორც ჩემი თაობის სალად მოაზროვნე ნაწილისათვის, თქვენ მისაბაძი, სამაგალითო, დიდი ადამიანები ბრძანდებით, რომელთა მიმართაც უზარმაზარი მოკრძალება და პატივისცემა გაგვაჩნდა, გაგვაჩნია და მომავალშიც ასეთი განწყობა გვექნება, ვიმედოვნებ.

მაგრამ... კაცმა მაღაო და ჭირმა თავი არ დამაღაო. მე თქვენ მინდა მოგმართოთ, როგორც მამებს თქვენივე შვილთა თაობის ერთ-ერთმა რიგითმა, უბრალო წარმომადგენელმა, რომელსაც არაფერი გააჩნია დღეს ისეთი, რითაც ადამიანებს ყურადღების ღირსად ჩათვლიან ხოლმე დღესდღეისობით, ჩვენს დროში. შეიძლება ჩემი პიროვნული მაგალითების მოყვანა მეტად გაზვიადებულად და ერთ ცალკეულ შემთხვევად მონათლოთ, მაგრამ თავს ვაძლევ უფლებას ვთქვა, რომ არა ასეთი ტენდენცია სტანდარტად დამკვიდრებულ დონეზე, საკუთარი პიროვნების პრობლემებით თავს ნამდვილად არ შეგაწყენდით, ეს მეტისმეტი თავხედობა იქნებოდა ჩემის აზრით.

ბევრი ლაპარაკით აღარ დაგვლით. სიბრძნე იყო თუ სისულელე, ის, რაც მინიმუმ ათი წლის განმავლობაში ყალიბდებოდა ჩემს ცნობიერებაში, როგორც ჩვენს საზოგადოებაში არსებულ პრობლემათა გადაჭრის ძიებისა და მოძიებულის ჩამოყალიბების გზები, საბოლოოდ რაღაცა სახით ფურცელზე გადავიდა და რაღაცა დაფიქსირებული სახე მიიღო. კიდევ გავმეორდები, შეიძლება ეს სრული სისულელე, უტოპია, არარეალური ფანტაზია, ან პირიქით, სიბრძნე, გამოსავალი, რაიმე საჭირო იყო. ყოველ შემთხვევაში, ეს არ იყო ჩემი შესაფასებელი და ჩემის ღრმა რწმენით (ყოველ შემთხვევაში მე ასე მწამდა მაშინ) ეს იმ საზოგადოების გონიერების წარმო-

მადგენელ ადამიანებს უნდა შეეფასებინათ, რომელ საზოგადოებაშიც მე ვიმყოფებოდი და რომლისთვისაც ჩემი კეთილი განზრახვით ვირჯებოდი ათი წლის განმავლობაში.

ჰოდა, აი ასე, ყოველგვარი პროტექციებისა და ტელეფონების ზარების გარეშე მივადექი მამების თაობის იმ ნაწილს, რომელსაც არათუ შეეძლო მხოლოდ ამ ჩემი ნაწერის შეფასება, არამედ, ჩემის აზრითა და შეხედულებით, ევალებოდა კიდეც. იქნებ, ვინიცოცხა მართლაცდა ამ ჩემის შეხედულებებით საითმე მოუსაველეთმი მივექანებოდი და თუ არა, იმათი ზრუნვა, ინტელექტუალური ლოგიკით დარწმუნების საშუალებით, ჩემივ ცდომილების ჩვენება შეძლებდა კი, ვინმე სხვა ამას? ვგონებ, ეს ლოგიკა მაინც არ გამოჩინდება მცდარად და სულელურად.

აი, ამ სულისკვეთებით მივადექი თავდაპირველად საკმაოდ დაბალი რანგისა და იერარქიის წარმომადგენელთ. სხვათაშორის, ძალიან გამიკვირდა ერთ-ერთი ქალბატონის სახეზე ირონია რომ წავიკითხე, მაგრამ ისეთი დაპირება მივიღე მისგანვე, რომ ეჭვის შეტანა რაიმეში ჩემს მომეტებულ მგრძნობიარობასა და სუბიექტურობას დავაბრალე და დიდი იმედით წამოვბრძანდი იქედან. გადიოდა დღეები, კვირები, თვეები... წლებამდე საქმე არ მივიდა საბედნიეროდ, მაგრამ ერთი ფაქტი კი მაგრად ჩამრჩა მესხიერებაში. როდესაც ჩემი ნაწერის დასაბრუნებლად მივედი ამ ქალბატონმა აუდიენციაზე უარი გამოაცხადა (როგორც მითხრეს ავეჯის ინტერიერის შერჩევით იყო დაკავებული) და დაცვის ბიჭების ხელით ველირსე უკან მიმეღო საკუთარი ნაშრომი.

ყოველ შემთხვევაში, მაშინ მივხვდი, რომ საქმე ისეთ ადამიანებთან უნდა დამემყარებინა, რომლებიც მატერიალურ ყოფიერებას მონობაში არ ჰყავდა მოქცეული. არა მსურს დავწვრილმანდე თითოეულ საფეხურზე ამ ძიებისა, არც ის პიროვნებები მინდა მოვიგონო ამ წერილში, თუნდაც აი, ასე ანონიმური ფორმით, მაგრამ ჩემდა გასაოცრად ხელწერა აბსოლუტურად ერთნაირი აღმოჩნდა როგორც ქვედა, ისე ზედა ნაწილში საქართველოს, ქართველი ერის გონიერების წარმომადგენლობით ნაწილში. ერთი კია, წმინდა კომუნიკაციის, ურთიერთობების დონეზე ზედა დონე (პროფესორები, დოცენტები, მეცნიერებათა დოქტორები თუ აკადემიკოსები) სკურპულოზური დახვეწილობით ამკარად გამოირჩეოდნენ. თითო-

ეული მათგანი კი, ჩემი ცხვორების სამ, ოთხ, ზოგჯერ შვიდ-რვა თვეს „იპარავდა“ და „ნაგავში აგდებდა“.

ჩემდა გასაოცრად ისეც კი მოხდა, რომ ჩემი ნაწერი ყველას მხრიდან რატომღაც მხურვალე მონონებას ლებულობდა და განხილვის რაიმე ფორმამდე კი, ვერც ერთ მათგანთან ვერ „მივბობლდი“. ყოველ მათგანთან ერთადერთი შეკითხვით მივდიოდი – როგორ ფიქრობთ, ეს ადამიანებს, ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლებს, ქართველ ერს სჭირდება თუ არა? პასუხი? პასუხი ყოველთვის ერთი და იგივე იყო ხოლმე – რა თქმა უნდა, რას ბრძანებთ.

თქვენ წარმოიდგინეთ, იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ ჩემთვის უდიდესი პიროვნების დახმარებით ჩემი ნაშრომის ბეჭდვითი ფორმით ჩამოყალიბება (დაკაბადონება) მოხერხდა და აგრეთვე მეორე პიროვნების დახმარებით, გამომცემლობაშიც კი გამწესდა.

ნამდვილად არ დავინწყებდი ამ წერილის წერას, რომ არა ჩემთვის სრულიად გაუგებარი რამ არ მომხდარიყო. გამომცემლობაში რამდენიმე თვის უპერსპექტივოდ დების შემდეგ ჩემი წიგნის გამოტანა დავაპირე. ჩემს გაოცებასა და აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც რედაქტორმა წყნარი, გულდამშვიდებული ხმით მომახსენა, რომ ვინაიდან მე ერთი თვის თავზე არ გამოვჩნდი, ჩემი წიგნიც და ელექტრონული ვერსიაც ნაგავს გააყოლეს თურმე.

ბატონებო და ქალბატონებო, თქვენ, ვისაც ერის გონების მოვლა-პატრონობა განდოთ და ჩაგაბარათ განგებამ, რატომ გიკვირთ, რომ შვილთა თაობის ყველაზე მდაბიო ხეპრე, ცინიკური, გადაგვარებული ნაწილი დაგინინაურდათ ხელისუფლებისა თუ ახალი განათლებულობის სისტემის მანტიით შემოსილი. განა, რომელიმე თქვენგანი ასე მოექცეოდა თავის შვილს ან ძმის შვილს, ან დის შვილს, ან შორეულ ნათესავს, ან პროტექციისა თუ მატერიალური ნივთებით პატივისცემის უნარის მქონეს?

მე და ჩემნაირები შეიძლება უყურადღებოდ და უგულისყუროდ დასტოვოთ, მაგრამ თქვენი შვილების ბედი განა იმაზე არ არის დამოკიდებული, რომ ერის გონმა არ მიიძინოს, ისეთ ღრმა ძილს არ მიეცეს, რომ მკვდარს დაემსგავსოს?

ეს, მით უფრო დღეს არის ესოდენ დიდი მნიშვნელობის, როდესაც ქართველი ერი საკუთარ მრწამს სურთ გადააცდინონ. ისე, მე, რა თქმა უნდა, თქვენთვის არაფერს წარმოვადგენ, თქვენთვის არც

ნათესავი ვარ (რითაც, სამწუხაროდ, ფასდება ყველაფერი საქართველოში და რისი შეფასების უფლებაც ჩემის აზრით, გონების სამსახურში მდგარ ადამიანს არ აქვს) და არც თქვენთვის საყურადღებო რამ გამაჩნია. მაგრამ ძალიან გთხოვთ, უაზრო და ფუჭი იმედის მოცემის ნაცვლად პირდაპირ გვითხარით, მე და ჩემნიარ ადამიანებს, რომ თქვენ არ გჭირდებით და არც ჩვენგან გარდამომავალი სიახლეები მიგაჩნიათ რამედ.

მაგრამ ჩვენ, აი ასეთები, ზუსტად ასეთები, ძალიან, ძალიან გჭირდებით თქვენ, ზუსტად ეგეთებს, თქვენ ეს მგონი არ იცით და თქვენ ეს უნდა გაიგონოთ და უნდა იცოდეთ, თორემ დაგექცევათ თავზე ყველაფერი თქვენც, ჩვენც და იმათაც, ვინც თქვენს პატივის აყრას ცდილობენ და ეცდებიან. ამიტომ დაბეჯითებით გთხოვთ, მოგვისმინეთ, მოგვისმინეთ, მ ო გ ვ ი ს მ ი ნ ე ე - ე ე თ !!!

## სასწრაფოები

*ყოი ბილყა ბოროსი მტეხსი,  
ვისა მოხელის ვინუ ზქაბდა?!  
არ სოდა მეწითი ბიკლა ბეჭი,  
ბოჩლოყ ლქიტოხ თეფ დალოყა.*

ბატონებო და ქალბატონებო, როგორ გგონიათ, რა არის სიყვარული? ჩემის აზრითა და შეხედულებით, ეს ისეთი რამაა, რომელზედ ძვირფასი რამ არავის არ გაგაჩნიათ. უბრალოდ, ეს ნელ-ნელა გავიწყდებათ და რაც უფრო მეტად გავიწყდებათ, მით უფრო მეტად უფროსდებით, ასე ვთქვათ, დიდები ხდებით და თქვენი ალალი, სუფთა, სპეტაკი, ბავშვური ბუნება დავიწყებაში გადაგაქვთ, ვიდრე საკუთარი სხეულის ყოფიერების უზრუნველყოფის მონები არ ხდებით ბოლომდე. კარგავთ ნდობას ყველასი და ყველაფრის მიმართ, აღარ გახარებთ თქვენი ოჯახის წევრების, მეგობრების, ერთდროს საოცნებო ადამიანების სიხარული, აღარ გამწუხრებთ მათი მწუხარება. ყოველი წამი და ამ წამში ჩადენილი (მომხდარი) ქმედება საშინლად გაღიზიანებთ თუ ის წინასწარ, საკუთარ გრაფიკში ჩასმულ, წინასწარ გათვლილ და გათვალისწინებულ მოქმედებას არ დაემთხვევა.

ბატონებო და ქალბატონებო, სიყვარული ეს სიცოცხლეა თავად, ეს პროცესია, როდესაც არ იცი და არც გინდა იცოდე რა მოხდება შემდეგ წამს, პროტოკოლური განრიგით. ეს საკუთარი სულის გაცემისას, გაზირებისას, საკუთარი გულის გახსნისას წარმოქმნილი რამაა, რაც ელექსირივით ასაზრდოვებს ყველას და ყველაფერს.

მზე როდი ანგარიშობს რამდენი სიტბო და სინათლე გასცა და ამიტომ სულელი უნდა დაერქვას? მაგრამ სხეულის ზრუნვაზე თავგადაკლულებს გახსენდებათ კი, რომ თუ არა მზე თქვენი სხეული ერთი წამითაც ვერ იარსებებდა?!

გინდათ გითხრათ როგორები ხდებით, უკვე დაუფროსებულის თანამდებობას როდესაც მოგანიჭებენ სხვა, თქვენზე უფრო ადრე

დაუფროსებულები? – შეიარაღდებით სერიოზულობის ნიღბით, ცდილობთ ყველას დაანახოთ ის, რაც რეალურად არა ხართ. საკუთარი, თუნდაც უმნიშვნელო გასაკეთებელი რამ ყველაზე მნიშვნელოვნად გინდათ წარმოაჩინოთ. ვინც თქვენს შეხედულებას არ გაითვალისწინებს (განსაკუთრებით ბავშვებს) იძულება შეუქმნათ მიიღოს იგი და გააკეთოს ისე, როგორც თქვენ თვლით საჭიროდ.

მოკლედ, იმდენად დარწმუნებული ადამიანის სახე უნდა გქონდეთ (რა თქმა უნდა, ხელოვნური), რომ თქვენი თვითდაჯერებულობით სხვა ადამიანებში შიგნით ეჭვი უნდა აღძრათ, რომ თქვენ ხართ მართალი ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში.

ეჰ, ნეტავ მართლა, ჭეშმარიტად მართლები იყოთ, მაგრამ თქვენი ხელოვნური გარეგნობა და თქვენი მეთოდები გაგცემთ ხოლმე ბატონებო და ქალბატონებო. თქვენ გსურთ იბატონოთ, დაამონოთ, აიძულოთ, არ გააგებინოთ ისე გაიტანოთ თქვენი. არადა, რასაც სხვას აიძულებთ შენიღბულად თუ შეუნიღბავად იმისი ხომ თავადვე სიკვდილივით გეშინიათ. სიკვდილი კი, თქვენთვის ხომ თქვენი არსებობის დასასრულად არის აღქმული, რამეთუ სულისა არაფერი გიცვნიათ ხეირიანად.

ამიტომ, მოიხსენით უფროსების ნიღბები და სიყვარული თესეთ, შეიყვარეთ და შეგიყვარებენ, გაითავისუფლეთ სულები და გიყვარდეთ, გიყვარდეთ, გიყვარდეთ სრულად!!!

## მოზონები ნაოსლოდს

უცნაურია, ამდენი ხანია აქ, ცათა სასუფეველში ვიმყოფები და ასეთი უცნაური შეგრძნება არ მახსოვს რომ მქონოდა. ამდენი რამ შევისწავლე, ამდენი ცოდნა მივიღე, სულიერ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იერარქიის მატარებელ ადგილზე ვიმყოფები, უამრავი ცოცხალი არსებისათვის სანუკვარ, საოცნებო ადგილზე... და მოვინწყინე, თავად მიკვირს, მაგრამ ამ შეგრძნებას ვერაფერს ვუხერხებ. არადა, როგორ მერიდება ღვთის ძისა, ალბათ როგორ ეწყინება ეს რომ გაიგოს, მაგრამ ეს მოწყენილობა შემიძვრა სულში და მღლის, ძალიან მღლის. არა, უნდა ვუთხრა, დამალვა კიდე ვფრო ცუდი იქნება. ან რატომ დავუმალო? ის ხომ მე ძმასავით მიყურებს და ძმად მომიხსენიებს ხოლმე, როდესაც შევხვდებით ერთმანეთს და ვსაუბრობთ.

ამის გაფიქრებაც არ ჰქონდა დამთავრებული, ცათა სასუფეველში მცხოვრებ ერთ-ერთ ცოცხალ არსებას, რომ ღვთის ძე დაინახა მისკენ მომავალი.

– გამარჯობა ჩემო ერთგულო მეგობარო, როგორ ხარ? – მიმართა თავადვე თავის სამფლობელოში მყოფ თავის დიდ ხნის თანამოაზრეს.

– მადლობა დიდებულო უფალო, შენი ერთი წამით ხილვაც კი, უდიდესი ბედნიერების მიზეზია ჭეშმარიტად გონიერთათვის. შენ ესოდენ დიდი მადლი გამოიჩინე ჩემს მიმართ, რომ შენს პირად სამფლობელოში, შენი კალთის, შენი მფარველობის ქვეშ მიმიჩინე ბინა. სულელი უნდა იყოს ნებისმიერი შენი პიროვნების სიახლოვეში მყოფი არსება, რომ ამ უდიდეს მადლს ვერ აფასებდეს. კადნიერებად ნუ ჩამითვლი ღვთის ძეო, მაგრამ, მგონია, რომ ვისაც აქ ყოფნა აღირსე დაუმსახურებლად არ მოგიხვედრებია.

დიდებულო უფალო, შენ იმდენად დიდი სიყვარული გაქვს ყოველი ჩვენგანის მიმართ, ვინც აქ ვიმყოფებით, რომ წამიერად არ გტოვებს ჩვენზე ზრუნვის სურვილი. შენი ეს უცაბედი გამოჩენა კიდე ერთი დასტურია იმისა, რასაც ვამბობ.

სწორედ ახლა, აი, ამ წამს მსურდა შენი ნახვა და გადმოცემა იმისა, რაც ჩემში ხდება. მსურდა მეკითხა, რა მჭირს, რა ხდება ჩემს თავს და როგორ მოვიქცე. ეს კი, იმიტომ მსურს მოვიმოქმედო, ღვთიურო პრინცი, რომ ყველაზე დიდი მკრეხელობაც კი, უმნიშვნელო გულჩახვეულობიდან და არაგულწრფელობიდან ამოიზრდება ხოლმე.

ღვთის ძემ სასიამოვნო ღიმილით გადახედა საკუთარ ქვეშევრდომს, რომელსაც ეტყობოდა მართლა დიდი სიყვარულით უდგებოდა და აღერსიანი ხმით უპასუხა:

– მე ძალიან მსიამოვნებს, ჩემო შვილო და ჩემო ძმაო, რომ არ გსურს ჩვენს შორის რამე საიდუმლოებამ და გაუგებრობამ დაიღოს ბინა. ისიც ჭეშმარიტად სწორი, სალი ნათქვამია, რომ ყოველივე უწმინდურობა საკუთარ თავში ჩაკეტილობიდან, ღმერთთან გაუცხოვებისაგან ჩნდება და იზრდება, ზოგჯერ კი, იმდენად უზარმაზარ ფორმებში გადადის, რომ მათ აღმოსაფხვრელად საუკუნეები და ათასწლეულები შეიძლება ხოლმე გავიდეს. შენ ისიც სწორედ ბრძანე, რომ ყველანი, ვინც აქ იმყოფებით, ჭეშმარიტად დაიმსახურეთ ეს, სხვაგვარად აქ ვერ მოგახვედრებდით, მეც კი, ძალიან რომ მდომებოდა ეს.

მე მეტად კმაყოფილი ვარ შენით, ისეთით როგორც ხარ, ამიტომ მიყვარხარ და როგორც კი მიხმე შენს გულში, იმ წამსვე აღარ დავაყოვნე და თავადვე მოვინდომე შენთან გასაუბრება. ისე რომ, თავისუფლად და სრულად მსურს მითხრა ყოველივე, რაც განუხებს. მე გისმენ.

ამის თქმის შემგომ ღვთის ძე გაჩუმდა და მთელი თავისი ყურადღება თანამოსაუბრეს მიაბყრო.

– დიდებულო უფალო, მე კარგად ვიცი რამხელა მაღლი მომეცა, როდესაც აქ, შენთან მომიჩინე სამყოფელი. უდიდესი ჯილდოა ყოველი სულდგმულისათვის შენი ხილვისა და შენს სიახლოვეში ყოფნის შესაძლებლობა. შენი დიდი ნყალობა იყო ჩემზე იმ უდიდესი მისტიკური ცოდნის გაზიარება, რასაც მაზიარე. შენი მაღლიერება ჩემს გულში ღრმად მაქვს ფესვგადგმული. მე უკვე შევიცანი შენი ნყალობით რაც მილიარდობით ცოცხალი არსებებისათვის მიუწვდომლად არის მიჩნეული. ისიც ვიცი, რამხელა ბედნიერებაა იმ-

ხელა სიმდიდრის ქონა, რასაც ტრანსცენდენტული ცოდნა ჰქვია. თუმცა, განუწყვეტილად რომ ვილაპარაკო, შენ თავადვე, ჩემზე გაცილებით უკეთ უნცი, რა ხდება ჩემში. თვითონ შევეცდები გითხრა ეს, რამეთუ ეს შენი სურვილიც არის.

ღვთის ძე ღიმილიანი სახით უყურებდა მას და იგრძნობოდა როგორ სიამოვნებდა მისდამი სრულად გულწრფელად თვითგამოხატვის მცდელობა.

– დიდებულო უფალო, უცნაური მოწყენილობის გრძნობა შემომეპარა სადღაცადან და თავადვე ვერ ვგებულობ როგორ მოხდა ეს. ვცდილობ ყოველივე ის ვაკეთო, რაც აქ, ცათა სასუფეველში არის საქმნელი, მაგრამ რაღაცა აღარ მიშვებს ეს ვაკეთო. მე, როგორც ვიცი, უფალო, აქ ყოველმა არსებამ თავის არსში არსებული სულიერი ცოდნის გაღრმავებასა და გაზრდაზე უნდა იზრონოს და მიღებული შედეგები შენ უნდა წარმოგიდგინოს. მე კი, თითქოს რაღაცა მეუბნება შიგნიდან მეტად აღარ დავაძალო ჩემს გონებას ახალი ტრანსცენდენტული ცოდნის მწვერვალების დაპყრობაზე იზრუნოს.

აი, ეს არის, ღვთის ძეო, ჩემი შენუხების მიზეზი და შენ დიდსოლოვანო და ყოვლად გასხივოსნებულო, გთხოვ, გამარკვიო, რა ხდება ჩემს თავს. მომიტევე ეს ჩემი კადნიერება, მაგრამ მიმაჩნია რა, რომ შენ ხარ აქ ჩემი ერთადერთი და უზუნაესი თავშესაფარი დიდი მოკრძალებითა და თაყვანისცემით გთხოვ, დაბნეულს ჩემთვის საჭირო გზა მიჩვენო და დამაკვალიანო. ნუ განმირისხდები უფალო, ეს როგორღაც თავისით ასე გამოვიდა. მე სრული მორჩილებითა და თაყვანისცემით მივიღებ ნებისმიერ შენს განაჩენს, რასაც შენ მომისჯი.

ამ ყოველივეს მოსმენის შემდგომ ღვთის ძემ თბილი მზერით გადახედა მისდამი იმედით მომზირალს, თან მის სახეს ღიმილი არ მოსცილებია, და შემდეგი რამ უპასუხა მას.

– ჩემო ერთგულო სულო, თქვენ ყველანი, რომელნიც აქ იმყოფებით, უკლებლივ, ჩემი აღსაზრდელები, ჩემი შვილები, ჩემი მონაფეები ხართ. ყოველი აღმზრდელის წმიდათანმიდა ვალია თავის აღსაზრდელს სრულყოფილად გადასცეს ყოველივე, რაც მასში ჭეშმარიტად ღირებული და დადებითია. ძალიან დიდი დრო სჭირ-

დება მონაფეს იმისათვის, რომ მასწავლებლის მიერ მიწოდებული ცოდნა სრულად შეითვისოს და გაითავისოს. აქ, ძალიან ბევრნი ხართ, მაგრამ თქვენგან ძალიან ცოტანი არიან ისინი, რომელნიც სრულად შესძლებენ მიიღონ ის, რაც მე მაქვს სრულად და მთლიანად. ამ ძალიან ცოტათაგან კი, კიდევ უფრო ძალიან მცირე რაოდენობა თქვენგანისა, შესძლებენ სრულად შეძენილი ცოდნით, ამპარტავნებაში, პატივმოყვარეობას და, საბოლოო ჯამში, თვითგაკერპებაში არ გადავარდნენ.

თუმცა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სრულად შეძენა მასწავლებლის ცოდნისა არასასურველი და ცუდი რამაა. პირიქით, ეს მონაფის ჭეშმარიტად დიდ ნიჭიერებასა და მის თვითმყოფად, დამოუკიდებელ ბუნებაზე მეტყველებს. მაგრამ, ეს ის რთული მომენტია ასეთი არსებების ცხოვრებაში, როდესაც მათ სამყოფელის გამოცვლა მოუწევთ გარდაუვლად. ასეთ შემთხვევაში, ცოცხალი არსებობისთვის ერთადერთ სწორ არჩევანს ის წარმოადგენს, რომ სულიერი ცოდნის გაღრმავებასა და გაზრდაზე ზრუნვას თავი უნდა დაანებოს, მონაფის სტატუსიდან უნდა გავიდეს და თავადვე უნდა გახდეს ღირსეული მასწავლებელი, მსგავსად ისეთი მასწავლებლისა, როგორიც მე ვარ თქვენთვის.

შენ ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და ბეჯითი მონაფე ხარ ჩემი. ამ ხნის მანძილზე, რაც აქ იმყოფები, განგების, მამის ჩემის, სული წმიდისა და ჩემი სურვილით, მთლიანად მონდობილი იყავი და მონდომებით სწავლობდი ყოველივეს, რასაც მე მიგიითებდი. შენი გონება ჭეშმარიტ ცოდნას მუდმივად მონყურებულებით მუდმივად და განუწყვეტლივ ეძებდა და ლებულობდა კიდევც.

ჩემო ძვირფასო შვილო, მე მინდა გამოგიცხადო, რომ შენი ჩემდამი მონაფეობა დასრულდა. შენ ყველაფერი შეისწავლე ჩემგან, რაც მე მსურდა რომ გესწავლა და რაც მე შემეძლო, რომ გადმომეცა. ამის შემდგომ, თუ შენ საკუთარი ინიციატივით ცოდნის ძიებას გააგრძელებ კარგი არაფერი დაგემართება, დემონურ ბუნებას შეიძენ და იძულება შეიქმნება იმისა, რომ შენი გონება მეხსიერების ნაწილობრივი დაკარგვით იქნას შეჩერებული, იმისათვის, რათა ზიანი არ მოუტანო არც შენს პიროვნებას და არც სხვა ცოცხალ არსებებს.

თუ შენ შესძლებ ჭეშმარიტად ღირსეული მასწავლებელი გახდე, მაშინ შენ ჩემი ღვიძლი ძმა გახდები და შენც ღვთის ძედ მოგიხსენიებს განგებაც, ჩემი მამაც და ჩემი დედაც. მაგრამ ნუ გეგონება, რომ ეს ადვილი მისაღწევია. ერთი წამითაც არასოდეს არ უნდა დაივინყო ის, რომ არასოდეს, არავის, არც ერთ სულდგმულს არ შეიძლება მისი სურვილისა და ნდომის გარეშე მიაწიჭო რაიმე, სულ უმნიშვნელო ცოდნაც კი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოძალადე და ბრაზიანი ბუნების შეიქმნები.

აი, ეს არის შენი წუხილის მიზეზი და ამიტომ ხარ უცნაური შეგრძნებით დამძიმებული.

და კიდევ, გეტყვი, თუ ჭეშმარიტად შესძლებ თავი გაართვა ამ ახალ ამოცანას, მამაჩემთან და ჩემს დედასთან თვით ზეცაში ჰპოვებ ახალ საცხოვრებელს სადაც შენი ოჯახიც კი გექნება. ანუ მეუღლე გეყოლება და უსასრულო სიამოვნება და კმაყოფილება იქნება შენი მეგზური. იქ კი, თუ მოხვდები, ჩემი მშობლები გიამბობენ დანარჩენს, რაც საჭიროდ მიაჩნიათ. თუ არა ზეცაში, სხვაგან სრულყოფილი ოჯახური ბედნიერება არ არსებობს და ვერც ვერასოდეს იარსებებს.

ამერიიდან კი, მე მსურს და ვალდებულიც ვარ შენ ახალ გზაზე დაგლოცო იმის იმედით და კეთილი სურვილით, რომ ამ ახალ, დიად მიზანს მიაღწევ. კეთილი გეყოს შენს მომავალ გზაზე და ერიდე ავხორცობას, ეს ყველაზე დიდი დაბრკოლებაა, რაც კი შესაძლოა შეგხვდეს და გადაულახავი ზღუდესავით გადაგელობოს.

მისთვის, ამ ცოცხალი არსებისათვის, ეს ახალი ამბავი იმდენად მოულოდნელი და წამროუდგენლად მიუღებელი აღმოჩნდა, რომ აშკარად შეეტყო, როგორ დაიბნა და დაიკარგა იმის გაფიქრებითაც კი, რომ მისი ყოფა-ცხოვრება უახლოეს მომავალში ძირფესვიანად უნდა შეცვლილიყო. მისი გაოცება იმდენად დიდი იყო, რომ გაოგნების მაგვარი რაღაცა მოეძალა და ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს მთელი შინაგანი სამყარო ენგრეოდა. ერთის მხრივ, მისი გაკვირვება, მისი უშუალო განმგებლის მიერ მისი საკუთარ თავთან გატოლებისმაგვარმა აღიარებამ გამოიწვია და მეორეს მხრივ, მომავალში საკუთარი საქმიანობის სრულმა გაურკვევლობამ. ვერ გავგო ეს დასჯად უნდა მიელო თავისი არასწორი საქციელისათვის,

თუ დაჯილდოვებად თავისი სწორი, მართებული საქმიანობისათვის.

და გინდაც ასე ყოფილიყო და ჯილდოს, დიდ ჯილდოს ანიჭებდა ყოველივეს უმაღლეს განმგებლობა ცალ-ცალკე და ერთიანად. რამდენი დრო და ძალისხმევა დასჭირდა იმისათვის, რომ აქ, ცათა სასუფეველში თავისი ადგილი დაემკვიდრებინა. ახლა კი, თვით ღვთის ძე ეუბნებოდა, რომ უნდა დაეტოვებინა ეს ყოველივე და სადღაც სრულ გაურკვეველობაში უნდა გადასახლებულიყო. ამ წამს დაავინყდა ის წუხილის შეგრძნებაც, აგრერიგად რომ უწყალებდა გულს და მხოლოდ იმის შიშმა მოიცვა, რომ დაჰკარგავდა ყველაფერს იმას, რაც მისთვის ხუთი თითივით იყო ნაცნობი.

ამ ყოველივემ ერთბაშად გაიელვა მის გონებაში, უსუსური ბავშვივით ჩალუნა თავი და ჩუმად წაიბუტბუტა – უფალო, რას მიპირებ?

– ჩემო მეგობარო, უკლებლივ ყველა და ყველაფერი, ყოველთვის და ყველგან იმას ლებულობს რასაც იმსახურებს. მისმინე და ეცადე ჩასწვდე, ეს არასდროს არ არის გონიერისთვის არც ჯილდოდ და მით უმეტეს, არც სასჯელად აღქმული, რამეთუ მან იცის, რომ ყველაფერი ისე კეთდება, როგორც უნდა გაკეთდეს და როგორც საჭიროა. სწორედ ესაა ის, რასაც სიკეთეს ეძახიან და ეგრეთ წოდებული რჩეულნი სწორედ ისინი არიან, რომელნიც ამ საჭიროებას აღიარებენ და ზედმინევით მიჰყვებიან მას.

ამ საჭიროების გათვლა და გაანგარიშება შეუძლებელია, ეს უნდა შეიგრძნო. ამიერიდან შენს წინაშე სწორედ ეს ამოცანა იქნება გადასაწყვეტი. მე ზედმინევით კარგად გიცნობ და ვიცი, რამდენად კარგად ჭვრეტ შენი გონებით ამ უკიდევანო სიგრძეს როგორც სულიერ, ისე მატერიალურ სამყაროში, შენ ძალგდის გაზომო და აწონო შენს გონებაში ყოველივე, რაც იზომება და იწონება, შენ სრულყოფილად შეგიძლია შეასრულო ყველა ჩემი მითითება და თხოვნა. ამდენი ხანი აქ ყოფნის განმავლობაში საკუთარ ინტერესებზე ერთხელაც არ გიფიქრია ისე ემსახურებოდი ცათა სასუფეველში მიღებულ საჭირო კანონიკურ წესებს.

მაგრამ ის, რაც ახლა გექნება ამიერიდან შესაცნობი, უფრო სწორად, შესაგრძნები, ერთი საფეხურით უფრო დიდია იმაზე, რაც

უკვე გაქვს. იქ მე ვერ გაგიძღვები. მე აქ უნდა ვიყო, რათა შენნაირ დონემდე მივიყვანო სხვებიც, მაგრამ ამის შემდგომ, ჩემი დედა და ჩემი მამა გაგინევენ თავად მეგზურობას. შენი შიში და ნუხილი მომავლის წინაშე უადგილოა. მე მიხარია, რომ შენ ამ მდგომარეობაში მდებარე ხარ. მერწმუნე, მომავალში უსაზღვრო სიხარული და ბედნიერება გელოდება. მაგრამ, ვიდრე ეს ყოველივე მოხდება, სულ მცირეოდენი წინააღმდეგობა უნდა გადალახო. შენ იქ უნდა გაემგზავრო, სადაც მე უკვე ვიყავი. შენ მინიერ სამყაროში უნდა გადასახლდე ცოტა ხნით. ეს უზარმაზარი ოკეანის ერთი წვეთიც კი არ არის შენი ცხოვრებისა. მჯერა, რომ ამ გზას ღირსეულად გაივლი. არაფრის შეგეშინდეს, ვისაც ღმერთები, თვით მამაჩემი და დედაჩემი ეხმარებიან, ყველანაირ წინააღმდეგობას გადალახავს. იცოდე, არასოდეს, არასოდეს დაივიწყო ეს. ყველაფერს თავი დაანებე და მათ მიენდე მთელი შენი არსებით.

ყოველივე ამან, რაც ეუწყა ცათა სასუფეველში მცობვრებ არსებას თვით ცათა სასუფეველის განმგებლის ბაგეთაგან უშუალოდ ერთდროულად უზარმაზარი სიხარული და უზარმაზარი გაცემა გამოიწვია. მან ღვთის ძეს გულწფელი სიყვარულით შენათა თავისი მზერა და მოკრძალებით დაიწყო საუბარი:

– დიდებულო უფალო, შენ იყავი ჩემთვის მისაბაძი პიროვნება და უმაღლესი მიზანი იყო შენი ცნობიერების სიღრმესა და სივრცეს ჩავნვდომოდი. მე უბედნიერეს არსებად ვგრძნობ თავს, როდესაც შენ თავად მეუბნები, რომ ამ ჩემი მიზნისკენ, თურმე კეთილსინდისიერად და სრულყოფილი ძალისხმევით მივდიოდი.

დიდად მახარებს ისიც, როდესაც შენგანვე მეუწყება ის, რომ აქ, ცათა სასუფეველში უმაღლეს მისაღწევ მიზანს მივალწიე. ჩემის აზრით, უფალო, ეს, ჭეშმარიტად უდიდესი წარმატებაა ჩემნაირი რიგითი ცოცხალი არსებისათვის. ყველაზე მეტად კი, ის მახარებს, რომ ეს შენგან მეუწყება ღვთის ძეო. ეს, ჩემთვის იმას ნიშნავს, რომ იმას მივალწიე, რასაც ცათა სასუფეველის ყოველმა მაცხოვრებელმა უნდა მიაღწიოს.

მაგრამ, ო, დიდსულოვანო უფალო, თუ კადნიერებაში არ ჩამითვლი, გთხოვ, ამიხსნა ვიდრე ყველა და ნებისმიერი ცოცხალი არსებისათვის უიმედოდ სანატრელ ადგილზე მოვხვდები თვით ზე-

ცაში, ტრანსცენდენტული ოკეანის ტალღებში, რატომ უნდა მოვხვდე ისეთ დაცემულ ადგილზე, როგორც მატერიალური სამყაროა. ნუთუ შენ, ძლევამოსილო და დიადო სულო, არ გინდა აქ შემასწავლო ის, რის შესასწავლადაც მატერიალურ სამყაროში უნდა გავიგზავნო? გთხოვ, უფალო, ნუ განმირისხდები, თუ რაიმე ისეთი ვთქვი, რაც არ უნდა მეთქვა, მე ამ ყველაფრის თქმა მხოლოდ იმიტომ გავბედე, რომ შენგან მეგობრული გაშინაურების უფლება მივიღე.

ღვთის ძე ერთი წამით ჩაფიქრდა. შემდეგ პირდაპირ თვალეებში ჩახედა თანამოსაუბრეს და შემდეგი სიტყვებით მიმართა:

– წამოსახვაში უკიდევანო ფანტაზია არსებობს. გამოსახულ, უკვე გამოვლინებულ რეალობაში კი, უსაზღვროდ ბევრი ობიექტია როგორც უსაზღვროდ დიდი, ისე უსაზღვროდ პატარა. ეს ყოველივე კი, ისე ახერხებს ერთმანეთთან თანაარსებობას, რომ ერთმანეთს არ ანადგურებენ და საერთო საკეთებელი საქმეც უნაკლოდ კეთდება. ამ ყოველივეს კი, ერთნი მართავენ, ხოლო მეორენი ამ მმართველობას ემორჩილებიან, რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, რომლებიც მმართველობის შურით აღზნებულნი თავად ცდილობენ მმართველები გახდნენ და ისეთებიც, რომლებიც ცდილობენ საჭირო მმართველობას არ დაემორჩილნონ. ყოველივე უდიდესი კანონზომიერების ძალით იმართება. ამისათვის ზომიერების შეგრძნება და სიკეთის ქმნის სურვილია საჭირო, რომ კანონზომიერების ძალასთან დაპირისპირებაში არ მოხვიდე.

შენ ღირსეულად გაართვი თავი მონაფეოების კურსს, მაგრამ ჭეშმარიტად ღირსეული მასწავლებელი რომ გახდე, მხოლოდ ის ცოდნა არ კმარა, რაც უკვე შეიძინე. ამისათვის იმათი შეგრძნების უნარი უნდა გამოიმუშავო, რომელთა მასწავლებელიც იქნები. სწავლებას მასწავლებლის მხრიდან მაშინ აქვს მხოლოდ აზრი და მხოლოდ მაშინ მოაქვს სასურველი შედეგი, როდესაც ეს მოსწავლისათვის სასიამოვნო პროცესად იქნება აღქმული. მასწავლებელს იმისი უნარი უნდა გააჩნდეს თავის მონაფეს ისეთი ცოდნა მიანიჭოს, როგორც თავად მონაფეს სურს, თან ეს აუცილებლად ჭეშმარიტად საჭირო და დროული უნდა იყოს.

ხანდახან ასეც ხდება, ვიდრე არამართებულს არ ნახავ, მართებულს იმდენად ვერ დააფასებ, რამდენადაც ეს ჭეშმარიტად საჭიროა.

მე მსურს იქ იმოგზაურო, სადაც მე თავადვე ვიმოგზაურე. ეს, ერთი პატარა პლანეტაა მატერიალურ სამყაროში. იქ მე მათ მცოროედენი ცოდნის წყარო დავუტოვე. ვინაიდან იქ მოხვედრა შეიძლება მოგინოს, მინდა ცოტაოდენი რამ მოგიყვე იქაურობაზე. იქ მაცხოვრებლები დღესაც იმ სახელს და გვარს ეთაყვანებიან, რომლითაც იქ ვიხსენიებოდი. იცოდე, ეს ჩემი მოვლინებაც განგების, მამა ღმერთისა და სულიწმიდის ნება იყო. წლის დასაწყისი ჩემი იქაური დაბადების რიცხვით აითვლება და მათი დღეობების უმრავლესობაც ჩემს სახელთანაა დაკავშირებული. მაგრამ, იქ, თითქმის ერთი პროცენტიც კი, ძნელი მოსაძებნია მოაზროვნე არსებებისა ჭეშმარიტად რომ ესმოდეთ ის, რაც მე მათ მივეცი სრულიად უანგაროდ.

მე მსურს შენს თავზე გამოსცადო, რას ნიშნავს უმადური მონაფეების ყოლა, რათა შემდეგ შესძლო იმის დაფასება, რა დიდი ბედნიერებაა მადლიერი მონაფე გყავდეს შენ, როგორც მასწავლებელს. არ ვიცი, შეიძლება ეს მეტისმეტად მკაცრად და უსამართლოდ გეჩვენება, მაგრამ ეს უმოკლესი გზაა ჭეშმარიტად ღირსეულ მასწავლებლად გადაქცევისათვის. ხოლო მაშინ, როდესაც ეს აღსრულდება, როდესაც ჭეშმარიტად ღირსეული მასწავლებელი გახდები, განგება შეგახვედრებს იმ ცოცხალ არსებას, რომელიც შენი მეორე ნახევარი იქნება, ჭეშმარიტად შენი შესაბამისი. აი, მაშინ შენ და ის იქნებით როგორც მასწავლებელი და მოსწავლე, ერთი იდეალური წყვილი, თუმც ეს განზოგადოებები თქვენ აღარ დაგჭირდებათ. თქვენ გერქმევათ ოჯახი და ზეცაში სამუდამოდ დატკბებით უსაზღვრო სიყვარულითა და ბედნიერებით.

აი, ეს არის ჩემი პასუხი შენს შეკითხვაზე ჩემო მეგობარო. ვინც ჭეშმარიტ ბედნიერებასა და ნეტარებას ეძიებს, ნუთუ არ უნდა უღირდეს ცოტაოდენი წინააღმდეგობის გადალახვა? აი, თუნდაც ისეთის, როგორიც მატერიალურ სამყაროში ერთი მიწიერი სიცოცხლის რთულ პირობებში ყოფა-ცხოვრებაა.

თუნდაც ათასობით წლების განმავლობაში რომ გიხსნა, რა შეგრძნებას იწვევს ქინძისთავით მატერიალური სხეულის ნებისმიერ ადგილზე თუნდაც ოდნავი ჩხვლეტა, ვერასოდეს იგრძნობ ვერც ტკივილს და ვერც ვერაფერი ვერ განგივითარებს მატერიალურ სხეულში ჩასახლებაზე სწრაფად ყოველივეს დამოუკიდებლად გადწყვეტის აუცილებლობას.

ცათა სასუფეველის კურსდამთავრებული ვყოფილვარ, გაიფიქრა თავისთვის ცოცხალმა არსებამ და ღვთის ძეს მიმართა:

– ცათა სასუფეველის სამუდამო მბრძანებელო, მსურს ჩემი მადლიერება გამოვხატო როგორმე ყველაფრისათვის, რაც ჩემთვის გაგიკეთებია და ვიმედოვნებ, რასაც კიდევ გამიკეთებ მომავალში უსასრულო უკუნისამდე. მადლობელი ვარ იმისთვის ახლაც, ამ შინაგანი გაურკვეველი მდგომარეობიდან რომ დამიხსენი. მე ვიცი, უფალო, რაც არ უნდა მოხდეს ჩემს თავს, მხოლოდ და მხოლოდ ჩემს სასიკეთოდ იქნება ეს მოხდენილი.

თუმც უნდა ვაღიარო, რომ დიდად არ მხიბლავს მატერიალურ სამყაროში თუნდაც ერთი მატერიალური სიცოცხლის ხანგრძლივობით გადასვლა. თუ შენ ასე სთვლი საჭიროდ, ღვთის ძეო, მე სრულად მივიღებ ამას სრული მორჩილებით. უბრალოდ, ვერაფრით ვერ ვხვდები, რა უნდა გააკეთოს ჩემნაირმა სულმა მატერიალურ სამყაროში. როგორც მე ვხვდები, იქ სრულად გარიყულ მდგომარეობაში არიან ისეთი სულები, რომელთათვისაც სული ცალხასად პირველადია სხეულთან შედარებით.

თუმც ამ ყველაფერს მნიშვნელობა აღარ აქვს თუ შენ ასე გსურს უფალო, დე, იყოს ასე, მე ყველაფერს მივიღებ, რასაც შენ მიბრძანებ.

ღვთის ძემ თანაგრძნობით გადახედა თანამოსაუბრეს და მიმართა: მინდა გითხრა, ჩემო მეგობარო, რომ მე სასიამოვნოდ გაკვირვებული ვარ იმით, თუ რაოდენ ღრმად და თვალნათლივ გესმის და ხვდები მატერიალური სამყაროსა და მის მკვიდრთა რაობას. ეს კიდევ უფრო მეტად მარწმუნებს იმაში, რომ აუცილებლად უნდა წახვიდე ამ მოგზაურობაში. ეს იქნება საუკეთესო საშუალება საკუთარი პიროვნება სრულად დაინახო და შეიგრძნო სრულყოფილად.

იქ, მატერიალურ სამყაროში, თუმცა სულ მარტო იქნები ფიზიკურად, უფრო მეტად იქნები სულიერ სამყაროში. ვერავინ შესძლებს შენს გაგებას იმ არსებებს შორის, სადაც შენ იქნები. თავიდან ბევრს ეცდები, რამეთუ ამჟამად ფიქრობ, ნებისმიერი ცოცხალი არსების ჭეშმარიტების გზაზე დაყენება შეიძლება. მხოლოდ ამ მოგზაურობის დასკვნით ეტაპში მიხვდები, რომ ეს შეუძლებელია, თუ ამის სურვილი თავად იმ ცოცხალი არსებიდან არ მომდინარეობს, რომელზეც ასეთი მზრუნველობით დაიხარჯები.

თუმცა წარმოუდგენლად დიდია ალბათობა იმისა, რომ მატერიალურ სამყაროში გაბატონებულმა სიბინძურემ და გარყვნილებამ ნებისმიერი იქ მყოფი არსება ჩაითრიოს, მე სულაც არ მანუხებს ის, რომ შენ ეს გეხება. ჩემის აზრით, შენნაირ არსებებს ასეთი საცდუნებელი ან თუნდაც ყველაზე მაცდუნებელი საცდუნებელიც კი, ვერ გადაახვევინებს ჭეშმარიტების, ღვთისსიერების, სინწინდის გზიდან.

ამით შენ გამოიცდები, ჩემო მონაფევ, ჩემო შვილო, და დამსახურებულად მოიპოვებ ჩემი ძმისა და ღვთის ძის სახელს. გადალახე ეს წამიერი დაბრკოლება, ეს ხომ შენთვის არ არის გადაულახავი რამ.

მეც ვიყავი იქ, ჩემო მეგობარო, როგორც უკვე გითხარი. იმ პლანეტას დედამიწა ჰქვია, ხოლო ყველაზე გონიერ არსებებს კი, ადამიანები. სიტყვას გაძლევ, შენ ისეთ ტკივილსა და დამცირებას არავინ მოგაყენებს, როგორც მე მომაყენეს მათ. ამ არსებებს, ადამიანებს საკუთარი მოდგმა ყველაზე გონიერ და ერთადერთ მბრძანებელ ძალად მიაჩნიათ მთელს სამყაროში. ამჟამად, მათ სულიერი სამყაროს არსებობისაც კი აღარ სწამთ.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მათგანი მართლაც დიდი მონდომებით ცდილობს ხოლმე მატერიალური ზეგავლენისაგან გათავისუფლებას.

შენ იქიდან წამოსულიც კი არ იქნები, როდესაც მათი გადარჩევა და გადანაწილება მოხდება, თუმცა არა საბოლოო. ჩვენ იქაც შევხვდებით ერთმანეთს და დედამიწაზე შენი დახმარება ჩემთვის მნიშვნელოვანი იქნება. იქამდე კი, შენ სრულად თვითგამორკვეულ მდგომარეობამდე მიხვალ.

ეს ყოველივე ასე მოხდება, ჩემო მეგობარო, ახლა კი მშვიდობით, მალე გნახავ.

ამით ღვთის ძე დაემშვიდობა თანამოსაუბრეს და დედამიწისაკენ მიმავალს გააყოლა თვალი, მხოლოდ თავისთვის ფიქრობდა: „ყველა იქ უნდა იყოს, სადაც ის საჭიროა, ნამდვილად, ჭეშმარიტად საჭიროა და ისინი უნდა ჰყავდეს თავის გარშემო, ვინც მას ნამდვილად, ჭეშმარიტად სჭირდება და ვისაც ის ნამდვილად, ჭეშმარიტად სჭირდება. სხვა ყველაფერი კი, თავისთავად, ბუნებრივად მოგვარდება ყოველგვარი ბუნებრივი თუ ხელოვნური ძალისხმევის გარეშე. შინაგანად, ყოველგვარი ანგარიშის გარეშე გესმოდეს ვილაცის, მისი გაგების უნარი გქონდეს სწორედ ეს არის სიყვარული, ნამვდელი, ჭეშმარიტი სიყვარული.“

მე მხოლოდ ეს მსურს, რომ ამას მიხვდე, ჩემო მეგობარო, ჩემო წარჩინებულ მოწაფე, შენ ხომ ვერც კი წარმოიდგენ როგორ სიხარულს მომანიჭებს შენი წარმატება იმ გზაზე, საითაც გაგვზავნე. მე და შენ კიდევ ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ შევხვდებით, ახლა კი, ჩემს მშობლებს გაბარებ შემდგომი აღზრდა-განათლებისთვის. ბედნიერებას გისურვებ, მეგობარო, მომავალ შეხვედრამდე!“.

# გზა ჭეშმარიტი ბედნიერებისა კენ

*სხეული არ ვარ, მე სხეულში ვარ...*

პატივცემულო მკითხველო, შეხედულებები ამ მარადიულ თემებზე მრავალჯერ გამოთქმულა და კიდევ მრავალჯერ უნდა გამოითქვას. როგორც ფოლადი ცეცხლში, ისე უნდა „ინრთობოდეს“ და იხვენებოდეს მუდმივად. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება ცნობიერულ დონეზე განვითარებას შეწყვეტს და გონიერება მასში „მოკვდება“.

ეს ნაწილი თავდაპირველი (ადამიანთა უმრავლესობისთვის თითქმის სულ მთლად დავიწყებული) აზრთანყობაა თანამედროვე ენაზე გადმოცემული. საინტერესოა რა აზრის იქნებით თქვენ...

გვსურს ცოტა ხნით მაინც გადაგიყვანოთ იმ მდგომარეობაში, რაც ყოველთვის სურდა თქვენს სულს, თქვენს ჭეშმარიტ „მე“-ს.

## სარჩევი

შესავალი .....	3
რა ქმნის ადამიანებს შორის გაუცხოვებას .....	4
თვითგამოვლინების სამი ფორმის (ფიქრი, მეტყველება და ქმედება) ფუნქციონალური დატვირთვა.....	7
მატერიალურ სამყაროში მოხვედრის სამი ძირითადი მიზეზი .....	11
ფარდობითობის სისტემიდან გასვლა .....	17

## შესავალი

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში მე, დათო ყანდაშვილს, ჭეშმარიტების, სულიერი ფასეულობების, ადამიანის სიცოცხლისა და არსებობის აზრის ძიების მეტი არაფერი მიკეთებია. აი ახლა, ამჟამად, როდესაც შევხვდი ასეთივე სულისკვეთებით დამუხტულ ადამიანს, ნამდვილ ქალბატონს, ნანა დუმბაძეს, ჩემი გარდაქმნილი ცნობიერება მის ცოცხალ ცნობიერებასთან შევაერთე და მამაკაცური და ქალური სანყისების ტრანსცენდენტული ბუნების მქონე ნაერთი მივიღეთ ამ ორმა არსებამ.

ეს წიგნი გვინდა მიიღოთ ისე, თითქოს ეს თქვენ გენოდებოდეთ ადამისა და ევას მხრიდან. სწორედ იმ ადამ და ევასაგან, რომლებმაც მიირთვეს „ცოდვის ვაშლი“, შემდგომ შეირისხნენ ღმერთისგან, გამოიდევნენ სამოთხიდან და მატერიალურ სამყაროში (როგორც თავისუფლების აღკვეთის ადგილზე) დამსახურებულად მოადინეს ბრახვანი. თუმც შემდგომ, ღმერთმა გამოუგზავნა თავისი ძე, რომელმაც ის ასწავლა მათ, სამოთხეში რა უნდა ეკეთებინათ და მათაც დაინყეს ამ გზით ცხოვრება, თუმც უკვე დედამიწაზე იყვნენ.

და აი, როდესაც მთლიანად გამოისყიდეს შეცდომები (ცოდვები), რომლებიც ჩადენილი ჰქონდათ, ისეთივე სუფთა, ქათქათა, სპეტაკი სულით ისევ წარსდგნენ ღმერთის წინაშე. მან სიხარულით მიიღო ადამი და ევა, დალოცა, აკურთხა და აღუთქვა, რომ აუცილებლად დააბრუნებდა სულიერ სამყაროში. ჯერ კი, ვიდრე მინაზე იქნებოდნენ, ადამიანებისათვის იმ ახალი სულიერი ცოდნის მიწოდება დაავალა, რომელსაც ისინი ეზიარნენ თავისი ძისა და უშუალოდ თავის მხრიდან.

ჰოდა, ბატონებო და ქალბატონებო, მამაკაცებო და ქალებო, ადამიანებო, თუ გსურთ მიირთვიოთ ისეთი საჭმელი, რომლის მირთმევის შემდგომ აღარ მოგშივდებათ და დალიეთ ისეთი სასმელი, რომლის დალევის შემდგომ აღარ მოგწყურდებათ.

## რა ქმნის ადამიანებს შორის გაუცხოებას

ადამიანში, რამხელაა სხვაობა მასში არსებულ ნაზრევსა და ნათქვამს შორის, სხვა ადამიანთან მიმართებაში, ზუსტად იმხელა იქნება სხვაობა მის მიერ ნათქვამსა და ნამოქმედარს შორის. სწორედ ეს სხვაობა წარმოადგენს ე. წ. დისტანციის ანუ გაუცხოე-

ბის ნომინალურ მაჩვენებელს. ესე იგი, რამხელა ცაა დამალულობა, არ გახსნილობა, არაგულწრფელობა, იმხელა იქნება გაუცხოებულობა.

მაგრამ... შესაძლებელია ან საერთოდაც, საჭიროა კი, ადამიანი ყველასთან და ყველაფერთან მიმართებაში თანაბრად, სკურპულოზური სიზუსტით ერთნაირად იყოს გახსნილი? მაშინ ასეთი ადამიანი ათას ან, თუნდაც, ორ ადამიანთან ურთიერთობის დამყარების შემდგომ, შეეცდებოდა მათთან მიმართებაში ერთნაირი დონის გახსნილობის ხარისხი გამოემუშავებინა თავის თავში, რაღაც საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი გამოეყვანა, ანუ წინასწარ გაეზომა და აენონა მინიმუმ, ცოტა რაღაცეები მაინც, ან მაქსიმუმ, ყველა უწვრილესი ნიუანსიც კი. თუმც, ერთი მომენტიც, ალბათ, ღირს გასათვალისწინებლად, ის, ვინც პატარა ნიუანსების წინასწარ „გაზომა-ანონის სენით“ დაავადდება, ადრე თუ გვიან, უკლებლივ ყველა ნიუანსის წინასწარ გაზომა-ანონვით დაკავდება. მაშასადამე, გამოდის, რომ უკლებლივ ყველასთან და ყველაფერთან ერთნაირი მიდგომის შემუშავების გზა საღად მოაზროვნე ადამიანს დიდად არ უნდა ხიბლავდეს. აქედან გამომდინარე, ადამიანი ისე უნდა ეპყრობოდეს ყველას როგორც ამას იმსახურებენ ყოველგვარი თვალთმაქცობისა და ტყუილების გარეშე. მაგრამ პრობლემასავით იჩხირება ის მომენტი, რომ ბუნებით ნაკლებ ეთიკური და უხეში ადამიანები საზიზღრად ფამილარულ და ვულგარულ გარემოს ქმნიან და საზოგადოების ამ გზით ცხოვრებას არასახარბიელო შედეგები მოაქვს. (რამეთუ შედარებით უფრო მეტად ეთიკური და არაკომფლიქტისმოყვარე ადამიანები ცხოვრების რეალობაში „შემოვარდნილი“ მდაბიო გემოვნების განეიტრალების განუწყვეტელი მცდელობებით კავდებიან, რაც მთელ მათ სულიერ პოტენციალს ნთქავს. ამის გამო ისინი ვეღარ ახერხებენ განგების მიერ მათთვის გათვალისწინებული ძირითადი და უმთავრესი საკეთებლის, ჭეშმარიტი სიკეთის ქმნას).

ეთიკურ-ესთეტიკურად შედარებით მაღალი დონის ადამიანები თავისთან შედარებით დაბალი დონის ადამიანებს აუცილებლად, **კატეგორიულად აუცილებლად** უნდა მოეპყრან ისე, როგორც ეს უკანასკნელნი იმსახურებენ. იმას თუ როგორ მოახერხონ, ეს უკვე კვლევა-ძიების საგანია და, ვფიქრობთ, ეს წიგნი თავის ერთ-ერთ უმთავრეს სეგმენტში სწორედ ამას ემსახურება თავისი ფუნქციონალური დატვირთვითა და დანიშნულებით. უბრალოდ, ზედაპირული ჩამონათვალის დონეზეც გონიერთათვის თვალნათელი შეიძ-

ლება გახდეს რაოდენ საშინელი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს „მაღალის“ მხრიდან „დაბალთან“ მიმართებაში არაადეკვატურმა მოქმედებამ. გარდაუვალი შედეგები კი, ასეთი იქნება:

1. ადამიანთა, როგორც გონიერ ცოცხალ არსებათა მიერ ძირითადი გლობალურ ფუნქციონალურ ასპექტთან (იგულისხმება აბსოლუტური ერთიანობის მსახურების უფლებასთან) კონტაქტის უფლების დაკარგვა;
2. მატერიალური სამყაროს, ჩვენს შემთხვევაში დედამიწის, საუკეთესო და უმაღლეს საარსებო ადგილად წარმოდგენა და წარმოჩინება. ანუ უფრო მაღალი დონის ქმედების ადგილთა (სულიერი სამყაროს) სრული იგნორირებისკენ სწრაფვა.
3. საკუთარი პოტენციალის მუდმივად მხოლოდ მატერიალური სხეულის სამსახურში ჩაყენება და გაუთავებელი სპეკულაციური დოქტრინების უსასრულოდ ქმნა;
4. მატერიალური სხეულის არსებობის პერიოდის უზენაეს ფასეულობად გამოცხადება და სიკვდილის ცნების, ანუ გარდაცვალების დავინყება და ფუნქციონალური დატვირთვის საერთოდ იგნორირება;
5. და ბოლოს... კერძო საკუთრების მატერიალურ სხეულზე უფრო მაღალ, უზენაეს ფასეულობად გამოცხადება და ყველასი და ყველაფრის განივთება, ამ სიტყვის როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი მნიშვნელობით.

დაახლოებით აი, ასეთი უცნაური ჩიხი შეიქმნა დედამიწაზე მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში. ამ გზის მიყოლამ შედარებით უფრო არაეთიკური ადამიანების მიერ შედარებით უფრო ეთიკური ადამიანების შევიწროვება და განადგურება გამოიწვია. შემდგომ, ეს შედარებით უფრო არაეთიკური ადამიანები აღზევდნენ, ყველასი და ყველაფრის მართვა-განგებულობა მოინდომეს, რასაც მათი მზერა მისწვდა და არაეთიკური გზებით ამის მიღწევის ჩვეულებრივი და სრულიად ნორმალური ცხოვრების წესად გამოცხადებით, ძალიან მარტივადაც კი, მიაღწიეს თავიანთ მიზანს. აი, რაც შეეხებათ შედარებით უფრო ეთიკურ ადამიანებს, დღეს-დღეისობით, ანუ XXI საუკუნის დასაწყისში ცირკის არენაზე გაყვანილ, ე. წ. მოთვინიერებულ ცხოველებს დაემსგავსნენ. ისინი ტყავიდან ძვრებიან მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ აღზევებულ არაეთიკურობას როგორმე, რაიმე, თუნდაც

უმნიშვნელო ფორმით, სიამოვნება მიანიჭონ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილზე, თუნდაც ამ არაეთიკურობის აღზევებულობის პირობებშიც კი, არსებობენ, არსებობდნენ და მომავალშიც აუცილებლად იარსებებენ ისეთი ადამიანები, რომლებიც არათუ არაეთიკურობისათვის გუნდრუკის კმევით არ არიან დაკავებულნი, სწორედ ამ არაეთიკურობის ეთიკურობად გარდაქმნისთვის იხარჯებიან. არადა, კარგი იქნებოდა სულ ოდნავ მაინც გაეგო და გაეთავისებინა უკლებლივ ყველა ადამიანად გაჩენილ არსებას, რომ ასეთი ადამიანები თუ აღარ იარსებებდნენ, თვით უპიროვნო განგებისთვისაც კი, იმდენად უინტერესო გახდებოდა ზოგადად ადამიანების არსებობა-არარსებობა, რომ ადამიანთა მოდგმა განადგურებისათვის იქნებოდა განწირული. ახ, უკაცრავად ადამიანებო, დამავინყდა, თქვენი არსებობისთვის გარდაუვალი აუცილებლობის უზრუნველყოფაში რა შუაშია განგება? თქვენ ხომ თავად ბრძანდებით ყველასი და ყველაფრის განმგებლები.

და მაინც... გვინდა ამ განსაკუთრებული ტიპის ადამიანებზე გავამახვილოთ ყურადღება. როგორ უდგებიან ისინი ზემოთხსენებულ გაუცხოვება-გაშინაურების საკითხს. როგორ და, ძალიან მარტივად. მათი ნააზრევი ანუ ნაფიქრალი, ნათქვამი ანუ სიტყვებით გამოხატული, და ნამოქმედარი ანუ მატერიალურ დონეზე გამოვლინებული, ყოველთვის ემთხვევა ერთმანეთს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ადამიანი ამ სამ ფორმას შორის არათანხვედრილობის ჩასახვას თავის თავში მაშინ იწყებს, როდესაც ნებისმიერ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაზე ან, რაც კიდევ უარესია, მატერიალურ ნივთზე ეწყობა, ანუ ეჯაჭვება. ეს, შეიძლება იყოს ძირითად შემთხვევებში ადამიანი, მაგრამ ზოგჯერ, ზოგი, ადამიანებზე გაბრაზებული შეიძლება მატერიალიზირებულ, მით უმეტეს მოაზროვნე ნივთზეც აეწყოს, მაგალითად, აი, ამ კომპიუტერზე, რომლის მეშვეობითაც ახლა ეს ტექსტი იწერება. თან ყველაზე არასასიამოვნო მომენტი კი, ის გახლავთ, რომ ვინმეზე ან რაიმეზე მიჯაჭვული ადამიანისათვის ამ მიჯაჭვულობის ახსნა და ჩვენება სრულიად შეუძლებელია, იქამდე, ვიდრე თავად არ მოინდომებს ამას.

ჰოდა, ბატონო ჩემო, ადამიანები, ძირითადად, ორი კატეგორიის არიან. ერთ ნაწილს სურს აბსოლუტურად ყველასი და ყველაფრის და, საბოლოო ჯამში, საკუთარი პიროვნების აღქმა ჭეშმარიტების გადასახედიდან, ხოლო მეორე ნაწილს სურს ყველასი და ყველაფრის და, საბოლოო ჯამში, საკუთარი პიროვნების აღქმა სიმ-

ცდარის გადასახედიდან. ზოგი ადამიანი კი, იმდენად ხშირად ვარდება ერთი კატეგორიიდან მეორეში, იმდენად არამტკიცე ბუნებისაა, რომ ძალიან ძნელია მათ ორიენტაციაზე კონკრეტული რამ ითქვას. აი, სწორედ ამ არამტკიცე ბუნების წარმომადგენლები არიან ზემოთ ხსენებული შედარებით უფრო ეთიკური ადამიანები, რომლებიც ცდილობენ თავიანთ გარშემო გამეფებულ არაეთიკურობას სიამოვნება მიანიჭონ. რაც შეეხება პირველ ნაწილს, ეს სწორედ ის კატეგორიაა ადამიანებისა, რომელთა აზრი, სიტყვა და საქმე სრულ თანხვედრაშია ერთმანეთთან. ისინი ხელმძღვანელობენ ერთადერთი პრინციპით: „ყველას უნდა მოეპყრა ისე, როგორც ის ამას იმსახურებს ჭეშმარიტების გადასახედიდან და არა ერთნაირად“. სხვათაშორის, აქაც იგივე, გაუცხოვების შიდა პარამეტრის გარე გამოვლინება იქნება ბრწყინვალე მოკარნახე იმისა, თუ რა ტიპის ურთიერთობის დამყარება ღირს ამა თუ იმ ადამიანთან და რა – არა.

სრული გახსნილობის გამოვლინებას ადამიანი მოახერხებს მხოლოდ ერთადერთ ადამიანთან, საკუთარი პიროვნების შესაბამის პიროვნებასთან, რომელთანაც ის შეძლებს შექმნას ნამდვილად ჭეშმარიტი, იდეალური ოჯახი. ამ ორ ადამიანს ვერ ექნება ერთმანეთთან ვერაფერი დამალული, მათი ერთმანეთთან გაუცხოვება იქნება ნულის ტოლი. მაგრამ ასეთი ოჯახი მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება შედგეს, თუ ამ ორივე ადამიანში (როგორც მამაკაცში, ისევე ქალში) შიგნით, ჯერ საკუთარ პიროვნებაში იქნება დაყვანილი ნულამდე გაუცხოვების პარამეტრი და შემდეგ ერთმანეთთან ურთიერთობაში, ანუ არ იქნება განსხვავება საკუთარ ნააზრევს, ნათქვამსა და ნამოქმედარს შორის.

## **თვითგამოვლინების სამი ფორმის ფუნქციონალური დატვირთვა**

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს თვითგამოვლინების ფორმათა ფუნქციონალური საქმიანობის რაობის ჩამოყალიბება. თუ კვლევის უკვე არსებულ შედეგებს დავეყრდნობით, ადამიანის თვითგამოვლინება მასში სამი ფორმის არსებობითა და გამოვლინებით გამოიხატება. უფრო მეტიც, შეუძლებელია თვითგამოვლინება მასში ამ სამი ფორმის არსებობის გარეშე. არც არსებობდა, არც არსებობს და ვერც იარსებებს ამ ფორმებზე მეტი ან ნაკლები ფორმა (იგულისხმება რაოდენობა). აი, სულ სხვა საკითხია თვითგამოვლინების ფორმათა საქმიანობის ხარისხი. რაც უფრო მაღალია

მათი მუშაობის ხარისხი, მით უფრო მეტად იქნებიან ისინი დაკავებულნი მათთვის განკუთვნილი (ფუნქციონალური) საქმიანობით. შედეგი კი ამისა იქნება ის, რომ ჭეშმარიტად საჭირო საქმიანობით დაკავებული თვითგამოვლინების ფორმების პატრონი იმათზე უფრო მაღალ იერარქიულ საფეხურზე აღმოჩნდება, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც მასზე ნაკლებად ახერხებდნენ საკუთარი თვითგამოვლინების ფორმების დაკავებას ჭეშმარიტად საჭირო საქმიანობით.

მოკლედ, პირადად ჩვენი გადასახედიდან, ამ საკითხის შესწავლის ძალიან დიდ საჭიროებას მტკიცება არ სჭირდება. თუმცა ეს მიდგომა, რომ იქნებ ჩვენს შემდგომ ეს ნაწერი ვინმეს გამოადგება, ჯერ კიდევ ვერ მოვიშორეთ. ვფიქრობთ, სწორედ ამ საკითხის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ ამ მიდგომის მართებულ-მცდარობასაც უნდა აეხსნას ფარდა.

მაშ ასე, არსებობს თვითგამოვლინების სამად სამი ფორმა: **ფიქრი, მეტყველება და ქმედება.**

- I. ფიქრი თვითგამოვლინების ყველაზე მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს. მისი ფუნქციონალური დანიშნულება საკუთარზე უფრო მაღალ ეთიკურ და ესთეტიკურ დონეზე კონცენტრირებულობას მოიაზრებს. ფიქრის უნარი არის მიზეზი ცოცხალი არსების, როგორც ცალკეული ინდივიდის არსებობისა. აგრეთვე, ფიქრის საშუალებით უნდა მოხდეს სტრატეგიული (ზოგადი ანუ საარსებო) მიზნის ჩამოყალიბება და დასახვა. ფიქრის საშუალებით მუდმივი კონტაქტი უნდა იყოს დამყარებული დროის იმ ფორმასთან, რომელსაც მომავალი ჰქვია.

- II. მეტყველება თვითგამოვლინების აგრეთვე მნიშვნელოვანი ფორმაა, თუმცა თავისი მნიშვნელობის ხარისხით ის ფიქრის დატვირთვას ჩამოუვარდება. მისი ფუნქციონალური დანიშნულება საკუთარი ეთიკური და ესთეტიკური დონის ტოლ (იგულისხმება შედარებით ახლოს მყოფ) დონეზე კონცენტრირებას მოიაზრებს. მეტყველების უნარი არის საშუალება ცოცხალი არსების, როგორც ინდივიდის მიერ სხვა ცოცხალ არსებებთან, როგორც დამოუკიდებელ ინდივიდებთან ურთიერთობების დამყარებისა. სწორედ მეტყველების საშუალებით უნდა მოხდეს ფიქრის დონეზე თავის თავში ჩამოყალიბებული შეხედულებების გაზიარება. სასურველია და საჭირო ეს გაზიარება ხდებოდეს საკუთარ პიროვნებაში ჩამოყალიბებული შეხედულებების ე. წ. რევიზიის ანუ მათი მართებულობის შემოწმების სურვილით. მეტყველების საშუალებით მუდმივი კონტაქ-

ტი უნდა იყოს დამყარებული დროის იმ ფორმასთან, რომელსაც ან-  
მყო ჰქვია.

• III. ქმედება თვითგამოვლინების ყველაზე უმნიშვნელო ფორმაა, თუმც ადამიანებში (ისევე როგორც უკლებლივ, ყველა მა-  
ტერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში) სწორედ ეს არის აღქმული და აღიარებული ყველაზე მნიშვნელოვნად. მისი ფუნქციონალური დანიშნულება საკუთარ ეთიკურ და ესთეტიკურ დონეზე უფრო და-  
ბალ დონეზე კონცენტრირებას მოიაზრებს. ქმედების უნარი არის ცოცხალი არსების საკუთარ შეხედულებებში მკვიდრად დაჯერე-  
ბულობის შედეგობრივი გამოხატულება. ქმედების ფორმით თვით-  
გამოვლინებისას ავტომატურად იგულისხმება საკუთარი მნიშვნე-  
ლოვნების შეგრძნების გამოვლინებისაკენ მიდრეკილების არსებო-  
ბა. მნიშვნელოვნების შეგრძნებაში, ვგულისხმობთ, ცოცხალ არსე-  
ბაში არსებული ინდივიდუალიზმის ისეთ გამოვლინებას, რომელიც მხოლოდ საკუთარი პიროვნების ინტერესების გათვალისწინებიდან მომდინარეობს. საკუთარი ინიციატივიდან გამოვლინებული ქმედე-  
ბა, ზოგადად, სასურველია და საჭიროა, რომ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მატერიალური სხეულის გარდუვალი აუცილებლობის უზრუნველყოფას ემსახურებოდეს. ეს იქნება სრული გარანტი იმი-  
სა, რომ ინდივიდში არსებული ან პოტენციურად გამოვლინებადი მნიშვნელოვნების შეგრძნება მთლიანად დაიბლოკოს, გაიცხრილოს და გადაიგზავნოს უკანვე, გონებაში ხელახლა გადასამუშავებლად. რაც შეეხება არასაკუთარი ინიციატივიდან გამოვლინებულ (ბუნებ-  
რივად შექმნილი სიტუაციების კვალდაკვალ შექმნილ) ქმედებებს, ისინი აუცილებლად უნდა შესრულდეს, ოღონდ ყოველგვარი ემო-  
ციური აღქმის გარეშე. ეს სიტუაციები ხომ ერთადერთი მიზნით არის შექმნილი განგებისა და მისი წარმომადგენლების მიერ ამა თუ იმ კონკრეტული პიროვნების გარშემო, იმისათვის, რომ ამ უკანას-  
კნელმა თვალნათლივ, ხილული სახით შეიცნოს საკუთარ პიროვნე-  
ბაში არსებული „ეგო“-ს რაოდენობა და ხარისხი, საკუთარ არსში უკვე არსებული მნიშვნელოვნების გრძნობის მასშტაბები. ქმედე-  
ბის საშუალებით მუდმივი კონტაქტი უნდა იყოს დამყარებული დროის იმ ფორმასთან, რომელსაც წარსული ჰქვია.

**ზოგადად თვითგამოვლინების ეს სამივე ფორმა (ფიქრი, მტყვევლება და ქმედება) ერთმანეთში იმდენად ბუნებრივად ურთიერთგარდამავალნი არიან, რომ მათი ცალ-ცალკე, ერთმა-  
ნეთთან დაუკავშირებლად განხილვა სრული უაზრობა იქნებო-**

**და. აი, მათი ერთმანეთთან დაპირისპირება კი, მართლაც იდიო-ტურ სიტუაციამდე მიიყვანს ნებისმიერ ცოცხალ არსებას.**

საუკეთესო შემთხვევაში, როდესაც ფიქრი, მეტყველება და ქმედება სრულ თანხმობაში არიან, თვით დროის ფორმებიც კი (წარსული, აწმყო და მომავალი) ერთიანდება. ის ცოცხალი არსება, რომელიც ამას ახერხებს, უდიდესი ძლევამოსილებისა და სიმდიდრის მფლობელი ხდება და თავისუფლების უმაღლესი გამოვლინების, საკუთარი პიროვნების ბედ-იღბლის განგების უფლება ეძლევა. თუ ვინმე ამას მიაღწევს, მას საკუთარი ეთიკურ-ესთეტიკური დონის ტოლ დონეშიც ეძლევა თავისუფლების უმაღლესი გამოვლინების, ჭეშმარიტი სიყვარულით ტკობის უფლება თავისი დონის შესაბამის ცოცხალ არსებასთან თანაცხოვრების საშუალებით. და ის, ვინც ამასაც მიაღწევს და კიდევ დარჩება მასში არარეალიზირებული პოტენციალი, მას საკუთარ ეთიკურ-ესთეტიკურ დონეზე უფრო დაბალ დონეშიც ეძლევა თავისუფლების უმაღლესი გამოვლინების, ჭეშმარიტად დასამკვიდრებელი ცოდნის მინიჭებით ტკობის უფლება თავის დონეზე დაბალი დონის მქონე ცოცხალ არსებებთან ცნობიერი ურთიერთობების დამყარებით.

მაშასადამე, თავისუფლების უმაღლესი გამოხატულებაც თვითგამოვლინების სამ სხვადასხვა ფორმაში სხვადასხვანაირად გამოიყურება: 1) ე. წ. ფიქრის დონეზე საკუთარი ბედ-იღბლის განგების უფლების მიღება (ეს არის სასურველი და საჭირო ურთიერთობა ღმერთთან); 2) ე. წ. მეტყველების დონეზე ჭეშმარიტი სიყვარულის უფლების მიღება (ეს არის სასურველი და საჭირო ურთიერთობა საკუთარ მეორე ნახევართან, საკუთარი ოჯახის უმთავრეს წარმომადგენელთან); 3) ე. წ. ქმედების დონეზე ჭეშმარიტი (საჭირო) ცოდნის მინიჭების უფლების მიღება (ეს არის სასურველი და საჭირო ურთიერთობა ყველა ინდივიდუალურ სულთან, რომლებთანაც კონტაქტში მოხვდები, საკუთარი პიროვნებისადმი საზოგადოების კეთილგანწყობილ ნაწილთან).

ის, ვინც თავისუფლების ამ სამივე ფორმის მიღების ღირსი გახდება მატერიალურ სამყაროში ყოფა-ცხოვრების პირობებში, ავტომატურად დაიმსახურებს ადგილს სულიერი სამყაროს უმაღლეს იერარქიულ ნაწილში, ზეცაში დასამკვიდრებლად.

## მატერიალურ სამყაროში მოხვედრის სამი ძირითადი მიზეზი

*მატერიალურ სამყაროში მატერიალური  
სხეულის სახით მოხვედრის (როგორც  
მცდარი გზით სვლის შედეგის) სამი ძირი-  
თადი მიზეზი არსებობს.*

წმიდა წერილებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მატერიალური სამყაროს უკლებლივ ყველა წარმომადგენელი შემცდარია (რალაცა ხარისხისა და რაოდენობის სიმცდარის მატარებელია), ხოლო სულიერი სამყაროს უკლებლივ ყველა წარმომადგენელი შემცდარია (არანაირი სიმცდარის მატარებელი არ არის). თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მატერიალურ სამყაროში ყოფა-ცხოვრების პირობებშიც სრულიად შესაძლებელია ადამიანის სულიერი სამყაროს წარმომადგენლად გარდაქმნა. ამისათვის აუცილებელიცაა და საკმარისიც ნებისყოფის მეშვეობით საკუთარ პიროვნებაში არსებული სიმცდარის მოძიება და აღმოფხვრა.

მატერიალურ სამყაროში მოხვედრის სამი ძირითადი მიზეზი არსებობს, ანუ ადამიანში სამი გზით შეიძლება შევიდეს და დამკვიდრდეს ცდომილება. ეს შეიძლება მოხდეს ფიქრის, მეტყველების ან ქმედების გზით.

### **1. ფიქრით „შემოპარული“ სიმცდარის (ცდომილების) შესახებ.**

ინდივიდუალურმა სულმა იმაზე მეტი ინტელექტუალური ინფორმაციის გადამუშავება და ათვისება მოინდომა, ვიდრე მას ამის უნარი გააჩნდა ანუ ვიდრე მისი მისია ითვალისწინებდა ამას. რის შედეგადაც თავისი მეცადინეობის შედეგად ათვისებული ინფორმაცია ჭეშმარიტ ცოდნად მხოლოდ თვითონ მონათლა და ეს არავითარი ჭეშმარიტი ცოდნა არ იყო, რამაც მისი განაწყენება გამოიწვია, რამეთუ ინტელექტუალურ ბანკში მისი ცოდნა არ მიიღეს. აი, ამიტომ იგი გადაგზავნილი იქნა მატერიალურ სამყაროში, რათა თავად დარწმუნებულიყო საკუთარი შეხედულებების სიმცდარეში მათი პრაქტიკულად გამოვლინებისა და რეალიზაციის შედეგად.

### **2. მეტყველებით „შემოპარული“ სიმცდარის (ცდომილების) შესახებ.**

ინდივიდუალურმა სულმა რალაცა რაოდენობის ინტელექტუალური ინფორმაციის გადამუშავების შემდეგ მისიის შემდგომ შეს-

რულებაზე, მომავალში სულიერი ცოდნის ძიებაზე უარი თქვა და საკუთარი ნამუშევრით ტკბობა განიზრახა, რის გამოც მოუნდა ერთიან სამყაროში თავისი მიკროსამყაროს შექმნა, მის დამოუკიდებელ ერთეულად გამოცხადება და ინფორმაციულ ბანკთან ყოველგვარი ურთიერთობების განწყვეტა. ის ვერ მიხვდა, რომ იმ ტოტის ჭრა დაიწყო, რომელზეც თავადაც იჯდა. ამიტომ იგი გაგზავნილი იქნა მატერიალურ სამყაროში, რათა მის წარმოსახვაში წარმოჩინებული ტკბობისა და სიამოვნების ილუზიურ არარაობაში დარწმუნებულიყო ამ სასურველი ტკბობის ნაცვლად პრაქტიკულად სიმწარისა და უბედურებების (რა თქმა უნდა დამსახურებულად) მიღების გზით.

### **3. ქმედებით „შემოპარული“ სიმცდარის (ცდომილების) შესახებ.**

ინდივიდუალურმა სულმა მასზე დაკისრებული მისიის უპრეცედენტოდ ზედმინევენითი შესრულება დაისახა მიზნად, მაგრამ ცალსახად ამ მისიაზე კონცენტრირებულობის გამო ნელ-ნელა საკუთარი ინდივიდუალიზმის იგნორირება დაიწყო. შედეგად მასზედ გაცემულ დირექტივებზე იმდენად დამოკიდებული გახდა, რომ დამოუკიდებლად რაიმე გადაწყვეტილების მიღების უნარი დაკარგა. ეს კი, ინტელექტუალური კვლევა-ძიებისათვის გაგზავნილი ინდივიდუალური სულისათვის ერთ-ერთი უმთავრესი აუცილებელი თვისებაა. ამიტომ აუცილებელი გახდა გაგზავნილი ყოფილიყო მატერიალურ სამყაროში, რათა აღედგინა საკუთარი ინდივიდუალურობის გამოვლინების უნარი ამის აუცილებლობისა და საჭიროების შემთხვევაში. ბუნებრივად მცდარ ცოდნაზე დაფუძნებულ გარემოში მისნაირებს ავტომატურად მოუნევთ ექსტრემალურ პირობებში ჩავარდნა და ძალიან ხშირადაც, ისე, რომ ეს მატერიალიზაცია მისი ინდივიდუალიზმის გამოვლიძების მშვენიერი საშუალებაა.

*I შემთხვევაში საჭირო მიმართულებით სვლას ინდივიდუალურ სულში შეაქვს ღვთიური ბუნება, ხოლო საპირისპირო მიმართულებით სვლას შეაქვს დემონური ბუნება.*

*II შემთხვევაში საჭირო მიმართულებით სვლას ინდივიდუალურ სულში შეაქვს ცხოველი ბუნება, ხოლო საპირისპირო მიმართულებით სვლას შეაქვს მონური ბუნება.*

*III შემთხვევაში საჭირო მიმართულებით სვლას ინდივიდუალურ სულში შეაქვს ადამიანური ბუნება, ხოლო საპირისპირო მიმართულებით სვლას შეაქვს სატანური ბუნება.*

სტრატეგიული თვალსაზრისით, ურთიერთობებშიც მხოლოდ სამი სახის არჩევანი არსებობს. თვით ურთიერთობების ცნობიერი არსი ფარდობითობის ცნებას ავტომატურად მოიაზრებს თავის თავში.

1. პირველი არჩევანი გახლავთ ისეთი ტიპის, როდესაც ინდივიდუალური სული ცდილობს იქონიოს ურთიერთობა იმ ინდივიდუალურ სულთან, რომლებიც მასზე უპირატესნი, უკეთესნი არიან ანუ როდესაც ღებულობს ფორმულას, რომ საკუთარი ნება-სურვილით ცდილობს იყოს უკანასკნელი პირველებში.

ა) ამ ტიპის ურთიერთობების ნეგატიური მხარე შემდგომში მდგომარეობს:

პირველი არჩევანის შემთხვევაში ყურადღების გამახვილება ხდება შორეულ მომავალზე ანუ იმ ცოდნაზე, რომელიც გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე შემოსატანი (დასამკვიდრებელი) ცნობიერების რაობა და გარშემო მყოფი ინდივიდუალური სულების მიერ ამ გზაზე დამდგარი ინდივიდუალური სულის გარიყვა, მასთან ურთიერთობებში არ შესვლა ხდება. ეს ამ ინდივიდუალური სულის არასრულყოფილების კომპლექსით დაკომპლექსებას, დათრგუნვას იწვევს. ამ კონკრეტული ეპოქალური მომენტისათვის და კონკრეტულ კოსმიურ ადგილმდებარეობაზე არსებული ობიექტური რეალობისათვის ასეთი სახის გლობალური გარღვევა არც სასურველია და არც საჭირო.

ბ) ამ ტიპის ურთიერთობების პოზიტიური მხარე შემდგომში მდგომარეობს:

პირველი არჩევანის შემთხვევაში ყურადღების კონცენტრაცია ინდივიდუალურობის საუკეთესო ნაწილზე და მათგან გამომავალ არაინდივიდუალიზმზე ხდება, რაც ინდივიდუალურ სულს საკუთარი ინდივიდუალიზმის პოტენციალის ამ არაინდივიდუალიზმის გაცნობიერებაში დახარჯვას გულისხმობს. რამდენადაც ჭეშმარიტად აითვისებს ინდივიდუალური სული სულიერ ცოდნას, იმდენად გაქრება მასში არასრულყოფილების შეგრძნება და სხვა გარშემო მყოფი ინდივიდუალური სულების მასთან ურთიერთობების არ სურვილი დიდად აღარ შეანუხებს. ამ გზით ინდივიდუალური სული მატერიალურ სამყაროში, მატერიალურ სხეულში ყოფნის მიუხედავად სულიერი სამყაროს წარმომადგენელი ხდება.

2. მეორე არჩევანი გახლავთ ისეთი ტიპის, როდესაც ინდივიდუალური სული ცდილობს ურთიერთობა იქონიოს იმ ინდივიდუალურ

ლურ სულებთან, რომლებიც მასზე ნაკლებგანვითარებულნი, უარესნი არიან ანუ როდესაც ლებულობს ფორმულას, რომ საკუთარი ნება-სურვილით ცდილობს იყოს პირველი უკანასკნელებში.

ა) ამ ტიპის ურთიერთობების ნეგატიური მხარე შემდგომში მდგომარეობს:

მეორე არჩევანის შემთხვევაში ყურადღების გამახვილება ხდება შორეულ წარსულზე ანუ იმ რეალობაზე, რომელიც ობიექტური რეალობის, მიმდინარე მომენტის სამსახურში უნდა იყოს. ამ გზაზე დამდგარი ინდივიდუალური სულის მიერ გარშემო მყოფ ინდივიდუალურ სულებთან ურთიერთობების დამყარება შენიღბული ან შეუნიღბავი ძალადობის გამოყენებით (ნებაყოფილობითობის უგულვებელყოფით) ხორციელდება. ეს გზა ინდივიდუალური სულის სრულყოფილების კომპლექსით დაკომპლექსებას, თვითაღზევებას იწვევს. ამ შემთხვევაშიც ამ კონკრეტული ეპოქალური მომენტისთვის და კონკრეტულ მატერიალიზირებულ ადგილმდებარეობაზე არსებული ობიექტური რეალობისათვის ასეთი სახის გლობალური ჩამორჩენა არც სასურველია და არც საჭირო.

ბ) ამ ტიპის ურთიერთობების პოზიტიური მხარე შემდგომში მდგომარეობს:

მეორე არჩევანის შემთხვევაში ყურადღების კონცენტრაცია ინდივიდუალურობის თავისზე უარეს ნაწილზე და მათგან გამომავალ მატერიალურ გამოვლინებაზე ხდება, რაც ინდივიდუალური სულის საკუთარი ინდივიდუალიზმის პოტენციალის მატერიალურ გამოვლინებლობის გაცნობიერებაში დახარჯვას გულისხმობს. მატერიალური გამოვლინებულობის ისეთი სახით შეცნობის შემთხვევაში როგორც ის რეალურად, ჭეშმარიტად არის, ეს ინდივიდუალური სულის მატერიალურ კეთილდღეობად გარდაიქმნება, ინდივიდუალური სული გაძლიერდება როგორც მატერიალური სხეული. იმ ნაწილში, რასაც ჭეშმარიტად აითვისებს, ინდივიდუალურ სულს სრულყოფილების შეგრძნება გაუქრება და სხვა ინდივიდუალური სულების თავისი გავლენის ქვეშ მოქცევის მცდელობას, ურთიერთობების შენიღბული ან შეუნიღბავი ძალადობით დამყარებას თავს დაანებებს.

3. მესამე არჩევანი გახლავთ ისეთი ტიპის, როდესაც ინდივიდუალური სული ცდილობს ურთიერთობა იქონიოს იმ ინდივიდუალურ სულებთან, რომლებიც მისნაირები, მისი მსგავსები არიან ანუ როდესაც ლებულობს ფორმულას, რომ საკუთარი ნება-სურვილით ცდილობს იყოს ის, რაც რეალურად არის. ვფიქრობ არც თუ ისე

ძნელი მისახვედრია, რომ თუნდაც ორი ინდივიდუალური სულის აბსოლუტური იდენტურობა გამორიცხულია, ისე რომ ეს, მესამე არჩევანი ავტომატურად მოიაზრებს ნაწილობრივ როგორც პირველ ისე მეორე არჩევანს. ამ მიდგომაში ძირითადი აქცენტი არაინდივიდუალიზმზეა გამახვილებული და ურთიერთობებისას ინდივიდუალიზმი მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში აჩენს თავის გამოვლინებას, ფაქტიურად არაინდივიდუალიზმს ემსახურება.

ა) ამ ტიპის ურთიერთობების ნეგატიური მხარე შემდგომში მდგომარეობს:

მესამე არჩევანის შემთხვევაში ყურადღების გამახვილება ხდება მიმდინარე არსებულ ანმყოზე. ამ გზაზე დამდგარი ინდივიდუალური სულის მიერ სხვა ინდივიდუალურ სულებთან იდეალურად უანგარო ურთიერთობების განხორციელების მცდელობები ხდება, რაც ამ ინდივიდუალური სულის ინდივიდუალიზმის სრული ჩაქრობის კომპლექსს, აუტიზმის მეტ-ნაკლები რაოდენობით გამოვლინებას იწვევს. ამ შემთხვევაში, კი ამ კონკრეტული ეპოქალური მომენტისათვის და კონკრეტულ სივრცობრივ სულიერ-მატერიალურ ადგილმდებარეობაზე არსებული ობიექტური რეალობისათვის მსოფლმხედველობის ასეთი გლობალური დაპატარავება-შემცირება არც სასურველია და არც საჭირო.

ბ) ამ ტიპის ურთიერთობების პოზიტიური მხარე შემდეგში მდგომარეობს.

მესამე არჩევანის შემთხვევაში ყურადღების კონცენტრაცია ხდება საკუთარ „მე“-ზე, საკუთარ ინდივიდუალიზმზე. საკუთარი ინდივიდუალიზმის ისეთი შეცნობის შემთხვევაში როგორც ის რეალურად არის, ის ინდივიდუალური სულის სულიერ კეთილდღეობად გარდაიქმნება და ინდივიდუალური სული გაიზრდება როგორც ინდივიდუალური სული. იმ ნაწილში, რასაც ჭეშმარიტად ათვისებს ინდივიდუალურ სულს აუტიზმის (საკუთარი ინდივიდუალიზმის არ გამოვლინების მცდელობის) შეგრძნება გაუქრება და სხვა ინდივიდუალური სულების გავლენის ქვეშ მოქცევის მცდელობას, ურთიერთობების ცალმხრივ ნებაყოფილობითობაზე დამყარებას თავს დაანებებს. პოტენციალის ჯეროვნად ათვისების შემდგომ ეს, ინდივიდუალური სული იმდენად სასურველი ხდება გარშემო მყოფი ინდივიდუალური სულებისათვის, რომ მასთან ურთიერთობა უკლებლივ ყველა მათგანის სანუკვარი სურვილი ხდება. ის იმდენად თვითმყოფადი და ბუნებრივად უშუალოა, რომ თავად მიმდინარე ანმყოს საუკეთესო გამოვლინებას წარმოადგენს. მას არ სურს მი-

ნიერი ძალაუფლება, სამაგიეროდ მიწიერებას, მატერიალურ სამყაროს სურს ის იყოს მისი ძალაუფალი. როდესაც ასეთი სულია მეფე მატერიალურ სამყაროში სიკეთე და სამართლიანობა მკვიდრდება.

მოკლედ თუ ჩამოვაცალიბებთ, ასეთი დასკვნა მიიღება:

1. პირველი გზით მოვლენილთა სწორად სვლის შემთხვევაში ხდება სულიერი სიმდიდრის გაზრდა, ხოლო არასწორად სვლის შემთხვევაში ხდება სპეკულაციური სულიერი ცოდნის დაგროვება, რომელიც ინდივიდუალურ სულში არასრულყოფილების კომპლექსს აყალიბებს.

2. მეორე გზით მოვლენილთა სწორად სვლის შემთხვევაში ხდება მატერიალური სიმდიდრის გაზრდა, ხოლო არასწორად სვლის შემთხვევაში ხდება სპეკულაციური მატერიალური ცოდნის დაგროვება, რომელიც ინდივიდუალურ სულში სრულყოფილების კომპლექსს აყალიბებს.

3. მესამე გზით მოვლენილთა სწორად სვლის შემთხვევაში ხდება თვითრეალიზაციის აღბათობის გაზრდა ჭეშმარიტად საკეთებლის თვალსაზრისით, რაც ღვთის ნების რეალიზაციის საშუალებად გადაქცევის ტოლფასია. არასწორად სვლის შემთხვევაში კი ხდება საკუთარი ინდივიდუალური გამოვლინებულობის შიშის დამკვიდრება, საკუთარ ვინრო ნაჭუჭში ჩაკეტვა და ფაქტიურად აუტიზმის მდგომარეობაში გადასვლა. ეს ინდივიდები უნდა მიხვდნენ, რომ საკუთარი „მე“-ს ინტერესების გათვალისწინებით იცხოვრონ და სხვა ინდივიდების „ეგო“-ს დანამატად არ გადაიქცნენ.

## ფარდობითობის სისტემიდან გასვლა

მაღალ დონესთან მიმართებაში – **ჭეშმარიტება და სიმცდარე.**

დაბალ დონესთან მიმართებაში – **სიმართლე და ტყუილი.**

თანასწორ დონესთან მიმართებაში – **თავისუფლება და დაუფლება.**

***ჭეშმარიტება ადამიანს საკუთარი ბედ-იღბლის განგების უფლებას ანიჭებს, ხოლო სიმცდარე ამ უფლებას ართმევს და სხვათა ბედ-იღბლის განგების სურვილს აღუძრავს.***

თუ ადამიანი ჭეშმარიტების შეცნობას ცდილობს არა საკუთარი უპირატესობის მისაღწევად, იგი არ ცდილობს არავის ბედ-იღბლის განგებას და თვითონაც თავისუფალია სხვათა ძალადობრივი განმგებლობის სურვილისაგან და ფარდობითობის ჭრილიდან გადის. და

თუ ადამიანი ჭეშმარიტების შეცნობას ცდილობს საკუთარი უპირატესობის მისაღწევად, იგი ცდილობს სხვათა ბედ-ილბლის განგებას და თვითონაც დამოკიდებული ხდება სხვათა ძალადობრივი განმგებლობის სურვილებზე.

**გან(რ)წმენდის მსურველ ადამიანს არ უნდა ჰქონდეს პირველობისკენ სწრაფვის სურვილი.**

*სიმაართლე სიკეთის ქმნაა, ჭეშმარიტი ცოდნის გავრცელების უფლების მიმნიჭებელია, ხოლო ტყუილი ამ უფლების წამართმევია და ჭეშმარიტ ცოდნას სიმცდარედ, სიყალბედ, ბოროტებად, ეჭვებად გარდაქმნის.*

თუ ადამიანი შეცნობილი ჭეშმარიტების გაცემას ცდილობს არა საკუთარი უპირატესობის მისაღწევად, იგი, თავისდაუნებურადაც კი, აკეთებს იმას, რაც ჭეშმარიტად საკეთებელია და ამით ფარდობითობის ჭრილიდან გადის. და თუ ადამიანი შეცნობილი ჭეშმარიტების გაცემას ცდილობს საკუთარი უპირატესობის მისაღწევად, იგი, თავისდაუნებურადაც კი, ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს, აცდუნოს ისინი, ვისთანაც ახდენს საკუთარი ცოდნის გაცემას.

**გან(რ)წმენდის მსურველ ადამიანს არ უნდა ჰქონდეს არაფრის შიში.**

*თავისუფლება ჭეშმარიტი სიყვარულის მიღების უფლების მიმნიჭებელია, ხოლო დაუფლება ამ უფლების წამართმევია და ჭეშმარიტ სიყვარულს ავხორციობად, ვნებად, შიშებად გარდაქმნის.*

თუ ადამიანი ცდილობს სხვა პიროვნებას ჩაუღრმავდეს არა საკუთარი უპირატესობის მისაღწევად, იგი აუცილებლად მიიღებს თავისი შესაბამისი, ღირსეული პიროვნებისაგან ჭეშმარიტ სიყვარულს და ამით ფარდობითობის ჭრილიდან გადის. და თუ ადამიანი ცდილობს სხვა პიროვნებას ჩაუღრმავდეს საკუთარი უპირატესობის მისაღწევად, იგი აუცილებლად შეეცდება ეს პიროვნება საკუთარი დამოკიდებულების ქვეშ ამყოფოს, მისი ყურადღების ცენტრალურ ფიგურად გადაიქცეს სხვადასხვა ინტრიგებით, შანტაჟით, კომპრომატებით.

**გან(რ)წმენდის მსურველ ადამიანს უნდა სურდეს ისეთი სიყვარული, რომელიც არაფერზე არ არის დამოკიდებული.**

**და ბოლოს – თუ ადამიანი ქეშმარიტად თავისუფალი არ იქნება იგი ვერც მიანიჭებს და ვერც მიიღებს ქეშმარიტ სიყვარულს.\*** თავად ქეშმარიტი თავისუფლების მიღება შეუძლებელია **განათლების** (ქეშმარიტი ცოდნის) მიღების გარეშე.\* განათლების მიღება კი შეუძლებელია საკუთარ პიროვნებაში **უკვე არსებული სინათლის** (ქეშმარიტი ცოდნის) უანგაროდ გაზიარების გარეშე.

აი, ამ ყოველივეს მისაღწევად ფარდობითობის ზეგავლენისგან გათავისუფლებაა საჭირო. იმისათვის, რომ ფარდობითობით ყოფა-ცხოვრებას დააღწიოს თავი, ადამიანმა მისი ობიექტური შეფასება უნდა შეძლოს. ამის გარეშე შეუძლებელია ეზიაროს **ქეშმარიტებასა და განათლებას; სამართლიანობასა და კეთილშობილებას; თავისუფლებასა და სიყვარულს.**

## სასოებიდან სიყვარულამდე

სუფთა, სპეტაკი სასოებიდან,  
ვინრო ბილიკით უნდა იარო  
უხილავ ნიშნებს უნდა მიუხვდე,  
ნამდვილ სიყვარულ რომ ეზიარო.

სიყვარულამდე ხმლით ვერ მიაღწევ  
და ვერც ვილაცის ბრმა დახმარებით,  
იქ მაშინ მიხვალ, გულს რომ განიწმენდ  
და შესძლებ ხედვას წმიდა თვალებით.

თუ სიყვარულის ცნებას ვერ ხვდები  
იმას უწოდებ, რაც შენ მოგინდა,  
ეგოიზმის მსახური და მონა გახდები,  
ნამდვილ სიყვარულს ვერასოდეს ეს ვერ მოგიტანს.

სასოებიდან სიყვარულამდე მისვლისთვის  
დიდი ძალა გჭირდება,  
ბევრ გამოსაცდელს შეგყრის განგება და  
თან თავადვე გვერდში იდგება.  
იქამდე ვიდრე სასონარკვეთის ზღვარი შენს შიგნით  
არ დაგიდგება,  
მაშინ გაკმარებს ყველა პრობლემას და  
შენი შრომის საზღაური მოგენიჭება.

და თუ მიაღწევ სასოებიდან სიყვარულამდე  
ამ მომენტიდან სულ მთლად ახალი ათვლა იწყება,  
ბედნიერება, ნეტარება, თავისუფლება და უკვდავება  
შენს ცხოვრებაში უწვევტად და სრულად იქნება.

კომპიუტერული ანყობა და დიზაინი: **ნანა ყანდაშვილი**



გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)

